ლელო

პალიტრა მედია

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

5 ნოემბერი **ხუთშაბათი** 2009

№261 (12940) ფასი 60 თეთრი

# სალუქვაძემ ბარსა გააქვავა

UEFA CHAMPIONS LEAGUE



გუშინ ყაზანში.
სალუქვაძეს კეიტა ელობება

## გუშინ ლიონი და სევილია, თითქმის არსენალიც...

>> გვერდი 7



# ქუპერი მორჩა, ქეცბაია იწყება

>> გვერდი 2

# WANTED

>> გვერდი 2



## გაბელია ეძებს თარგამაძეს

დაუკავშირდით საფეხბურთო კლუბ ფრაიბურგს

ტელეფონი +49 07 61 38 55 10

ფაქსი: +49 07 61 38 55 15 0



# გარდამტეხი წერტილები

- ექტორ კუპერმა მალხაზ ასათიანზე უარი საბოლოოდ რომ თქვა, მაშინ ნიკა ცქიტიშვილისა და კენ შილდსის ამბავი გამახსენდა...
- საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრებმა ბულგარეთში 2:6 რომ წააგო, კალათბურთელთა ისლანდიური სირცხვილი მომაგონდა...
- ლევან კობიაშვილმა რომ თქვა, შეიძლება, ნაკრებში აღარ ვითამაშოო, ზაზა ფაჩულიას ანალოგიური სიტყვები გამახსენდა...

ვაჟა სიმონიშვილის საფეხბურთო და საკალათბურთო პარალელები >> გვერდი 12






# ქართველები რუსეთის ელიტაში

ანჟიმ და ჩვენებურებმა პრემიერლიგის საგზური მოიპოვეს >> გვერდი 2

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ნაკრები

# კუპერი დამთავრდა, ქეცბაია იწყება

## დღეს სიჭინავა ნაკრების მწვრთნელობის უპირველეს კანდიდატს შეხვდება



როგორც მოსალოდნელი იყო, ექტორ კუპერსა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას შორის გასული წლის 1 აგვისტოს გაფორმებული კონტრაქტი ვადაზე ადრე შეწყდა. ზვიად სიჭინავასა და არგენტინელ სპეციალისტს შორის გუშინ საბოლოო მოლაპარაკება შედგა, რაც ხელშეკრულების ვადაზე ადრე განყვეტის ოფიციალურ შეთანხმებაზე ხელმოწერით დასრულდა. ასე რომ, კუპერმა უკვე ოფიციალურად დატოვა საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტი.

როგორც ფედერაციაში გვითხრეს, ნაკრების ან უკვე ყოფილ თავკაცს 1 ოქტომბრის ჩათვლით ხელფასი აღებული ჰქონდა, შესაბამისად, ჯამაგირის დარჩენილ ნაწილს 4 ნოემბრის მდგომარეობით მიიღებს. მართალია, მისი კონტრაქტი 30 დეკემბერს იწურებოდა, მაგრამ რაკი არგენტინელმა შეთანხმებაზე ხელი მოაწერა, ეს იმას ნიშნავს, რომ დარჩენილ ანაზღაურებაზე პრეტენზია არ აქვს. კუპერი და სიჭინავა თბილად დაშორდნენ ერთმანეთს. სინიორ ექტორი გამთენიისას თბილისიდან სალონიკიში გაემგზავრა, სადაც ადგილობრივ „არისთან" დღეს ერთწლიან ხელშეკრულებას გააფორმებს. ცხადია, კუპერს წარმატებას ვუსურვებთ ახალ სამსახურში.

მისი წასვლა იყო და გუშინვე, თბილისში თემურ ქეცბაია დაბრუნდა. სიჭინავასა და ნაკრების მომავალ პოტენციურ დამრიგებელს შორის შეხვედრა დღეს შედგება. ფედერაციის პრეზიდენტთან დაახლოებული პირები აცხადებენ, რომ ქეცბაია ნაკრების ახალი მწვრთნელის თანამდებობაზე პირველი კანდიდატია. მასთან ოფიციალური მოლაპარაკებები სწორედ დღეიდან.

დავით ცაბაძე

ლეგიონი

# თეთრაძის ქართული დესანტი პრემიერლიგაში

გუშინ, რუსეთის პირველი დივიზიონის გათამაშება დასრულდა. ქართველთა „ანჟიმ" მხოლოდ ბოლო ტურში მოიპოვა დივიზიონის ჩემპიონობა და პრემიერლიგის საგზური. **ომარ თეთრაძის** გუნდმა 38-ტურიანი მარათონი 75 ქულით დაასრულა, მეორე ადგილზე „სიბირი" გავიდა 73 ქულით. სწორედ ეს ორი გუნდი იასპარეზებს რუსულ პრემიერლიგაში. უსაგზუროდ დარჩა ვლადიკავკაზის „ალანია", რომელმაც ბოლო ტურში სულაც 1:5 წააგო „კრასნოდართან". „ალანიამ" ჩემპიონატი 70 ქულით დაასრულა.

ბოლო ტურში „ანჟი" ლიპეცკის „მეტალურგს" მასპინძლობდა. გუნდის ხელმძღვანელობამ მატჩზე თავისუფალი დასწრება შემოიღო, შედეგად მახაჭყალის სტადიონზე 15 200 მაყურებელი მივიდა, ზუსტად იმდენი, რასაც „დინამოს" სტადიონი იტევს. თეთრაძემ სასტარტოში ოთხივე ჯანმრთელი ქართველი ლეგიონერი ათამაშა: **გიორგი ნავალოვსკი, კახაბერ ალადაშვილი, ოთარ მარცვალაძე** და **სანდრო იაშვილი. გოჩა ხოჯავას, ზურაბ არზიანს** და **ედიკ საჯაიას** ტრავმები აწუხებთ. ანგარიში მე-12 წუთზე „ანჟის" ბომბარდირმა მარცვალაძემ გაიტანა. მან ცორაევის პასი მიიღო, მეკარესთან პირისპირ გავიდა და შორეულ კუთხეში გაუტანა. მან ჩემპიონატში მე-13-დ დალაშქრა მეტოქის კარი. ტაიმის მიწურულს სანდრო იაშვილმა „მეტალურგის" საჯარიმოში შეცვლილი არეულობით ისარგებლა და ანგარიში 2:0 გახადა (მე-4 გოლი ჩემპიონატში). შესვენებაზე თეთრაძემ იაშვილი შეცვალა, ხოლო 85-ე წუთზე - ალადაშვილიც.

*„იმის გამო, რომ გამარჯვება უმაღლესის საგზურს გვინაღდებდა, ბიჭები შეიბოჭნენ და უმისამართოდ აწოდებდნენ წინ. ფრეს და წაგებას ჩვენთვის ერთი ფასი ჰქონდა, ამიტომ წავედით რისკზე, მეორე ტაიმი სულაც სამი მცველით ვითამაშეთ"*, - განაცხადა ომარ თეთრაძემ.

თამაშის შემდეგ დაღესტანის დედაქალაქის ქუჩებში დიდი დღესასწაული დაიწყო, თუმცა მილიციამ ხალხს არ აცალა გახარება, მათ ელექტროშოკერებით გაყარეს სტადიონის ირგვლივ შეკრებილი ფანატების ჯგუფის, „ველური დივიზიის" წევრები. თვითმხილველები ამტკიცებენ, რომ ფანები მილიციას არ უწევდნენ წინააღმდეგობას, მათ უბრალოდ სურდათ ლენინის მოედანზე შეკრება, რისი საშუალებაც მილიციამ ხელკეტებითა და ელექტროშოკერებით არ მისცა.

ნიკოლოზ ნეფარიძე




U 21

# გასულია მომსახურების ზონიდან...

## გაბელია ზუგდიდელისგელ ფეხბურთელს ვერ პოულობს



14 ნოემბერს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ევროპის 2011 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში თბილისში ირლანდიას უმასპინძლებს, 18 ნოემბერს კი შვეიცარიას ესტუმრება. ნაკრების თავკაცმა **ოთარ გაბელიამ** გაფართოებული სია გამოაქვეყნა.

მეკარეები: - **რონ კვასხვაძე** (ზესტაფონი), **რევაზ თევდორაძე** (გაგრა), **გიორგი ბახტაძე** (დიორი ეტო, უნგრეთი);

მცველები: - **ლევან კაკუბავა, გულვერდ თომაშვილი, გიორგი გეთიაშვილი** (ყველა დინამო), **გიორგი ხიდეშელი** (ზესტაფონი), **ლაშა თოთაძე** (გაგრა), **ამირან სანაია** (ლე მანი, საფრანგეთი), **გიორგი ხატიაშვილი** (ლოკომოტივი), **ნიკა კვეკვესკირი** (ბაია);

ნახევარმცველები - **ჯანო ანანიძე** (სპარტაკი, რუსეთი), **ლევან ყენია** (შალკე, გერმანია), **ლევან კუტალია** (სლავია, ბოსნია), **მურთაზ დაუშვილი** (ზესტაფონი), **ირაკლი კლიმიაშვილი** (ვიტ ჯორჯია), **თემურ შონია** (სპარტაკი), **ვაჟა ნემსაძე** (დინამო), **ნიკა ძალამიძე** (ბაია);

თავდამსხმელები - **გიორგი ივანიშვილი** (ვოლენი, შვეიცარია), **ვახტანგ კვარაცხელია** (ვიტ ჯორჯია), **გიორგი ჭედია** (ოლიმპი), **გიორგი გაბედავა** (გაგრა).

სიაში საკმაოდ ბევრი სიახლეა. მაგალითად, უნგრეთის „დიორი ეტოს" მეკარე **გიორგი ბახტაძე**. ის უდავოდ საინტერესო ბიჭია, შარშან პირეოსის „ოლიმპიაკოსთან" ჰქონდა კონტრაქტი გაფორმებული, წელს უნგრულ კლუბში ჩაირიცხა. როცა მეკარე ევროპულ ქვეყნებში ასე იოლად მოძრაობს, თავისთავად აღძრავს ინტერესს.

გაბელიას დიდი ხანია, სურდა თბილისის „დინამოს" მცველ **გიორგი გეთიაშვილის** გასინჯვა, მაგრამ ამის საშუალება მხოლოდ ახლა მიეცემა. ახალწვეულები არიან „ბაიას" მცველი **ნიკა კვეკვესკირი** და პლეიმეიკერი **ნიკა ძალამიძე**.

თავდამსხმელებში კი დებიუტანტები არიან ეროვნული ჩემპიონატის ერთ-ერთი ბომბარდირი, ვიტჯორჯიელი **ვახტანგ კვარაცხელია** და „გაგრას" ლიდერი **გიორგი გაბედავა**.

ოთარ გაბელიას სწორედ ამ სიახლეებზე ველაპარაკეთ.

**- ბატონო ოთარ, სიაში ბევრი სიახლეა. დავიწყოთ ვახტანგ კვარაცხელიათი - აქამდე რატომ არ იწვევდით?**

- ირლანდია-შვეიცარიასთან ოთხი თავდამსხმელი გვჭირდება და კვარაცხელიას საქმეში ნახვა არ გვაწყენდა. მართალია, ივანიშვილი კარგად გამოიყურება და ლამის ყველა მატჩში გააქვს გოლი, მაგრამ კვარაცხელია ეროვნულ ჩემპიონატში სტაბილურად მაღალ დონეზე თამაშობს და ამაზე თვალს ვერ დავხუჭავდით.

**- გაბედავას მიწვევა რატომ გადაწყვიტეთ?**

- ხშირად ვუყურებ მის თამაშებს, შრომისმოყვარე ფეხბურთელი ჩანს.

**- ნაკრებში აღარ არის გიორგი გუგავა...**

- ამ ეტაპზე ასე მივიჩნიეთ საჭიროდ. გიორგი ლიტვასთან და ესტონეთთან მომეწონა, მაგრამ ირლანდია-დანიასთან თავი ველარ გამოიჩინა. ასეა ნაკრები - ვინც კონკრეტული მომენტისთვის უკეთეს ფორმაშია, იმას მივიწვევთ. ასე მოხდა ზუგდიდელების - კვეკვესკირისა და ძალამიძის შემთხვევაშიც. ირლანდიასთან დაცვაში პრობლემები შეგვექმნება, რადგან არ იქნება გიორგი ხიდეშელი, ჰოდა, მსურს, ყველა კანდიდატს დავაკვირდე. კვეკვესკირი კი „ლოკომოტივთან" მატჩში მომეწონა. თამაშს სანაია და ყენიაც გამოტოვებენ და შესაძლოა, შანსი ძალამიძეს მივცეთ. პერსპექტიული ბიჭია.

**- ყენიას რა სჭირს?**

- მისი თამაშიც სათუოა. ახლახან ველაპარაკე და შვეიცარიაში ექიმთან მიფრინავდა, კოჭი დაუზიანდა და იქ დიაგნოზს დაუსვამენ. თუ ყველაფერი წესრიგში იქნება, ყენია და სანაია გუნდს ლუგანოს შეკრებაზე შეუერთდებიან.

**- ლევან მჭედლიძე რატომ არ ჩამოდის?**

- ის გუნდთან ერთად ვერ ვარჯიშობს, ფეხი ისევ ასტკივდა.

**- გიორგი ბახტაძის თამაში გინახავთ?**

- არ მინახავს, მაგრამ მაინტერესებს. ტანმაღალია, უნგრელებს კარგი მეკარეები ჰყავთ და შემთხვევით არ აიყვანდნენ. მაკარიძეს ვიცნობ და ამჯერად სხვებს დავაკვირდები.

**- ჯანო ანანიძე ჩამოდის?**

- აბა, რას იზამს?! მასთან პრობლემა არასდროს გვქონია.

**- მართალია, თითქოს „ფრაიბურგიდან" დავით თარგამაძის მიწვევა გსურთ და ვერ მოძებნეთ?**

- ამასწინათ, მან „ბაიერნთან" 15 წუთი ითამაშა, შემდეგ კი აღარ გამოჩენილა, ვუკავშირდები და ტელეფონს არ იღებს. არადა, ინტერნეტში ხშირად ჩნდება და დახმარებისთვის მის ახლობლებს მივმართე.

**- შეკრებას როდის იწყებთ?**

- 10 ნოემბერს „ბასაზე" შევიკრიბებით.

გაირკვა მსაჯების ვინაობაც. მატჩს ნორვეგიული ბრიგადა მოემსახურება - ტომ ჰარალდ ჰაგენი (არბიტრი), ფრანკ ანდასი, სვენ ერიკ მიდტიელი (ლაინსმენები), ესპენ ბერნსტენი (მეოთხე მსაჯი). მატჩი ვაკეში, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე გაიმართება და 14 საათზე დაიწყება.

მერაბ მამულაშვილი

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა გელაშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), აწზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ, რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გამოცემით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

პოზიცია

## სერგო კოტრიკაძე

# მარტო მეკარე კი არა, სამი-ოთხი ფეხბურთელიც უნდა გავაქართველოთ

**მეკარის თვისებები, ქართველ გოლკიპერთა პლუს-მინუსები, უცხოელთა ნატურალიზაციის საჭიროება, ეროვნული ნაკრების შეფასება, ფიასკოს მიზეზები... ამ და სხვა საინტერესო თემებზე ლეგენდარულ სერგო კოტრიკაძეს ვესაუბრეთ. ვფიქრობთ, საინტერესო ინტერვიუ გამოვიდა...**

- უპრიანი იქნება, საუბარი მეკარეების ზოგადი თვისებებით დავიწყოთ. აღნაგობასთან ერთად, კიპერისთვის უმთავრესი, სწრაფი რეაქციაა. აღნაგობაში მაღალსა და სუსტს არ ვგულისხმობ. მეკარე მაღალი და ჯანიანი უნდა იყოს... გარდა ამისა, კარის დარაჯი ფეხით უნდა თამაშობდეს. დღეს გამორჩეულ მეკარეთა შორის, ზოგი ბუფონს მიიჩნევს საუკეთესოდ, ზოგი ჩეხს, ყველას ვან დერ სარს ვამჯობინებ, რადგან ფეხით ყველაზე უკეთ თამაშობს. ის ფაქტობრივად ლიბეროცაა... მეკარისთვის ასევე აუცილებელია რეაქცია, სწრაფი აზროვნება, ვითარების სწრაფად შეფასება, სათანადო გათვლა და გადაწყვეტილები უმალ მიღება, კოორდინაცია... გოლკიპერი მოედანზე ბოლო კაცია, მთელი გუნდის თამაშს აკონტროლებს, ყველას შეცდომას ხედავს. შესაბამისად, კიპერი ვალდებულია, თანაგუნდელებს მითითებები მისცეს. მისი საიმედო, დამაჯერებელი თამაში, მთელი გუნდისთვის გადამდებია. ფეხბურთელები ფსიქოლოგიური წნეხის გარეშე, თავისუფლად თამაშობენ და მთელი გუნდი თავდაჯერებულია.

**- მეკარისთვის აუცილებელი თვისებები ჩამოთვალეთ. ქართველი გოლკიპერები ყველაზე მეტად რაში მოიკოჭლებენ?**

- ვფიქრობ, ქართველი მეკარეები სათანადოდ არ არიან თამაშში ჩართულები. მატჩის მსვლელობაში მთელი გულითა და სულით უნდა იყო ჩართული, თამაშის მსვლელობა შესისხლხორცებული უნდა გქონდეს.



**- ხშირია შემთხვევა, როცა ჩვენს მეკარეებს ბურთი უვარდებათ, ხელში დაჭერა უჭირთ. ეს რით ავხსნათ?**

- ეს ალღოზეა დამოკიდებული... ამ ნაკლის აღმოსაფხვრელად დილმის საწვრთნელ ბაზაზე მეკარის სავარჯიშოდ სპეციალური კედელი იყო გაკეთებული. ამ კედელზე საათობით ვვარჯიშობდი. ასეთი მუშაობა ალღოს უძლიერებს მეკარეს, თუ გრძნობ, რომ ალღო გღალატობს, შეგრძნება ქრება, უმალ ამ ვარჯიშებზე უნდა გააკეთო აქცენტი. გარდა ამისა, მეკარისთვის ბურთის დაუფლების არაერთი ტექნიკაა, როგორ უნდა დაიჭირო ბურთი, როგორ „ჩასვა მუცელში", როგორ იდგე მოედანზე მყარად... ზოგი მეკარე ბურთს ორი შეხებით ეუფლება, ზოგი „აქვავებს"... ყველას თავისი ტექნიკა აქვს. ყველა მეკარე იმ ტექნიკას იყენებს, რა კოზირიც აქვს მონაცემებით, თვისებებითა და აღნაგობით.

**- იმ სამ მეკარეზე ვთქვათ, რომელთაც ეროვნულ გუნდში ბოლო ხანს სტაბილურად იძახებდნენ - ლომაია, მამალაძე, ბედიაშვილი...**

- სამივეს კარგად ვიცნობ პიროვნულადაც და პროფესიული თვისებებითაც. ჩავარდნისგან არავინაა დაზღვეული, მაგრამ მეკარეს მტკიცე ხასიათი სჭირდება საკუთარ თავთან საბრძოლველად, ნაკლის დახვეწაზე მეტად უნდა იზრუნოს. იმედია, საწყენად არ მიიღებს... ტოპმიოლერი ლომაიას ერთი ხანობა ნაკრებში არ იძახებდა, მერე კუპერმა დააბრუნა. ველოდი, რომ ის საკუთარი შეცდომების დახვეწაზე მეტს იმუშავებდა, მაგრამ... ალბათ, დააკლო რაღაც... გიორგის შეუძლია უკეთეს დონეზე თამაში და იმედია, ამას დაამტკიცებს... რაც შეეხება ბედიაშვილსა და მამალაძეს, მათ სანაკრებო დონეზე სათანადო გამოცდილება არ აქვთ. ნუ დაგვავიწყდება, რომ ისინი საქართველოს პირველობაზე თამაშობენ და ზოგჯერ ნაკლები დატვირთვა აქვთ, რაც კონდიციებსა და გამოცდილებაზე მოქმედებს... ძველ დროს გავიხსენებ - საბჭოური პირველობისას, თუნდაც ჩემს მომდევნო თაობებში, გუნდის ვარჯიში რომ დამთავრდებოდა, მეკარეების მეორე წვრთნა მერე იწყებოდა...

**- ვისაც ეროვნულ გუნდში ჯერ არ უთამაშია, იმათგან მეკარეებიდან ვის გამოარჩევდით?**

- ვფიქრობ, როინ კვასხვაძე მეტ ყურადღებას იმსახურებს. ამ ბოლო ხანს, კარგად წარმოჩნდა ლოკომოტიველი ქვილითაია... მართალია, მათ სათანადო სიმაღლე არ აქვთ, მაგრამ ამას ნახტომითა და სხვა მონაცემებით აბათილებენ.

**- ეროვნული ნაკრების ყოფილი მეკარეებიდან ვის გამოარჩევდით?**

- გამიჭირდება, მაგრამ ალბათ აკაკი დევაძე სხვებზე მცირედით მაინც უკეთესი იყო... ნიჭიერი იყო მირზა მერლანი... სხვათა შორის, კარგი მონაცემები აქვს გიორგი მაკარიძესაც, მაგრამ არ ვიცი, აქვს თუ არა პრაქტიკა „ლე მანში"... მეკარეებზე ვსაუბრობთ და არ შემიძლია, თეიმურაზ სტეფანია არ გავიხსენო. არ ვაჭარბებ - ის მოვლენა იყო! საუკეთესო უნდა ყოფილიყო, მაგრამ ტრაგიკულად დაიღუპა. დღესაც კარგად მახსოვს - მოსკოვის „დინამოსა" და „არარატთან" მატჩები მარტომ მოიგო...

**- დღევანდელ ბავშვებში ხომ არ ჩანს ვინმე, გამორჩეული?**

- „არველაძეების ფონდის" გუნდ „ჯორჯიაში" ორი გამორჩეული მეკარე გვეზრდება - გოშაძე და ადეიშვილი. უცხოურ ტურნირზე მათ სპეციალური პრიზები გადასცეს.

**- ჩვენმა ნაკრებმა შესარჩევი ციკლი პირველად დაასრულა მოგების გარეშე. ამაში მეკარეთა წვლილი დიდია?**

- ბრალი ყველას მიუძღვის - მეკარეებსაც და სხვა ამპლუის მოთამაშეებსაც. თუმცა ბულგარული ფიასკო მნიშვნელოვანწილად მეკარეთა შეცდომებმა განაპირობა.

**- დღეს თუ ხედავთ იმის საჭიროებას, რომ ეროვნულ ნაკრებში ნატურალიზებული მეკარე მივიწვიოთ?**

- მაღალი კლასის მეკარის „გაქართველებით" პრობლემა ვერ მოიხსნება, ეს ამინდს ვერ შეცვლის. თუ შეიძლება, რომ საკალათბურთო და ფუტზალის ნაკრებში გვყავდეს უცხოელი „ქართველები", რატომ არ შეიძლება იმავე - საფეხბურთო ეროვნულ გუნდშიც? მხოლოდ მეკარე კი არა, მე თუ მკითხავთ, კიდევ სამი-ოთხი მაღალი კლასის უცხოელის, სხვადასხვა ამპლუის მოთამაშის „გაქართველება" ჩვენს ფეხბურთს დიდად წაადგება. მათ გვერდით ჩვენი ფეხბურთელებიც ბევრს ისწავლიან.

**- თქვენ რომელი ქვეყნის სამეკარეო სკოლას ანიჭებთ უპირატესობას?**

- იტალიურსა და რუსულს გამოვარჩევდი. ესპანურიც კარგია. ინგლისელებსაც კარგი კიპერები ჰყავდათ, მაგრამ გაუჭირდათ და ვან დერ სარი და პეტერ ჩეხი წაიყვანეს პრემიერლიგის გამორჩეულმა კლუბებმა.

**- კუპერის გუნდის წარუმატებლობას რით ახსნიდით?**

- არასწორი სელექციით. ნუთუ ამ ნაკრებში ასათიანის, გოგუას, ამისულაშვილის, სალუქვაძის, კვირკველიას, მუჯირის, კანდელაკის, ლვინიანიძის... ადგილი ვერ მოიძებნა? რუსეთის პრემიერლიგა მაღალი დონისაა, იქ რომ ფეხბურთელი სტაბილურად თამაშობს და სიმბოლურშიც ხშირად ხვდება, მისი უგულებელყოფა დიდი შეცდომაა... სოფიის მატჩის შემდეგ ისიც დაიწერა, ნაკრები სტაჟიანმა ფეხბურთელებმა უნდა დატოვონო. ეს მიუტევებელი შეცდომა იქნება, ამით გამოცდილ ფეხბურთელებსაც დავკარგავთ და იმ ახალგაზრდებსაც დავღუპავთ, რომლებმაც ძველი თაობა უნდა შეცვალონ. ყენია, მჭედლიძე, ანანიძე და ამ თაობის ფეხბურთელები კობიაშვილის, კალაძის, ასათიანის, ხიზანიშვილის, იაშვილის გვერდით უფრო თავისუფლად ითამაშებენ. ის ახალბედა მშვიდად იქნება, ეცოდინება, რომ შეცდომა თუ მოუვა, ის გამოცდილი გამოასწორებს. დიდმა ანდრო ჟორდანიამ ასე გაგვზარდა, ჩემი შემდგომი თაობებიც ასე გაიზარდნენ. გამოცდილი ფეხბურთელების თაობის ჩამოწერა უდიდესი შეცდომა იქნება, პირიქით, ეს ახალი თაობა მათ გვერდით მეტს ისწავლის.

**- ფაქტობრივად, გადაწყვეტილია, რომ ეროვნულ ნაკრებს თემურ ქეცბაია ჩაიბარებს და დიდი მუშაობა მოუწევს, მეთანხმებით?**

- დიახ, ახალ მწვრთნელს ნულიდან მოუწევს ახალი გუნდის აშენება. მჯერა, ქეცბაიას ეს გათავისებული აქვს და იცის, სადაც მიდის, რისი გაკეთება მოუწევს, რა მასალა, კადრი დახვდება და რამდენი შრომა დასჭირდება... იმის ილუზია ნურავის ექნება, რომ ქეცბაია იქნება თუ სხვა ნებისმიერი, ჩაიბარებს თუ არა ნაკრებს, მაშინვე ჯგუფიდან გავალთ. ეს კი არა, ცხრილში ერთი-ორი საფეხურით წინ რომ წავიწიოთ და გუნდმა გამართული თამაში აჩვენოს, ამ ეტაპზე ესეც პროგრესი იქნება.

**დავით ცაბაძე**

აქტუალური თემა



# ნატურალიზაციას მომხრეები მოუმრავლდნენ

## სვანაძე: გვინდა, თან ყველა პოზიციაზე!

**საქართველოს ეროვნულ ნაკრებში უცხოელი ფეხბურთელების ნატურალიზაციის შესახებ ბოლო პერიოდში აქტიურად საუბრობენ. უდავოა, რომ ჩვენს ქვეყანას მაღალი დონის შემსრულებლების ნ[illegible] დეფიციტი აქვს, თუმცა ნაკრებში უცხოელების მოწვევის თაობაზე განსხვავებული მოსაზრებები არსებობს. ის კი აღსანიშნავია, რომ საქართველოს ნაკრების დაღმასვლის პროპორციულად, ნატურალიზაციის მომხრეების რიცხვი საგრძნობლად იზრდება. ამ საჭირბოროტო თემის შესახებ აზრის გამოთქმა მწვრთნელებს, ვეტერანებსა და მოქმედ ფეხბურთელებს ვთხოვეთ. საკითხის აქტუალურობიდან გამომდინარე, ჩვენი გაზეთის უახლოეს ნომრებში ქართული საფეხბურთო საზოგადოების სხვა წარმომადგენელთა მოსაზრებებსაც შემოგთავაზებთ.**

***აკაკი დევაძე*** *(საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილი მეკარე):*

- აშკარაა, რომ პრობლემები ყველა რგოლში გვაქვს, მაგრამ მე ამ მტკივნეულ საკითხს მეკარის პოზიციიდან ვუყურებ. ნატურალიზაციაში ცუდს ვერაფერს ვხედავ, პირველ რიგში კი მაღალი დონის უცხოელი მეკარე უნდა ჩამოვიყვანოთ. ამის გარეშე ნაკრები წარმატებას ვერ მიაღწევს.

***ზაურ სვანაძე*** *(საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი):*

- პრობლემა მხოლოდ მეკარის კი არა, ყველა პოზიციაზე გვაქვს. ასე რომ, დროა, ყველა ამპლუის მაღალი დონის ფეხბურთელები „გავაქართველოთ".

***მერაბ კოჭლაშვილი*** *(ვიტ ჯორჯიას მთავარი მწვრთნელი):*

- ამ საკითხზე ჩამოყალიბებული პოზიცია არ მაქვს. ერთი მხრივ, ამ პრაქტიკას მსოფლიოს წამყვანი ნაკრებები იყენებენ და შეიძლება, ჩვენც ვცადოთ. გასაგებია, რომ ნორმალური დონის მეკარე არ გვყავს, მაგრამ გვიჭირს სხვა პოზიციებშიც. ისიც ფაქტია, რომ ერთი-ორი თუნდაც ძლიერი უცხოელი საქართველოს ნაკრებს საგრძნობლად ვერ გააძლიერებს. ამ საკითხზე გადამწყვეტი სიტყვა ნაკრების ახალმა მწვრთნელმა უნდა თქვას.

***რამაზ მუმლაძე*** *(ვიტ ჯორჯიას ყოფილი მთავარი მწვრთნელი):*

- მეკარის პრობლემა რომ გვაქვს, ეს აშკარაა. ასე რომ, პირველ რიგში, ამ საქმეს უნდა მივხედოთ. თუ ძლიერმა უცხოელმა გოლკიპერმა საქართველოს ნაკრებში თამაშის სურვილი გამოთქვა, ყოველ მიზეზგარეშე უნდა ჩამოვიყვანოთ.

***გრიგოლ ჭანტურია*** *(ოლიმპი, საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილი მეკარე):*

- ამ საკითხზე ცალსახა პოზიცია მაქვს - საქართველოს ნაკრებში მხოლოდ ქართველები უნდა თამაშობდნენ. უდავოა, რომ მაღალი კლასის მეკარე არ გვყავს, მაგრამ არსებული კადრებით უნდა გავიდეთ ფონს.

***კობა ჟორჟიკაშვილი*** *(საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი მწვრთნელი):*

- ამ თემაზე ჩემი პოზიცია ცალსახაა - უცხოელთა ნატურალიზაციის იდეას არ ვემხრობი.

***ვარლამ კილასონია*** *(ოლიმპის ყოფილი მწვრთნელი):*

- ეს მთელ მსოფლიოში აპრობირებული მეთოდია, რომელიც ამართლებს. ასე რომ, არ მესმის, რატომ უნდა ვთქვათ უარი კვალიფიციურ უცხოელ ფეხბურთელებზე. ოღონდ ისეთი მოთამაშეები უნდა ჩამოვიყვანოთ, რომლებიც ჩვენებს ბევრად აღემატებიან. თუ ნაკრების ახალმა მწვრთნელმა ნატურალიზაციას მხარი დაუჭირა, მის ნაბიჯს დავეთანხმები. ძალიან მომწონს „ოლიმპის" ბრაზილიელი ლიდერი აკინო, მაგრამ თუ უცხოელები ჩამოვიყვანეთ, მასზე ძლიერები უნდა იყვნენ.

***ვლადიმერ ხაჩიძე*** *(სპარტაკის მთავარი მწვრთნელი):*

- უცხოელ მოთამაშეთა ნატურალიზაციის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მთავარია, ძლიერი ფეხბურთელები შევარჩიოთ, ისეთები, რომლებიც ჩვენებზე რამდენიმე თავით მაღლა იდგებიან. პრობლემას ჩვენი ნაკრების ყველა რგოლში ვხედავ, ასე რომ, მინიმუმ 3-4 ძლიერი უცხოელი ფეხბურთელი ნამდვილად არ გვაწყენს.

***უჩა ლობჟანიძე*** *(ზესტაფონის მცველი):*

- ჩემთვის, როგორც საქართველოს ნაკრების წევრისთვის, ცოტა უხერხულია ამ თემაზე საუბარი, მაგრამ ჩემს აზრს მაინც ვიტყვი: პრობლემა ყველა პოზიციაზე გვაქვს, მაგრამ ჯობია, საქართველოს ღირსება ქართველმა ფეხბურთელებმა დაიცვან.

***ბესიკ შეროზია*** *(ბაიას მთავარი მწვრთნელი):*

- უცხოელების ნატურალიზაცია არაა სასურველი, მაგრამ დღეს ისეთ მდგომარეობაში ვართ, რომ სხვა გამოსავალი არ გვაქვს. პირველ რიგში, მეკარის პრობლემა უნდა მოვაგვაროთ, შემდეგ კი რამდენიმე ძლიერი ფეხბურთელი სხვა პოზიციებზეც მოვძებნოთ. ამასობაში კი თუ სწორად ვიმუშავეთ, ქართული ფეხბურთი ნელ-ნელა ფეხზე დადგება, ძლიერი ახალი თაობა ზწამოვა და მოთამაშეების საზღვარგარეთიდან მოწვევა აღარ დაგვჭირდება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● საქართველოს ნაკრები

პირველიდან დღემდე

# ასე იწყებოდა...

**საქართველოს ეროვნული ნაკრები ახალი მწვრთნელის მოლოდინშია; ვინ დაინიშნება ამ საპასუხისმგებლო პოსტზე, ამას ძალიან მალე შევიტყობთ. მანამდე ყველა ის სპეციალისტი გვინდა შეგახსენოთ, 1990 წლიდან დღემდე საქართველოს ნაკრები რომ გაუწვრთნიათ: გივი ნოდია, გიგა ნორაკიძე, ალექსანდრე ჩივაძე, დავით ყიფიანი, რევაზ ძოძუაშვილი, ვლადიმერ გუცაევი, გიგლა იმნაძე, იოჰან ბოსკამპი (ჰოლანდია), ივო შუშაკი (ხორვატია), მერაბ ჟორდანია, გოჩა ტყებუჩავა, ალენ ჟირესი (საფრანგეთი), გაიოზ დარსაძე, კლაუს ტოპმიოლერი (გერმანია), პეტარ შეგრტი (ხორვატია) და ექტორ კუპერი (არგენტინა).**

**ამ თექვსმეტ სპეციალისტს სხვადასხვა რაოდენობის მატჩში მოუწიათ ჩვენი უპირველესი გუნდის გაწვრთნამ; შედეგიც, რაღა თქმა უნდა, სხვადასხვა ჰქონდათ და ამიტომაც გვინდა შემოგთავაზოთ ცხრილი, სადაც თითოეული მწვრთნელის სტატისტიკური მაჩვენებლებია. ანუ, ვინ რამდენჯერ უხელმძღვანელა საქართველოს ნაკრებს და რა შედეგს მიაღწია (მოგება, ფრე, წაგება, ბურთების სხვაობა, ქულა); რაც მთავარია, ცხრილის ბოლო გრაფაში მითითებულია თითოეული მწვრთნელის პროცენტული მაჩვენებელი და ამ მხრივ ყველაზე კარგი შედეგი დავით ყიფიანს (დამოუკიდებლად მუშაობის პერიოდში) ჰქონდა - 61,9 პროცენტი! ამას გარდა, კიდევ ერთხელ გვინდა გავიხსენოთ, თუ როგორ ასპარეზობდა საქართველოს ნაკრები ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატების შესარჩევ ეტაპებზე; ჰო, დრო იყო, შესარჩევ ციკლს 15 ქულით ვასრულებდით ხოლმე და ჯგუფიდან რატომ ვერ გავედითო (?), ამის გამო ჩვენი ნაკრების მწვრთნელ-ფეხბურთელებს ვაკრიტიკებდით...**

**სამწუხაროდ, ყველაფერი ეს ადრე იყო, ბოლო წლებში კი, ჩვენი ნაკრების პროგრამა-მაქსიმუმი თუ მინიმუმი მხოლოდ ის არის, რომ, როგორმე, ჯგუფში ბოლო ადგილს ასცდეს. ეგ კი არა, უკანასკნელ შესარჩევ ციკლში საქართველოს ნაკრებმა, არსებობის განმავლობაში პირველად „მოახერხა“ და ვერც ერთი შეხვედრა ვერ მოიგო! თან, ოფიციალურებს ვინ ჩივის, ამხანაგურ შეხვედრებშიც ისეთ გუნდებთან ვაგებდით, არცთუ დიდი ხნის წინათ, ჩვენზე სუსტებად რომ მიგვაჩნდა; თუმცა, ალბათ, დროა ვაღიაროთ, რომ დღესდღეობით ევროპაში ჩვენზე სუსტი ნაკრები, შესაძლოა, ორი-სამიღა იყოს - ამ შემთხვევაში, პირველი რაც გვახსენდება, ანდორა და სან-მარინოა, თორემ იმავე ლიხტენშტაინთან, კიდევ საკითხავია, რა შედეგს მივაღწევთ. როგორც ამჩნევთ, მალტა, ლუქსემბურგი, მოლდოვა თუ ისლანდია შეგნებულად არ დაგვისახელებია - უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ამ ქვეყნების ნაკრებების „სიძლიერე“ ხომ საკუთარ თავზე გამოვცადეთ...**

**...ვერაფერს ვიტყვით - მართლაც, არასახარბიელო სიტუაციაში მოუწევს საქართველოს ნაკრების ახალ თავკაცს მუშაობა; ძალიან ბევრ პრობლემასთან ერთად, უპირველეს ყოვლისა, საჭირო იქნება ნაკრების ფეხბურთელთათვის „გამარჯვებულის მენტალიტეტის“ დაბრუნება; თორემ, რაღა დასამალია და თითოეულ ქართველ ქომაგთან ერთად, ალბათ, ჩვენი ფეხბურთელებიც დათრგუნვილებიც იქნებიან ამდენი წარუმატებლობით...**


ალექსანდრე ჩივაძე

## ვიდრე გვაღიარებდნენ...

დღეისათვის საქართველოს ნაკრებს 151 შეხვედრა აქვს ჩატარებული და საერთო შედეგიც, რაღა თქმა უნდა, არცთუ წარმატებულია: 42 მოგება, 28 ფრე და 81 წაგება (ბურთების სხვაობა 178-239). აქვე უნდა განვმარტოთ, რომ ყველა შეხვედრის შედეგი გვაქვს გათვალისწინებული; ანუ, ამ ნუსხაში ის ამხანაგური მატჩებიც მოხვდა, 1990-93 წლებში რომ ჩაატარა საქართველოს ნაკრებმა (ვიდრე ფიფა და უეფა თავის რიგებში გაგვაწევრებდა).

საქართველოს ნაკრებმა პირველი შეხვედრა 1990 წლის 27 მაისს ჩაატარა, როდესაც თბილისში ლიტვის ნაკრებს ფრედ 2:2 ვეთამაშეთ. იმ შეხვედრაში საქართველოს ნაკრებს **გივი ნოდია** ხელმძღვანელობდა, რუსთავის „გორდას“ მთავარი მწვრთნელი; წელიწადზე მეტი დასჭირდა, ვიდრე ჩვენთან პაექრობის სურვილს ვინმე გამოთქვამდა და აი, 1991 წლის 2 ივლისს საქართველოს ნაკრებმა კიშინიოვში მოლდოვის ნაკრების დამარცხება შეძლო (4:2). ამ დროისათვის გუნდს უკვე **გიგა ნორაკიძე** წვრთნიდა, ვისი ხელმძღვანელობითაც ჩვენმა ნაკრებმა კიდევ სამი ამხანაგური მატჩი ჩაატარა: გურჯაანში აზერბაიჯანს 6:3 მოვუგეთ, ხოლო ლიტვასა და კვიპროსში ერთნაირი ანგარიშით (0:1) დავმარცხდით. სამწუხაროდ, მიზეზთა გამო, 1992 წლის დეკემბერში, კვიპროსზე განცდილი მარცხის მერე ნორაკიძე თანამდებობიდან გაათავისუფლეს (მეორე ვერსიით - თვითონ უთხოვია წასვლა) და ნაკრებიც, კარგა ხნის განმავლობაში, უმწვრთნელოდ დარჩა. ასე იყო 1993 წლის მაისამდე, ვიდრე ამ პოსტს ლეგენდარულ ქართველ ფეხბურთელს **ალექსანდრე ჩივაძეს** არ ჩააბარებდნენ. სამწუხაროდ, ჩივაძის დებიუტი წარუმატებელი გამოდგა - განჯაში აზერბაიჯანთან მინიმალური ანგარიშით (0:1) წავაგეთ. ძალიან დიდი შანსი იყო, რომ ის შეხვედრა ჩვენთვის სასიკეთო შედეგით დასრულებულიყო, თუმცა ჩივაძე ფეხბურთელების შერჩევაში ფრიად შეზღუდული აღმოჩნდა. საქმე კი ის იყო, რომ აზერბაიჯანთან მატჩში მონაწილეობა არ მიუღიათ საქართველოს ორი საუკეთესო გუნდის ფეხბურთელებს: განჯაში მატჩი 25 მაისს ჩატარდა, მეორე დღეს კი თბილისის „დინამო“ და ბათუმის „დინამო“ საქართველოს თასის ფინალში ხვდებოდნენ ერთმანეთს...

ამის შემდეგ საქართველოს ნაკრებმა მეტ-ნაკლები წარმატებით ჩაატარა ამხანაგური მატჩები და რასაც ფიასკო ჰქვია, მხოლოდ ერთხელ იწვნია, როცა 1994 წლის 11 ივნისს ნიგერიაში ამ ქვეყნის ნაკრებთან დიდი ანგარიშით (1:5) წააგო. ეს შედეგი, რაღა თქმა უნდა, კრიტიკულად შეფასდა, თუმცა ძალიან მალე „გაირკვა“, თუ რა დონის მეტოქესთან წაგვიგია, როცა ნიგერიის ნაკრების ფეხბურთელთა უმრავლესობა **(ოკოჩა, იეკინი, ფინიდი, ამოკაჩი, ოლისე, ოკეჩუკვუ, სიასია, ამუნიკე)** ევროპის ცნობილ კლუბებში ჩაირიცხა. აღარაფერს ვამბობთ ნიგერიის ნაკრებზე - 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე მერვედფინალში რომ გავიდა და იქაც ძალიან ახლოს იყო მორიგ სენსაციასთან, რომ არა **რობერტო ბაჯოს** ზღაპრული თამაში.


დავით ყიფიანი

...და აი, 1994 წლის 19 ივლისს, მალტის ნაკრებთან ჩატარებული ტესტ-მატჩის შემდეგ უეფამ ნება დაგვრთო, რომ ოფიციალური შეხვედრები თბილისში ჩაგვეტარებინა. ამასობაში კი, კარს იყო მომდგარი ჩვენი ნაკრებისათვის სადებიუტო შესარჩევი ციკლი და ქართველებისთვის „დამახასიათებელი“ ჩვეული ოპტიმიზმით თითქმის ყველას გვჯეროდა, რომ ევროპის 1996 წლის ევროპის ჩემპიონატი უჩვენოდ არ ჩაივლიდა. სამწუხაროდ, ჯგუფიდან ვერ გავედით, მაგრამ ყველაზე კარგი შედეგი სწორედ სადებიუტო ციკლში გვქონდა: 15 ქულა და ჯგუფში მესამე ადგილი.

აი, იმას კი ნამდვილად ვერაფრით წარმოვიდგენდით, რომ მსგავს შედეგს მომავალში ვერასდროს მივაღწევდით...

## ორი გამონათება

...გუშინაც ვწერდით, რომ **ექტორ კუპერის** ხელმძღვანელობით ჩატარებულ 16 შეხვედრაში საქართველოს ნაკრებში 43-მა ფეხბურთელმა მიიღო მონაწილეობა. რა თქმა უნდა, დიდი ციფრია, მით უფრო, როცა გარკვეული ექსპერიმენტები უშუალოდ ოფიციალურ შეხვედრებს ემთხვეოდა. ოღონდ, გვინდა მკითხველმა ისიც იცოდეს, რომ ამ მხრივ კუპერი რეკორდსმენი სულაც არ ყოფილა - მასზე მეტი ექსპერიმენტი სხვებსაც ჩაუტარებიათ; ისეთი ფაქტიც ბევრი ყოფილა, საქართველოს ნაკრებში გამოძახებულ ფეხბურთელებზე გაკვირვება რომ ვერ დაგვიმალავს - ამათ „აქ“ რა უნდათ, ან რა „დამსახურებით“ მოხვდნენო...

პირველ შესარჩევ ციკლში ჩვენმა ნაკრებმა ათი მატჩი ჩაატარა და ალექსანდრე ჩივაძის ხელმძღვანელობით 29 ფეხბურთელმა ითამაშა. აღსანიშნავია, რომ ამ ათ შეხვედრაში ძირითადი ბირთვი გამოკვეთილი იყო და 17-18 ფეხბურთელს შეადგენდა. აქედან გამომდინარე, არც უნდა გაგვიკვირდეს, რომ ყველაზე მაღალ შედეგს ჩვენმა ნაკრებმა სწორედ პირველ შესარჩევ ციკლში მიაღწია.

მომდევნო შესარჩევი ეტაპიც ალექსანდრე ჩივაძემ დაიწყო, ნაკრებში ერთადერთი დებიუტანტი 19 წლის **ლევან კობიაშვილიც** გამოჩნდა; თუმცა, 1996 წლის შემოდგომაზე სტუმრად იტალიასთან და ინგლისთან საშინაო მარცხის მერე ალექსანდრე ჩივაძე კრიტიკის უდიდეს წნეხში მოექცა; საბოლოოდ კი ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ 1997 წლის იანვარში ჩივაძე ნაკრების თავკაცის პოსტიდან გადადგა და ძველ სამსახურს (ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი იყო) დაუბრუნდა. მის ნაცვლად კი ჩვენს ნაკრებს სათავეში კიდევ ერთი ლეგენდარული ქართველი ფეხბურთელი **დავით ყიფიანი** ჩაუდგა. ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ საქართველოს ნაკრების მწვრთნელებს შორის, პროცენტულად ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დავით ყიფიანს ჰქონდა. საერთო ჯამში, 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე საქართველოს ნაკრების ასპარეზობას წარუმატებელი ნამდვილად არ ეთქმოდა: კატოვიცეში, პოლონეთთან დიდი ანგარიშით (1:4) წაგებას თუ არ ჩავთვლით, ჩვენს უპირველეს გუნდს, თამაში არ ჩაუგდია. სულ კი იმ შესარჩევ ციკლში საქართველოს ნაკრების მაისურით 26-მა ფეხბურთელმა იასპარეზა, აქედან რვა დებიუტანტი იყო: **კახა კალაძე, ნიკა ტოგონიძე, გელა შეყილაძე, გიორგი კიკნაძე, ზაზა ჯანაშია, გიორგი დარასელია, გიორგი გახოკიძე, ვალტერ გუჩუა.**

ის შესარჩევი ციკლი ჩვენმა ნაკრებმა პოლონეთის განადგურებით დაამთავრა, თუმცა დავით ყიფიანს ჯერ კიდევ იმ შეხვედრამდე ჰქონდა ნათქვამი, რომ ბოლო მატჩში ნაჩვენები ნებისმიერი შედეგის მიუხედავად თანამდებობას ტოვებდა. სამწუხაროდ, იმ, მართლაც, შთამბეჭდავი გამარჯვების შემდეგ ყიფიანს აზრი ვერ შეაცვლევინეს. უფრო ზუსტად, ეს... არც არავის უცდია და ისეთი შთაბეჭდილებაც რჩებოდა, თითქოს, ელოდნენ კიდეც, თუ როდის წავიდოდა საკუთარი სურვილით...

საბოლოოდ კი ის შესარჩევი ციკლი ჩვენმა ნაკრებმა მეოთხე ადგილზე დაასრულა, ოღონდ, პოლონელებს მხოლოდ დამატებითი მაჩვენებლით ჩამოვრჩით, თორემ ზედიზედ მეორედ მესამე ადგილზე გავიდოდით...

გია ტუხაშვილი

**1996. ევროპის ჩემპიონატი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გერმანია | 10 | 8 | 1 | 1 | 27-10 | 25 |
| 2. ბულგარეთი | 10 | 7 | 1 | 2 | 24-10 | 22 |
| 3. საქართველო | 10 | 5 | 0 | 5 | 14-13 | 15 |
| 4. მოლდოვა | 10 | 3 | 0 | 7 | 11-27 | 9 |
| 5. უელსი | 10 | 2 | 2 | 6 | 6-19 | 8 |
| 6. ალბანეთი | 10 | 2 | 2 | 6 | 10-16 | 8 |

**1998. მსოფლიოს ჩემპიონატი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინგლისი | 8 | 6 | 1 | 1 | 15-2 | 19 |
| 2. იტალია | 8 | 5 | 3 | 0 | 11-1 | 18 |
| 3. პოლონეთი | 8 | 3 | 1 | 4 | 10-12 | 10 |
| 4. საქართველო | 8 | 3 | 1 | 4 | 7-9 | 10 |
| 5. მოლდოვა | 8 | 0 | 0 | 8 | 2-21 | 0 |

გაგრძელება შემდეგ ნომერში

**ყველა მწვრთნელის მონაგარი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | % |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ალექსანდრე ჩივაძე | 35 | 13 | 4 | 18 | 43-51 | 30 | 28.5 |
| კლაუს ტოპმიოლერი | 24 | 6 | 4 | 14 | 26-35 | 22 | 30.5 |
| ექტორ კუპერი | 16 | 1 | 4 | 11 | 13-30 | 7 | 14.5 |
| დავით ყიფიანი, რევაზ ძოძუაშვილი | 16 | 5 | 5 | 6 | 17-18 | 20 | 41.6 |
| ვლადიმერ გუცაევი | 15 | 5 | 3 | 7 | 20-26 | 18 | 40.0 |
| ალენ ჟირესი | 10 | 2 | 2 | 6 | 11-18 | 8 | 26.6 |
| დავით ყიფიანი | 7 | 4 | 1 | 2 | 14-6 | 13 | 61.9 |
| გაიოზ დარსაძე | 7 | 2 | 2 | 3 | 9-17 | 8 | 38.0 |
| იოჰან ბოსკამპი | 5 | 0 | 1 | 4 | 5-9 | 1 | 00.6 |
| გიგა ნორაკიძე | 4 | 2 | 0 | 2 | 10-7 | 6 | 50.0 |
| მერაბ ჟორდანია | 3 | 1 | 0 | 2 | 5-6 | 3 | 33.3 |
| გოჩა ტყებუჩავა | 3 | 0 | 0 | 3 | 1-8 | 0 | 00.0 |
| ივო შუშაკი | 2 | 1 | 0 | 1 | 1-2 | 3 | 50.0 |
| პეტარ შეგრტი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-3 | 1 | 16.6 |
| გივი ნოდია | 1 | 0 | 1 | 0 | 2-2 | 1 | 33.3 |
| გიგლა იმნაძე | 1 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 0.00 |

ეროვნული ბიბლიოთეკა



გასხვდებული ფენომენი



# ის, რაც აქამდე არ ვიცოდით

## ის საჩხერეში ფეხბურთს ეხმარება

საჩხერის რაიონში თუ გაივლი, მიხვდები - ბევრმა არ ვიცით, რა ხდება ჩვენს ქვეყანაში. „მისთვის" არ არსებობს სიტყვა პიარი და საქმეს უჩუმრად აკეთებს.

გაგახსენდებათ ქართველი ბიზნესმენი, ან რომელიმე მინისტრი, მცირედი საქმე, ან თუნდაც უპატრონო ბავშვებისთვის ათეთრიანი კამფეტების გადაცემა რომ არ გაეპიარებინოს? ეს ქველმოქმედება აღარაა, ეს ანგარებაა.

„ის" საჩხერელი კაცი კი ჩრდილში დგას, ჭირის დღესავით ვერ იტანს აფიშირებას და სხვებსაც უკრძალავს - არ მახსენოთ, რამეს რომ ვაკეთებო.

არადა, ქართულ ფეხბურთს უდიდეს საქმეს უკეთებს, ჩვენ კი გონზეც არ ვყოფილვართ - ქართველი გულშემატკივრისთვის ცნობილია, რომ მშვენიერი ბაზა აშენდა ზუგდიდში, საგურამოში, რომ ზესტაფონს საკუთარი „მილანელოს" აშენება განუზრახავს, მაგრამ არ ვიცოდით, რომ ბოლო დროს საჩხერეში ორი ჩინებული საფეხბურთო ბაზა აშენდა.

ეს ამბავიც სხვებისგან შევიტყვეთ. სანაკრებო პაუზის დროს, რუსთავის „ოლიმპმა" საჩხერეში გადაწყვიტა მომზადება და ოთარ კორღალიძემ, კლუბის მაშინდელმა მთავარმა მწვრთნელმა გვითხრა, რომ „ჩიხურას" კარგი ბაზები აუშენეს და ხანმოკლე შეკრებას იქ ჩავატარებთო.

მას შემდეგ საჩხერეში გამგზავრება და მასალის მომზადება გადავწყვიტეთ და არც შევმცდარვართ - ფეხბურთის განვითარებისთვის საფუძველი საქართველოს ერთ რეგიონში მაინც ჩაუყარეს. როდესაც გულშემატკივართა ნაწილი მიიჩნევდა, რომ „მან" ფეხბურთზე ხელი აიღო, რადგან „ჩიხურას" ძველებურად აღარ აფინანსებდა, გაცილებით მადლიანი საქმეები წამოუწყია, ვიდრე გუნდის დაფინანსებაა.

საჩხერეში ფეხბურთის განვითარებაზე პასუხისმგებელი ჯგუფი აამოქმედა, რომელიც მთელი რაიონის მასშტაბით სკოლებსა და გუნდებს აკონტროლებს და მას ცნობილი მწვრთნელი სოსო ფრუიძე ხელმძღვანელობს.

„მან" საჩხერეში სამი წლის წინ დაიწყო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რაც დღეს უპირველეს პრობლემადაა ქცეული. უკვე აშენებულია ორი თანამედროვე სპორტული ბაზა, სოფლებში მოედნები სავარჯიშო კონდიციამდეა მიყვანილი და მალე ევროპული დონის სტადიონის მშენებლობასაც დაიწყებენ.

საჩხერის „ჩიხურა" პირველ ლიგაში წელს განსაკუთრებული ამბიციებით არ გამოირჩევა, მაგრამ კულისებში ამბობენ, რომ უახლოეს პერიოდში ჩვენს ზესტაფონელ ძმებზე ნაკლები გუნდი არ გვეყოლებაო.

თითქოს, უმნიშვნელო დეტალია, მაგრამ „ჩიხურას" საკუთარი ახალთახალი ავტობუსი ემსახურება - უმაღლესი ლიგის ბევრი გუნდი ტრანსპორტს ქირაობს, საჩხერელებს კი ეს პრობლემა მოუხსნეს.

სოსო ფრუიძე, საჩხერეს რაიონში ფეხბურთის განვითარების ჯგუფის ხელმძღვანელი, პოსტზე „ქართუ ჯგუფმა" დანიშნა და უკვე სამი წელია, რაიონის წარმოჩენას ცდილობს.

**- როგორც ვიცით, თქვენ საჩხერეს რაიონში ფეხბურთის განვითარების სისტემა შეიმუშავეთ.**

- დიახ, „ქართუ ჯგუფმა" დამნიშნა და რაიონში ფეხბურთის განვითარების პროგრამა შევიმუშავეთ. მთელ რაიონში ჯგუფები და საფეხბურთო სკოლები ჩამოვაყალიბეთ, სადაც 350-მდე ბავშვი ვარჯიშობს. მათგან 250-მდე - პირველიდან მეხუთე კლასის ასაკისაა, რაც ყველაზე მეტად გვახარებს - როცა ჩამოვედით, აქ გუნდები არ დაგვხვედრია, მხოლოდ 1991-წლიანები ვარჯიშობდნენ. ჩვენ ჩამოვაყალიბეთ სისტემა, სადაც ყველაფერი ცენტრალიზებულია: როგორი ტაქტიკითაც თამაშობს პირველი გუნდი, იმავე განლაგებას ვაჩვევთ რეგიონალლიგის ფარმკლუბსა და ყველაზე დაბალი ასაკის გუნდსაც. მწვრთნელები ყველა სოფლისა და დასახლების ტურნირს ესწრებიან. მაგალითად, სკოლა არის ჭალისზონაში, სავანეში, კორბოულში, ჯალაურთში და ა.შ. სხვათა შორის, კორბოულში საფეხბურთო სკოლა არასდროს ყოფილა და ჩვენ გავხსენით.

**- ამ ყველაფერს „ქართუ ჯგუფი" უვლის?**

- რა თქმა უნდა, თან ბავშვები ფულს არ იხდიან, ინვენტარით, ბურთებითა და ყველა საჭირო ატრიბუტიკით ვამარაგებთ. მშობელმა სკოლაში ბავშვი უნდა მოიყვანოს, დანარჩენი ჩვენი მისახედია.

**- სამი წლის განმავლობაში პროგრამამ რა შედეგი გამოიღო?**

- ყველაზე მთავარი შედეგი ისაა, რომ ხალხი ფეხბურთით უფრო მასობრივად დაინტერესდა და ბევრი ნიჭიერი ბავშვი გამოჩნდა. მეტი რა შედეგი გინდათ, სამი წლის წინ, სპორტსკოლის მხოლოდ ერთი ჯგუფი დაგვხვდა, რომელსაც ჯონი ქიქაძე ავარჯიშებდა. ამ კაცის დამსახურებაა, რაიონში საბავშვო ფეხბურთი რომ არ მოკვდა. ვატარებთ შიდა სასკოლო პირველობებს, რომელთაც უამრავი ხალხი ესწრება. შერჩეული გვყავს 25-მდე ნიჭიერი ბავშვი, რომლებსაც კვირაში ერთხელ მაინც ვკრიბავთ და ვავარჯიშებთ. ეს მათ წახალისებას და სტიმულირებას ემსახურება. დასავლეთის პირველობაზე 1995-წლიანების გუნდი გვყავს. სხვათა შორის, უკვე მთავარ „ჩიხურაშიც" ფეხბურთელთა 95 პროცენტი ადგილობრივია. ბევრი მათგანი ფეხბურთიდან წასული იყო და მოვაბრუნეთ, რადგან ნიჭიერი ბავშვები იყვნენ და თამაში შეეძლოთ. როდესაც „ჩიხურა" უმაღლეს ლიგაში გამოდიოდა, ფეხბურთელთა უმრავლესობა ჩამოსული გახლდათ, ადგილობრივებს კი გასაქანი არ ეძლეოდათ. ამას ვინ ჩივის, პირველი ლიგის „ჩიხურა 2-სა" და ჭაბუკთა ლიგის (?!) გუნდშიც კი უმრავლესობა ჩამოყვანილი გახლდათ. ასეთ პირობებში ადგილობრივებს არანაირი გასაქანი არ ჰქონდათ, საჩხერეში თითქოს იყო ფეხბურთი, მაგრამ რეალურად სისტემა მოშლილი გახლდათ და ჩვენი მიზანი სისტემის აწყობა იყო და ავაწყვეთ კიდეც.

**- ცოტა არ იყოს, დაუჯერებელი რამ გვითხრეს - თითქოს „ჩიხურას" ბიუჯეტი მილიონი დოლარია და მთავარი გუნდის გარდა, თანხა სწორედ ინფრასტრუქტურულ პროექტებში იხარჯება...**

- მილიონი დოლარი გაზვიადებული თანხაა, ჩვენ არც სხვებზე მეტი გვაქვს და არც ნაკლები. თუმცა აქ არის ისეთი პირობები, რომელიც უმაღლესი ლიგის კლუბებსაც ენატრებათ და რაც ფეხბურთელის ზრდისთვის აუცილებელია.

» მე-6 გვერდზე

### მეორე ლიგა

#### დასავლეთი. VI ტური

| | |
|---|---|
| დინამო (ქთ)-ჩიხურა | 0:1 |
| ტორპედო 2-ბათუმი 2 | 3:0 |
| ბახმარო-მარგვეთი | 1:0 |
| საირმე-გურია 2 | 4:2 |
| სამგურალი-ქ. ტორპედო | 4:0 |
| ადელი-სულორი | 3:1 |
| ჩხერიმელა-სქური | 2:0 |

*იმერეთი ისვენებდა*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ადელი | 11 | 9 | 0 | 2 | 23-8 | 27 |
| 2. იმერეთი | 11 | 6 | 3 | 2 | 28-16 | 21 |
| 3. ტორპედო 2 | 10 | 6 | 3 | 1 | 19-6 | 21 |
| 4. ჩიხურა 2 | 11 | 5 | 3 | 3 | 18-15 | 18 |
| 5. ბახმარო | 11 | 5 | 1 | 5 | 17-19 | 16 |
| 6. ჩხერიმელა | 11 | 5 | 1 | 5 | 14-18 | 16 |
| 7. სამგურალი | 11 | 4 | 3 | 3 | 19-17 | 16 |
| 8. გურია 2 | 10 | 4 | 2 | 4 | 16-15 | 14 |
| 9. ბათუმი 2 | 10 | 4 | 2 | 4 | 11-10 | 14 |
| 10. სქური | 11 | 4 | 2 | 5 | 12-13 | 14 |
| 11. დინამო (ქ) | 12 | 4 | 0 | 8 | 11-22 | 12 |
| 12. საირმე | 11 | 3 | 2 | 6 | 17-25 | 11 |
| 13. მარგვეთი | 11 | 2 | 5 | 4 | 12-12 | 11 |
| 14. ქ. ტორპედო | 11 | 2 | 4 | 5 | 16-23 | 10 |
| 15. სულორი | 12 | 1 | 4 | 7 | 16-28 | 7 |

თფფ

## ასაკობრივი ჩემპიონატები

### ელიტლიგა 1993

#### I ჯგუფი. V ტური

| | |
|---|---|
| ოლიმპი (რუს)-თბილისი | 3:0 |
| შევარდენი-ოლიმპიკი 1 | 1:3 |

#### VI ტური

| | |
|---|---|
| თბილისი-35-ე სკოლა 1 | 0:0 |
| წ/დინამოელი-ავაზა | 0:4 |
| დინამოს აკად.-ვიტ ჯორჯია | 0:2 |
| ბორჯომი-შევარდენი | 7:1 |
| ოლიმპიკი 1-ოლიმპი (რუს) | გადაიდო |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ავაზა | 6 | 4 | 1 | 1 | 19-6 | 13 |
| 2. ვიტ ჯორჯია | 5 | 4 | 1 | 0 | 12-4 | 13 |
| 3. დინამოს აკად. | 5 | 4 | 0 | 1 | 21-6 | 12 |
| 4. ბორჯომი | 6 | 3 | 1 | 2 | 14-16 | 10 |
| 5. ოლიმპიკი 1 | 4 | 2 | 1 | 1 | 12-7 | 7 |
| 6. თს აკადემია 1 | 4 | 2 | 1 | 1 | 10-6 | 7 |
| 7. ოლიმპი (რუს) | 4 | 2 | 1 | 1 | 8-6 | 7 |
| 8. მთ. გლობუსი | 5 | 2 | 0 | 3 | 9-10 | 6 |
| 9. 35-ე სკოლა 1 | 5 | 1 | 2 | 2 | 11-9 | 5 |
| 10. წ/დინამოელი | 6 | 1 | 1 | 4 | 8-19 | 4 |
| 11. შევარდენი | 6 | 1 | 0 | 5 | 11-32 | 3 |
| 12. თბილისი | 6 | 0 | 1 | 5 | 8-22 | 1 |

#### VI ტური

| | |
|---|---|
| ლიდერი 2009-35 მეტეხი | 1:0 |
| ძიზიყი-აკადემია 2 | 2:1 |
| იმედი-35-ე სკოლა 2 | 1:3 |
| კახეთი-საბურთალო | 0:4 |
| ოლიმპიკი 2-ამერი | გადაიდო |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საბურთალო | 5 | 4 | 1 | 0 | 14-4 | 13 |
| 2. მერანი | 4 | 4 | 0 | 0 | 19-5 | 12 |
| 3. ლიდერი 2009 | 5 | 4 | 0 | 1 | 16-7 | 12 |
| 4. ვეფხვები | 5 | 3 | 0 | 2 | 8-4 | 9 |
| 5. ამერი | 5 | 3 | 0 | 2 | 11-11 | 9 |
| 6. ოლიმპიკი 2 | 5 | 2 | 2 | 1 | 4-4 | 8 |
| 7. 35-ე სკოლა 2 | 6 | 2 | 2 | 2 | 9-15 | 8 |
| 8. ძიზიყი | 5 | 1 | 3 | 1 | 4-5 | 6 |
| 9. თს აკადემია 2 | 6 | 1 | 2 | 3 | 9-9 | 5 |
| 10. კახეთი | 6 | 1 | 1 | 4 | 3-16 | 4 |
| 11. იმედი | 6 | 0 | 2 | 4 | 4-11 | 2 |
| 12. 35 მეტეხი | 6 | 0 | 1 | 5 | 3-13 | 1 |

### ელიტლიგა 1994

#### V ტური

| | |
|---|---|
| მთ. გლობუსი-დერბი | 2:1 |
| ლოკომოტივი-წ/დინამოელი | 1:2 |
| ოლიმპიკი-ოლიმპი | 0:1 |
| შევარდენი-ლიდერი 2009 | 3:1 |

#### VI ტური

| | |
|---|---|
| ახმეტა-ლოკომოტივი | 2:2 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. თს აკად. 94 | 5 | 5 | 0 | 0 | 18-4 | 15 |
| 2. ოლიმპიკი | 5 | 4 | 0 | 1 | 11-2 | 12 |
| 3. მერანი | 5 | 4 | 0 | 1 | 11-8 | 12 |
| 4. 35-ე სკოლა | 5 | 3 | 1 | 1 | 12-7 | 10 |
| 5. ამერი | 5 | 3 | 0 | 2 | 8-4 | 9 |
| 6. ოლიმპი | 5 | 2 | 1 | 2 | 11-7 | 7 |
| 7. დერბი | 5 | 2 | 1 | 2 | 9-7 | 7 |
| 8. წ/დინამოელი | 5 | 2 | 1 | 2 | 8-9 | 7 |
| 9. ერთობა (ახმ) | 6 | 2 | 1 | 3 | 12-17 | 7 |
| 10. მთ. გლობუსი | 5 | 2 | 0 | 3 | 5-11 | 6 |
| 11. ლოკომოტივი | 6 | 1 | 2 | 3 | 9-9 | 5 |
| 12. შევარდენი | 5 | 1 | 1 | 3 | 4-10 | 4 |
| 13. თბილისი | 5 | 1 | 0 | 4 | 5-16 | 3 |
| 14. ლიდერი 2009 | 5 | 0 | 0 | 5 | 2-14 | 0 |

### ელიტლიგა 1995

#### V ტური

| | |
|---|---|
| ავაზა-საბურთალო | 3:3 |
| დერბი-ოლიმპიკი | 2:0 |
| დინამოს აკად.-35-ზე სკოლა | 1:1 |
| იმედი-აკადემია 95 | 0:4 |
| ოლიმპი-ვეფხვები | 3:0 |
| შევარდენი-გორი 96 | 0:5 |
| ჰერეთი ისვენებს | |

#### VI ტური

| | |
|---|---|
| აკადემია 95-მთ. გლობუსი | 2:0 |
| ჰერეთი-საბურთალო | გადაიდო |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. თს აკად. 95 | 6 | 6 | 0 | 0 | 16-0 | 18 |
| 2. ოლიმპი | 5 | 5 | 0 | 0 | 22-4 | 15 |
| 3. ავაზა | 4 | 3 | 1 | 0 | 21-3 | 10 |
| 4. წ/დინამოელი | 4 | 3 | 1 | 0 | 21-4 | 10 |
| 5. ჰერეთი (ლაგ) | 4 | 3 | 1 | 0 | 6-1 | 10 |
| 6. შევარდენი | 5 | 3 | 0 | 2 | 15-10 | 9 |
| 7. დინამოს აკად. | 5 | 2 | 2 | 1 | 13-4 | 8 |
| 8. გორი 96 | 4 | 1 | 1 | 2 | 7-9 | 4 |
| 9. ვეფხვები | 5 | 1 | 1 | 3 | 5-8 | 4 |
| 10. მთ. გლობუსი | 5 | 1 | 1 | 3 | 5-15 | 4 |
| 11. იმედი | 4 | 1 | 0 | 3 | 3-13 | 3 |
| 12. დერბი | 5 | 1 | 0 | 4 | 2-26 | 3 |
| 13. საბურთალო | 4 | 0 | 1 | 3 | 6-14 | 1 |
| 14. 35-ე სკოლა | 5 | 0 | 1 | 4 | 6-19 | 1 |
| 15. ოლიმპიკი | 5 | 0 | 0 | 5 | 2-20 | 0 |

### ელიტლიგა 1996

#### I ჯგუფი. V ტური

| | |
|---|---|
| აკადემია 96-წ/დინამოელი | 5:0 |
| 35-ე სკოლა 1-კახეთი | 9:1 |
| შევარდენი-ოლიმპი 1 | 2:3 |
| ოლიმპიკი-თბილისი | 3:1 |
| საბურთალო 1-დერბი | 1:1 |
| ოლიმპი (რუს)-ავაზა | 2:2 |

#### VI ტური

| | |
|---|---|
| კახეთი-შევარდენი | 4:4 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. 35-ე სკოლა 1 | 5 | 5 | 0 | 0 | 23-3 | 15 |
| 2. ოლიმპი 1 | 5 | 4 | 0 | 1 | 15-7 | 12 |
| 3. თს აკად. 96 | 5 | 3 | 2 | 0 | 12-3 | 11 |
| 4. თბილისი | 5 | 2 | 1 | 2 | 12-7 | 7 |
| 5. ოლიმპი (რუს) | 5 | 1 | 2 | 2 | 11-7 | 5 |
| 6. ოლიმპიკი | 4 | 1 | 2 | 1 | 6-8 | 5 |
| 7. წ/დინამოელი | 5 | 1 | 2 | 2 | 4-10 | 5 |
| 8. საბურთალო 1 | 4 | 1 | 1 | 2 | 5-12 | 4 |
| 9. ავაზა | 5 | 1 | 1 | 3 | 4-12 | 4 |
| 10. შევარდენი | 5 | 0 | 4 | 1 | 8-9 | 4 |
| 11. კახეთი | 5 | 0 | 3 | 2 | 8-17 | 3 |
| 12. დერბი | 5 | 0 | 2 | 3 | 3-16 | 2 |

#### II ჯგუფი. V ტური

| | |
|---|---|
| ვეფხვები-იმედი | 0:2 |
| 35-ე სკოლა 2-ამერი | 0:4 |
| აკადემია 1-გარეჯი | 5:0 |
| მცხეთა/მუხრ.-მთ. გლობუსი | 3:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იმედი | 5 | 5 | 0 | 0 | 16-4 | 15 |
| 2. თს აკადემია 1 | 5 | 4 | 1 | 0 | 16-3 | 13 |
| 3. მიმინო 94 | 4 | 4 | 0 | 0 | 13-1 | 12 |
| 4. ამერი | 5 | 3 | 0 | 2 | 14-7 | 9 |
| 5. ვეფხვები | 5 | 3 | 0 | 2 | 15-10 | 9 |
| 6. მცხეთა/მუხრ. | 5 | 2 | 0 | 3 | 10-18 | 6 |
| 7. თს აკადემია 2 | 4 | 1 | 1 | 2 | 8-9 | 4 |
| 8. მთ. გლობუსი | 5 | 1 | 1 | 3 | 9-12 | 4 |
| 9. ოლიმპი 2 | 4 | 1 | 1 | 2 | 4-10 | 4 |
| 10. 35-ე სკოლა 2 | 5 | 1 | 1 | 3 | 5-12 | 4 |
| 11. გარეჯი | 5 | 0 | 1 | 4 | 2-18 | 1 |
| 12. საბურთალო 2 | 4 | 0 | 0 | 4 | 8-16 | 0 |

### ელიტლიგა 1997

#### V ტური

| | |
|---|---|
| კახეთი-ავაზა | 0:5 |
| მცხეთა-მერანი | 0:0 |
| მიმინო 94-საბურთალო 2 | 4:1 |
| ვეფხვები-ჩემპიონი | 0:1 |
| პრაიდი/ფერო-ლოკომოტ. 97 | 1:0 |
| იმედი-35-ე სკოლა | 4:3 |
| წ/დინამოელი-გორი | 1:2 |
| თბილისი 1-საბურთალო 1 | 2:3 |
| თბილისი 2-ოლიმპი (რუს) | 1:3 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩემპიონი | 5 | 5 | 0 | 0 | 19-6 | 15 |
| 2. იმედი | 5 | 4 | 0 | 1 | 24-9 | 12 |
| 3. გორი | 5 | 3 | 2 | 0 | 17-6 | 11 |
| 4. ვეფხვები | 5 | 3 | 1 | 1 | 9-6 | 10 |
| 5. ოლიმპი | 5 | 3 | 1 | 1 | 10-9 | 10 |
| 6. მერანი | 5 | 2 | 3 | 0 | 15-7 | 9 |
| 7. 35-ე სკოლა | 5 | 3 | 0 | 2 | 14-6 | 9 |
| 8. ავაზა | 5 | 2 | 2 | 1 | 17-10 | 8 |
| 9. წ/დინამოელი | 5 | 2 | 2 | 1 | 13-10 | 8 |
| 10. ლოკომოტივი 97 | 5 | 2 | 1 | 2 | 12-3 | 7 |
| 11. პრაიდი/ფერო | 5 | 2 | 1 | 2 | 7-10 | 7 |
| 12. საბურთალო 1 | 5 | 2 | 0 | 3 | 10-12 | 6 |
| 13. თბილისი 2 | 5 | 2 | 0 | 3 | 7-11 | 6 |
| 14. მცხეთა | 5 | 1 | 1 | 3 | 8-12 | 4 |
| 15. მიმინო 94 | 5 | 1 | 0 | 4 | 8-12 | 3 |
| 16. საბურთალო 2 | 5 | 1 | 0 | 4 | 10-32 | 3 |
| 17. თბილისი 1 | 5 | 0 | 0 | 5 | 4-14 | 0 |
| 18. კახეთი | 5 | 0 | 0 | 5 | 2-31 | 0 |

### ელიტლიგა 1998

#### V ტური

| | |
|---|---|
| 35-ე სკოლა 1-ოლიმპი | 3:2 |
| საბურთალო-შევარდენი | 7:0 |
| ავაზა-მორკინალი | 8:2 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საბურთალო | 5 | 4 | 0 | 1 | 17-11 | 12 |
| 2. ოლიმპი | 5 | 3 | 1 | 1 | 17-6 | 10 |
| 3. 35-ე სკოლა 1 | 4 | 3 | 1 | 0 | 11-7 | 10 |
| 4. ავაზა | 5 | 3 | 0 | 2 | 21-10 | 9 |
| 5. მერანი | 4 | 3 | 0 | 1 | 13-6 | 9 |
| 6. მორკინალი | 5 | 3 | 0 | 2 | 17-12 | 9 |
| 7. შევარდენი | 5 | 2 | 1 | 2 | 7-14 | 7 |
| 8. 35-ე სკოლა 2 | 4 | 1 | 1 | 2 | 4-4 | 4 |
| 9. თს აკადემია 98 | 4 | 1 | 0 | 3 | 5-5 | 3 |
| 10. თს აკადემია 2 | 4 | 1 | 0 | 3 | 4-9 | 3 |
| 11. ჩემპიონი | 3 | 1 | 0 | 2 | 2-8 | 3 |
| 12. ოლიმპიკი | 3 | 0 | 0 | 3 | 1-12 | 0 |
| 13. იმედი | 3 | 0 | 0 | 3 | 0-15 | 0 |

### ელიტლიგა 1999

#### V ტური

| | |
|---|---|
| 35-ე სკოლა-ავაზა | 0:0 |
| ირაო 2-შევარდენი | 3:8 |
| ოლიმპი 1-საბურთალო | 6:6 |
| ოლიმპი 2-წ/დინამოელი | 0:11 |
| თბილისი 1-მთ. გლობუსი | 7:1 |
| თბილისი 2-მორკინალი | 2:2 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. წ/დინამოელი | 5 | 5 | 0 | 0 | 38-4 | 15 |
| 2. თბილისი 1 | 5 | 4 | 0 | 1 | 25-13 | 12 |
| 3. შევარდენი | 5 | 4 | 0 | 1 | 19-9 | 12 |
| 4. საბურთალო | 5 | 3 | 1 | 1 | 25-11 | 10 |
| 5. ავაზა | 5 | 3 | 1 | 1 | 11-4 | 10 |
| 6. აკადემია 99 | 4 | 3 | 0 | 1 | 12-5 | 9 |
| 7. ირაო 1 | 4 | 3 | 0 | 1 | 13-9 | 9 |
| 8. მორკინალი | 5 | 2 | 2 | 1 | 19-12 | 8 |
| 9. ოლიმპი 1 | 5 | 2 | 1 | 2 | 22-15 | 7 |
| 10. ჩემპიონი | 4 | 2 | 0 | 2 | 7-7 | 6 |
| 11. თბილისი 2 | 5 | 1 | 2 | 2 | 11-15 | 5 |
| 12. მთ. გლობუსი | 5 | 1 | 2 | 2 | 5-10 | 5 |
| 13. ირაო 2 | 5 | 1 | 1 | 3 | 9-18 | 4 |
| 14. 35-ე სკოლა | 5 | 0 | 3 | 2 | 4-16 | 3 |
| 15. თს აკადემია 2 | 4 | 0 | 1 | 3 | 2-9 | 1 |
| 16. შავნაბ/ორიონი | 4 | 0 | 1 | 3 | 3-14 | 1 |
| 17. ოლიმპი 2 | 5 | 0 | 1 | 4 | 7-43 | 1 |
| 18. ოლიმპიკი | 4 | 0 | 0 | 4 | 2-20 | 0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა





## ფოსტა ლენცისგან

New Message
From: Gottfried Lenz
To: Zviad Sichinava
Cc: Georgian Government
Subject: Buffon and Messi in Georgian National Team

# ბუფონი, მესი და კრისტიანო რონალდო საქართველოს ნაკრებში



ჯანლუიჯი ბუფონი



ლეო მესი



კრისტიანო რონალდო

**პატივცემულო ზვიად,**

მიხარია, რომ მაქვს პატივი, წერილობით მოგმართოთ და ჩემი მოსაზრებები გაგაცნოთ.

პირველ რიგში, მინდა ვთქვა, რომ შევდივარ თქვენს მდგომარეობაში – საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობა უმძიმესი ტვირთია. ბოლო ორმა პრეზიდენტმა, ბატონებმა, **მერაბ ჟორდანიამ** და **ნოდარ ახალკაცმა** საკმაოდ ცუდად დაასრულეს ამ თანამდებობაზე მოღვაწეობა – მათ სახელი გაუფუჭდათ და იმიჯი შეელახათ. ძალიან მინდა და იმედი მაქვს, რომ თქვენ იქნებით პრეზიდენტი, რომლის მოღვაწეობის ხანას ქართული ფეხბურთის წარმატებული დროება დაემთხვევა და თქვენ მადლობას გეტყვიან ქართული ფეხბურთისთვის გაწეული სამსახურისთვის. აშკარაა, რომ ეს თითოეული ქართველის სურვილიცაა, რადგან თქვენ მადლობას მხოლოდ იმ შემთხვევაში გეტყვიან, თუ ქართულ ფეხბურთში ვითარება გამოსწორდება.

ქვემოთ ნატურალიზებული ფეხბურთელების თემაზე წერას და თქვენს მოსაზრებებზე კომენტარის გაკეთებას ვაპირებ და სანამ დავიწყებდე, მინდა განვმარტო, რას ნიშნავს ნატურალიზებული ფეხბურთელის ცნება. ეს ის შემთხვევაა, როცა ქვეყანაში სპეციალურად ჩამოჰყავთ სხვა ეროვნების, სხვა ქვეყნის მოქალაქე და აწევრიანებენ ეროვნულ ნაკრებში, აძლევენ მოქალაქეობას. უფრო გასაგებ ენაზე რომ ვთქვათ, ეს არის შემდეგნაირი შეძახილი: „არ გვყავს ან არ გვივარგა მარჯვენა ნახევარმცველები, მოვძებნოთ ვინმე სხვაგან და მოვარგოთ საქართველოს ეროვნული ნაკრების ფორმა.“

ევროპაში ხშირია შემთხვევა, როცა სხვადასხვა ნაკრებ გუნდში არატიპური გვარების მქონე მოთამაშეებს ვხედავთ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ისინი აუცილებლად ნატურალიზებულები არიან. ნატურალიზებული ფეხბურთელები ჰყავს აზერბაიჯანის ნაკრებს, მაგრამ არ ჰყავს გერმანიის ეროვნულ გუნდს...

სანამ ამ საკითხზე დაწვრილებით ვისაუბრებდე, მინდა აქვე ისიც ვთქვა, რომ საქართველოს ნაკრებში არც ნატურალიზებული ფეხბურთელის გამოჩენის წინააღმდეგი ვარ და მით უმეტეს, არც სხვა ეროვნების მოთამაშისა, რომელიც საქართველოს მოქალაქეა, ან უკვე წლებია, ჩვენს ქვეყანაში ცხოვრობს და ჩვენს ჩემპიონატში თამაშობს. შინაგანად წინააღმდეგიც რომ ვიყო, ამის ხმამაღლა თქმის უფლება არ მექნებოდა, მაგრამ წინააღმდეგი ისედაც არ ვარ. პირიქით... სომეხი, აზერბაიჯანელი თუ სხვა წარმოშობის მქონე, მაგრამ საქართველოს მოქალაქე ფეხბურთელი ისედაც უნდა მოხვდეს ჩვენს ეროვნულ გუნდში – თუკი თვითონ არ იქნება წინააღმდეგი, აი, ნატურალიზებული ფეხბურთელის ცნებაზე კი ჯერ კარგად უნდა დავფიქრდეთ. მე მინდა, ჩვენ ყველამ ერთად გავარკვიოთ, გვჭირდება კი ასეთი რამ? და რას მოგვიტანს ეს ცნება?

„ლელოსთვის“ მიცემულ ინტერვიუში თქვენ აღნიშნეთ, რომ გაქვთ იდეა, ნატურალიზება გაუკეთოთ მეკარეს, გამთამაშებელს და თავდამსხმელს. ჩემი პირადი მოსაზრება თუ გაინტერესებთ: მეკარე ნაღდად გვჭირდება, რადგან წლებია მეკარის პრობლემა გვაქვს...

ახლა კი მთავარზე. ინტერვიუში თქვენ ამბობთ: „საფრანგეთში, ჰოლანდიაში, ესპანეთში, გერმანიაშიც კი ნატურალიზებული ფეხბურთელები ჰყავთ.“ (ციტატის დასასრული).

რაც არ უნდა სამწუხარო იყოს, ცდებით, ბატონო ზვიად. გერმანიის ნაკრებში დღეს არც ერთი ნატურალიზებული ფეხბურთელი არ თამაშობს – ისევე, როგორც საფრანგეთში, ესპანეთსა თუ ჰოლანდიაში. გერმანიის ნაკრები ავიღოთ: კი ბატონო, **მიროსლავ კლოზე** და **ლუკას პოდოლსკი** წარმოშობით პოლონელები არიან, **მარიო გომესის** მამა ესპანელია, **ჯერლად ასამოა**, რომელიც ბუნდესგუნდში 2001-დან 2006 წლამდე თამაშობდა, განელი გახლავთ. გერმანიის ნაკრებში ახლახან ახალგაზრდა **ჟერომ ბოატენგიც** გამოჩნდა, რომელსაც ნამდვილად არ აქვს გერმანული გვარი და ა.შ.

მაგრამ: ჟერომ ბოატენგი 1988 წელს ბერლინში დაიბადა და გერმანიაში გაიზარდა. თამაშობდა ჯერ გერმანიის 19-წლამდელთა, მერე კი 21-წლამდელთა ნაკრებში, ახლა კი პირველ გუნდშია. მიროსლავ კლოზე პოლონეთში დაიბადა, მაგრამ გერმანიაში გაიზარდა, ბავშვობიდან გერმანიის მოქალაქეა. იგივე ეხება ლუკას პოდოლსკისაც. ასამოა განაშია დაბადებული, მაგრამ 1990 წლიდან, როცა ის 12 წლის იყო, გერმანიაში თამაშობს. მარიო გომესი გერმანიის ქალაქ რიდლინგენში გახლავთ დაბადებული – მამამისი გერმანიაში იმ დროს წავიდა, როცა მარიო დაბადებული კი არა, როგორც იტყვიან, ჩაფიქრებულიც კი არ იყო.

კიდევ გნებავთ მაგალითები? დღეს გერმანიის ნაკრების იმედი ფესვებით თურქი **მესუთ იოზილია**, რომელიც გელზენკირხენში დაიბადა და გაიზარდა. თურქებმა ბევრი იბრძოლეს, რათა იოზილი გადაებირებინათ, მაგრამ ბიჭმა თქვა, მე გერმანელი ვარო და ასე შემდეგ და ასე შემდეგ. გერმანიის ნაკრებში არც ერთი ნატურალიზებული ფეხბურთელი არ თამაშობს...

ესპანეთის ნაკრებში თამაშობს ბრაზილიელი **მარკოს სენა**, რომელიც ესპანეთში არ დაბადებულა და არ გაზრდილა. ის 2002 წლიდან ასპარეზობს და ცხოვრობს ესპანეთში, მიიღო მოქალაქეობა და 4 წლის შემდეგ ესპანეთის ნაკრებში ათამაშეს. ეს უფროა ნატურალიზება, მაგრამ ესპანელებს სენა ბრაზილიიდან სპეციალურად არ მიუწვევიათ, არ უთქვამთ, ჩამოდი და გვიშველე, საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზე გვიჭირსო. სანამ ნაკრებში მოხვდებოდა, სენამ 4 წელი ითამაშა ესპანეთში...

საქართველოში უცხოელები საცხოვრებლად არ ჩამოდიან, რადგან ღარიბი ქვეყანა ვართ და შესაბამისად, შანსი იმისა, რომ საქართველოში დაიბადოს ან გაიზარდოს კლოზე, ბოატენგი ან იოზილი, ძალიან მცირეა. ჩვენი საკლუბო ფეხბურთი საზიზღარ მდგომარეობაშია და შესაბამისად, რომელიმე ქართულ კლუბში სათამაშოდ ალბათ არასდროს ჩამოვა ახალი მარკოს სენა. ასე რომ, ჩვენთან ასეთი მაგალითის გამეორება შეუძლებელია. გვრჩება ერთი გზა: სპეციალურად მოვიწვიოთ ვინმე. მაგრამ რა სენა, რომელი ბოატენგი – თქვენ თურმე პირდაპირ მესის, რონალდოს და ბუფონის, ან მათთან მიახლოვებული რანგის მოთამაშეებს უმიზნებთ...

აგერ უკვე რამდენიმე თვეა, **ანდერსონ აკინო** რუსთავის „ოლიმპში“ თამაშობს და ჩემმა კოლეგამ, **მერაბ მამულაშვილმა** ინტერვიუში ლოგიკურად ჩამოაგდო მასზე სიტყვა. და როგორი იყო თქვენი პასუხი: *„თუ ჩვენ მეკარეს მოვიყვანთ, ბუფონის დონის უნდა იყოს, ნახევარმცველი და თავდამსხმელი კი მესის და რონალდოს ბევრად არ უნდა ჩამოუვარდებოდნენ...“*

ბატონო ზვიად, თუ თქვენ იხუმრეთ, მაშინ ჩემს კოლეგას ფრჩხილებში უნდა მიეწერა - „იცინის“. ეტყობა, არ გიხუმრიათ. მაგრამ მაინც: თუ თქვენ მართლა ხუმრობთ, მინდა ვთქვა, რომ ჩვენ უკვე აღარ გვეხუმრება...

ვფიქრობ, ეს კითხვა საჭირო აღარ იყო, მაგრამ მაინც: მესის, რონალდოს ან ბუფონის, ან მათთან მიახლოვებული დონის ფეხბურთელები ბევრი გეგულებათ? ან თუ გეგულებათ, როგორ გგონიათ, რამდენია იმის შანსი, რომ ასეთი მოთამაშეების ნატურალიზება შეძლოთ?

ბატონო ზვიად, ჩემი მიზანი ნამდვილად არ არის ის, რომ ვუკირკიტო თქვენს ინტერვიუებს და ლაფსუსები ვეძებო თქვენს მოსაზრებებში. უბრალოდ, მსურდა, გამემიჯნა ნატურალიზებული ფეხბურთელის ცნება იმ ჩვეულებრივი მოვლენისგან, რასაც ქვეყნის მოქალაქის ეროვნულ ნაკრებში გამოძახება ჰქვია...

დაბოლოს: მეკარე კიდევ გასაგებია, ოცი წელია, საქართველოში ნორმალური კიპერი ვერ გაიზარდა და ნატურალიზებულ კარის დარაჯს კიდევ დიდხანს არ ეყოლება კონკურენტი, მაგრამ რას ვუშვებით გამთამაშებელს და თავდამსხმელს? ჩვენ გვყავს **ლევან ყენია**. ე.ი. ნატურალიზებული პლეიმეიკერი ყენიაზე ორი თავით მაღლა უნდა იდგეს და ნუთუ ფიქრობთ, რომ ყენიაზე ორი თავით მაღლა მდგომ „დირიჟორს“ ჩვენ ვინმე დაგვითმობს? თავდასხმაში გვყავს **დვალიშვილი**, **მჭედლიძე** და ა.შ. არ ფიქრობთ, რომ საქართველოს ნაკრებში, პირდაპირ გუნდში, ყენიას, მჭედლიძეს, **ანანიძეს** და დვალიშვილს უფრო მეტი მეგობარი და კეთილის მსურველი ჰყავს, ვიდრე იმ „მისტერ იქსს და იგრეკს“, რომელთა ჩამოყვანაც გსურთ? ჩემი აზრით, დიდია იმის შანსი, რომ ნატურალიზებული ფეხბურთელების ცნებამ უფრო სერიოზული პრობლემები მოგვიტანოს.

კარგად მესმის, თქვენ შედეგის მიღწევა გსურთ, არსებულმა კონტინგენტმა კი არაერთხელ დაამტკიცა თავისი უსუსურობა, მაგრამ ისეთ იდეას, როგორიცაა საქართველოს ნაკრების რამდენიმე პოზიციაზე ჩამოყვანილი ფეხბურთელებით გაძლიერება, ჩემი აზრით, ძალიან სერიოზული მიდგომა და დაფიქრება სჭირდება. მე რომ თქვენს ადგილზე ვიყო, მხოლოდ მეკარეზე ვიზრუნებდი, ისიც იმიტომ, რომ ამ პოზიციაზე აუტანლად სავალალო მდგომარეობა გვაქვს.

...დაბოლოს, მინდა ერთ რამესაც გავუსვა ხაზი: ჩვენ საქართველოს ნაკრებზე ვსაუბრობთ, ეროვნულ ნაკრებზე. ცუდზე, საზიზღარზე, ამაზრზენზე, მაგრამ მაინც საქართველოს ეროვნულ ნაკრებზე...

საუკეთესო სურვილებით,
**გოტფრიდ ლენცი**

---

« მეხუთე გვერდიდან

# ის, რაც აქამდე არ ვიცოდით

**- ანუ, თანხების უდიდესი ნაწილი ინფრასტრუქტურის განვითარებაში მიდის?**

- რა თქმა უნდა, ორი ბაზა აშენდა, სოფლებში მოედნების ნაწილი მოწესრიგდა, ამას ხომ დიდი თანხები სჭირდება. ამ პროექტებზე უფრო ვრცლად გეტყვით: საჩხერეში აშენებულ ბაზაზე ბავშვები ვარჯიშობენ. იქაა ხელოვნურსაფრიანი მოედანი, ოთხი გასახდელი, მსაჯთა და მწვრთნელთა ოთახები, საშხაპეები და 600 მაყურებელზე გათვლილი ტრიბუნა. მართალია, ეს საბავშვო სკოლის ბაზაა, მაგრამ „ჩიხურა“ ახლა ამ სტადიონზე თამაშობს - თასზე რუსთავის „ოლიმპსა“ და თბილისის „დინამოს“ შევხვდით. ზუსტად ასეთივე ბაზა ივანწმინდაში საჩხერეს „ჩიხურასაც“ აუშენეს, ოღონდ იქ მშვენიერი ბალახის მოედანია, ტრიბუნა იქაც 600 კაცს იტევს, არის კომფორტული გასახდელები, საშხაპეები და ასე შემდეგ. ამას გარდა, იგეგმება საჩხერეს ცენტრალური სტადიონის გენერალური რეკონსტრუქცია. როგორც ვიცი, პროექტი დამტკიცებულია და მისი დასრულების შემთხვევაში, 7-8 -ათასიანი გადახურული თანამედროვე სტადიონი გვექნება.

**- სტადიონის მშენებლობა როდის დასრულდება?**

- უკვე დაწყებულიც იქნებოდა, რომ არა რუსეთის აგრესია. თუკი ვითარება დალაგდება, მაშინ მშენებლობა მალე დაიწყება. ყოველ შემთხვევაში, ეს აზრი არსებობს, პროექტიც შედგა, რომ საჩხერის რაიონს საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესო ინფრასტრუქტურა ჰქონდეს.

**- ეს ყველაფერი „ქართუ ჯგუფმა“ ააშენა?**

- რა თქმა უნდა. ჩვენი მიზანია, საქართველოს ჩვენი რეგიონის მაგალითზე ვუჩვენოთ, თუ როგორ შეიძლება ფეხბურთის განვითარება. ხვალ რომ იგივეს სხვა რაიონები გააკეთებენ, მერწმუნეთ, ქართული ფეხბურთი უდიდეს პროგრესს მიაღწევს.

გამგეობამ კი ხელოვნურსაფრიანი მინი-მოედნები მოაწყო, რაც ფეხბურთის მასობრიობისთვის აუცილებელია. მაგალითად, საჩხერეში ოთხი მოედანია, სოფელ კორბოულში მოედანი საერთოდ არ ყოფილა და ახლა ბავშვებს გართობის საშუალება გააჩნიათ.

**ზურაბ ცერცვაძე**, საჩხერის მუნიციპალიტეტის გამგებელი:

- ბაზების ტერიტორიები საჩხერის მუნიციპალიტეტის საკუთრება გახლდათ და გუნდს სახელმწიფომ ფეხბურთის განვითარებისთვის გადასცა. ძალიან კარგი საქმე კეთდებოდა და „ჩიხურას“ თანადგომა საჭიროდ ჩავთვალეთ. ქართველმა მეცენატმა საჩხერეში ფეხბურთის განვითარების დიდი სურვილი გამოხატა და რაღა თქმა უნდა, ამ სურვილმა გაგვახარა. ვალდებულებიც ვართ, გვერდში დავუდგეთ. გუნდისთვის განკუთვნილი თანხები სწორად და მიზანმიმართულად იხარჯება. პრიორიტეტები განსაზღვრულია - ინფრასტრუქტურისა და ბავშვთა ფეხბურთის განვითარება. ამას გარდა, გუნდს გააჩნია ის ფინანსური პირობებიც, რაც პირველი ლიგის კლუბს სჭირდება. თუკი ვინმეს საქართველოში კარგი მოსამზადებელი პირობები გააჩნია, ერთ-ერთი მათგანი უპირველესად „ჩიხურაა“.

**- საჩხერის ცენტრალური სტადიონის რეკონსტრუქცია რამდენად რეალურია?**

- ჯერ დაკონკრეტებას მოვერიდები, თუმცა, რეკონსტრუქციისთვის მოსამზადებელი სამუშაოები მიმდინარეობს და ალბათ, მალე საჩხერეს თანამედროვე, ევროპული დონის სტადიონი შეემატება. სტადიონთან არის დამატებითი ფართობი, რომელიც მუნიციპალიტეტის საკუთრებაშია და მზად ვართ, ისიც „ჩიხურას“ გადავცეთ, რათა ბავშვებისთვის დამატებით ორი მოედანი მოაწყონ.

მერაბ მამულაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური

# სალუქვაძემ ინიესტას და იბრას გაუძლო

ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში წინა დღით გასულ კვარტეტს („ჩელსი", „მანჩესტერი", „ბორდო" და „პორტუ") კიდევ ორი მიემატა - გუშინ ჯგუფიდან გასვლა ფრანგულმა „ლიონმა" და ესპანურმა „სევილიამ" გაინაღდეს, თუმცა „არსენალსაც", ფაქტობრივად, თავი ქუდში აქვს - **არსენ ვენგერის** გუნდს სასწაული თუ შეუშლის ხელს მიზნის მიღწევაში. სასწაული, რომელიც არ მოხდება...

ზედიზედ ორჯერ ითამაშო მსოფლიოს საუკეთესო გუნდის წინააღმდეგ და ოთხ ქულას გამორჩე, ფანტასტიკური მიღწევაა - ამით „რუბინის" ფეხბურთელები კარიერის დასრულების შემდეგაც იამაყებენ, მათ შორის, **ლაშა სალუქვაძეც**. „რუბინის" მარჯვენა მცველმა 90 წუთი გაუძლო **ანდრეს ინიესტას** წნეხს, **ზლატან იბრაჰიმოვიჩთან** საჰაერო დუელებს და გუნდს კარის მშრალად შენახვაში დაეხმარა. საიტმა „გოლმა" ჩვენებურს 7,5 ბალი დაუწერა და იქვე განმარტა: *„ბარსელონამ" რომ ვერ შეძლო ფლანგებიდან ბევრჯერ ჩანოდება, „რუბინის" განაპირა მცველთა დამსახურებაა*", - წერს საიტი.

90 წუთის განმავლობაში ლაშამ 10,54 კმ დაფარა, 24 პასიდან 12 ზუსტი გააკეთა, „ბარსას" შემტევთა წინააღმდეგ ერთხელაც არ დაჯარიმებულა (!), ხოლო მის წინააღმდეგ სტუმრებმა ერთხელ იუხეშეს. „რუბინის" კიდევ ერთი ქართველი, მეკარე **ნუკრი რევიშვილი** „ბარსელონასთან" მატჩის განაცხადში კი მოხვდა, მაგრამ მხოლოდ - სათადარიგოთა სკამზე, **დავით კვირკველია** კი არსად ჩანს.

F ჯგუფში ყველაზე საინტერესოდ მიმდინარეობს გათამაშება, მერვედფინალში გასვლის შანსი ყველა გუნდს აქვს, ბოლოადგილოსან კიევის „დინამოსაც" კი. ყველაფერი ბოლო ორ ტურში გადაწყდება. „ინტერმა" უკანასკნელ წუთებზეღა შეძლო 3 ქულის გადარჩენა, მანამდე კი იტალიური გრანდი **ანდრეი შევჩენკოს** გოლით აგებდა. ბოლო ოთხ წუთში **დიეგო მილიტომ და უესლი სნეიდერმა** „ინტერს" გამარჯვება მოუპოვეს. 6 ქულით „ნერაძური" ჯგუფს სათავეში მოექცა.

**ლისანდრო ლოპესის** გოლმა, რომელიც არგენტინელმა ბოლო წუთზე გაიტანა, წყალში ჩაყარა „ლივერპულის" სათამაშო უპირატესობაც და **რაიან ბაბელის** სუპერგოლიც - 1:1. ეს ის შედეგია, რომელიც „ლიონისთვის" საკმარისი აღმოჩნდა, „ლივერპულს" კი მხოლოდ თეორიული შანსი დაუტოვა. **რაფაელ ბენიტესის** თავზე შავი ღრუბლები შეიყარნენ...

G ჯგუფში სტატუს-ქვო შენარჩუნდა, რაც „სევილიას" აწყობდა - ანდალუსიელებმა შინ 1:1 ითამაშეს ბრწყინვალედ მოასპარეზე „შტუტგარტთან" და ჯგუფიდან გასვლა გაინაღდეს. მეორე საგზურისთვის კი სამი კლუბი იბრძოლებს, მათ შორის, ყველაზე კარგი შანსი რუმინულ „უნირეას" აქვს!

H ჯგუფში „არსენალმა" **სესკ ფაბრეგასის** დუბლისა და **ანდრეი არშავინის** ბრწყინვალე პასების წყალობით „ალკმაარი" 4:1 გაანადგურა. თუმცა ჰოლანდიურ კლუბს, სადაც მთავარი მწვრთნელის ასისტენტად შოთა არველაძე მუშაობს, ჯგუფიდან გასვლის შანსი ჯერ კიდევ აქვს.

„სტანდარდმა" 2:0 დაამარცხა **თემურ ქეცბაიას** ყოფილი გუნდი „ოლიმპიაკოსი" და ჯგუფში მეორე საგზურის მფლობელის საკითხი ღიად დატოვა. ერთადერთი კლუბი, რომელიც გუშინდელი შედეგების მიხედვით ჯგუფში ჩარჩა, უნგრული „დებრეცენია" - „ფიორენტინამ" ის 5:2 გაანადგურა.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

## E ჯგუფი

### ფიორენტინა-დებრეცენი 5:2

**ფიორენტინა (4-2-3-1):** ავრამოვი - კომოტო, გამბერინი (33. კროლდრუპი), დაინელი, პასკუალი - დონადელი, ძანეტი (46. მონტოლივო) - მარკიონი, მუტუ, ვარგასი (77. სანტანა) - ჯილარდინო.

**დებრეცენი (4-5-1):** პანტიჩი - ბოდნარი, სელეში, კომლოში (10. კიში), ლეანდრო - ცვიტკოვიჩსი, რამოსი (53. კულიბალი), ვარგა, ლაჩკო (65. საკალი), ფოდორი - რუდოლფი.

**გოლები:** 1:0 მუტუ (14), 1:1 რუდოლფი (38), 2:1 დაინელი (52), 3:1 მონტოლივო (59), 4:1 მარკიონი (61), 4:2 კულიბალი (70), 5:2 ჯილარდინო (74)

**მაყურებელი:** 25 500

**არბიტრი:** მანუელ მეხუტო გონსალესი (ესპანეთი)

სტატისტიკა
მატჩი დაიწყო: დებრეცენი
პირველი კუთხური: ფიორენტინა
პირველი ჯარიმა: ფიორენტინა
პირველი გაფრთხილება: დებრეცენი

| | | |
|---|---|---|
| 22 (13) | დარტყმა | 10 (5) |
| 10 | ჯარიმა | 18 |
| 6 | კუთხური | 3 |
| 1 | გაფრთხილება | 1 |
| 62% | ბურთის ფლობა | 38% |

### ლიონი-ლივერპული 1:1

**ლიონი (4-3-3):** ლორისი - რევეიერი (18. გასამა), კრისი, ტულალანი, სისოხო - პიანიჩი (40. ედერსონი), მაკუნი, კალსტრიომი - გომისი (73. გოვუ), ლ. ლოპესი, ბაშტოში.

**ლივერპული (4-2-3-1):** რეინა - კარაგერი, აგერი, კირიაკოსი, ინსუა - ლუკასი, მასკერანო - კოიტი, ვორონინი (67. ბაბელი), ბენაიუნი - ტორესი (87. ნგოგი).

**გოლები:** 0:1 ბაბელი (83), 1:1 ლ. ლოპესი (90)

**მაყურებელი:** 40 000

**არბიტრი:** ფრანკ დე ბლეეკერი (ბელგია)

სტატისტიკა
მატჩი დაიწყო: ლივერპული
პირველი კუთხური: ლივერპული
პირველი ჯარიმა: ლიონი
პირველი გაფრთხილება: ლივერპული

| | | |
|---|---|---|
| 15 (5) | დარტყმა | 11 (6) |
| 13 | ჯარიმა | 24 |
| 2 | კუთხური | 5 |
| 1 | გაფრთხილება | 1 |
| 47% | ბურთის ფლობა | 53% |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლიონი | 4 | 3 | 1 | 0 | 8-2 | 10 |
| 2. ფიორენტინა | 4 | 3 | 0 | 1 | 11-6 | 9 |
| 3. ლივერპული | 4 | 1 | 1 | 2 | 3-5 | 4 |
| 4. დებრეცენი | 4 | 0 | 0 | 4 | 5-14 | 0 |

## F ჯგუფი

### რუბინი-ბარსელონა 0:0

**რუბინი (4-4-1-1):** რიჟიკოვი - სალუქვაძე, შარონოვი, ნავასი, ანსალდი - რიაზანცევი, ნობოა, სემაკი, კალიოშინი - კარადენიზი (62. ბუხაროვი) - დომინგესი.

**ბარსელონა (4-3-3):** ვალდესი - დანი ალვეში, პიკე, პუიოლი, აბიდალი - ჩავი, ტურე, კეიტა (83. ანრი) - მესი, იბრაჰიმოვიჩი, ინიესტა.

**მაყურებელი:** 30 000

**არბიტრი:** კონრად პლაუტცი (ავსტრია)

სტატისტიკა
მატჩი დაიწყო: რუბინი
პირველი კუთხური: ბარსელონა
პირველი ჯარიმა: ბარსელონა
პირველი გაფრთხილება: რუბინი

| | | |
|---|---|---|
| 5 (1) | დარტყმა | 19 (6) |
| 11 | ჯარიმა | 12 |
| 3 | კუთხური | 6 |
| 2 | გაფრთხილება | 1 |
| 30% | ბურთის ფლობა | 70% |

### დინამო-ინტერი 1:2

**დინამო (4-4-2):** ბოგუში - ერიომენკო, ხაჩერიდი, ალმეიდა, მაგრაო - შევჩენკო, მიხალიკი, ვუკოევიჩი, იარმოლენკო - ნინკოვიჩი, მილევსკი (70. გუსევი).

**ინტერი (4-4-2):** ჟულიო სეზარი - მაიკონი, ლუსიო, სამუელი (79. მუნტარი), კივუ (46. ბალოტელი)- ძანეტი, კამბიასო (46. ტიაგო მოტა), სტანკოვიჩი, სნეიდერი - ეტოო, მილიტო.

**გოლები:** 1:0 შევჩენკო (21), 1:1 მილიტო (86), 1:2 სნეიდერი (89)

**მაყურებელი:** 26 000

**არბიტრი:** ბერტრან ლაიეკი (საფრანგეთი)

სტატისტიკა
მატჩი დაიწყო: დინამო
პირველი კუთხური: დინამო
პირველი ჯარიმა: დინამო
პირველი გაფრთხილება: ინტერი

| | | |
|---|---|---|
| 9 (1) | დარტყმა | 20 (9) |
| 19 | ჯარიმა | 19 |
| 3 | კუთხური | 7 |
| 2 | გაფრთხილება | 2 |
| 40% | ბურთის ფლობა | 60% |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 4 | 1 | 3 | 0 | 5-4 | 6 |
| 2. რუბინი | 4 | 1 | 2 | 1 | 4-5 | 5 |
| 3. ბარსელონა | 4 | 1 | 2 | 1 | 3-2 | 5 |
| 4. დინამო | 4 | 1 | 1 | 2 | 6-7 | 4 |

## G ჯგუფი

### სევილია-შტუტგარტი 1:1

**სევილია (4-4-2):** ვარასი - კონკო, სკილაჩი, ესკუდე, ნავარო - ნავასი, ზოკორა, რომარიკი (62. დუშერი), კაპელი (58. პეროტი)- კონე (31. ნეგრედო), ლუიშ ფაბიანო.

**შტუტგარტი (4-3-2-1):** ლემანი - ბულაჰრუზი (46. ჩელოზი), ტასკი, დელპიერი, ბოკა - ჰილბერტი (45. რუდი), კუზმანოვიჩი, ჰიცშპერგერი (65. შიბერი) - ელსონი, ჰლები - პოგრებნიაკი.

**გოლები:** 1:0 ნავასი (14), 1:1 კუზმანოვიჩი (79)

**მაყურებელი:** 38 000

**არბიტრი:** მარტინ ატკინსონი (ინგლისი)

სტატისტიკა
მატჩი დაიწყო: შტუტგარტი
პირველი კუთხური: შტუტგარტი
პირველი ჯარიმა: შტუტგარტი
პირველი გაფრთხილება: შტუტგარტი

| | | |
|---|---|---|
| 9 (6) | დარტყმა | 13 (5) |
| 19 | ჯარიმა | 23 |
| 4 | კუთხური | 4 |
| 1 | გაფრთხილება | 3 |
| 47% | ბურთის ფლობა | 53% |

### უნირეა-რეინჯერსი 1:1

**უნირეა (4-3-3):** არლაუსკისი - ბორდეანუ, გალამასი, მაფტეი, ბრანდანი - ბალანი (28. ონოფრაში), ვილანა (81. პადურეტო), აპოსტოლი - ფრუნზა, ბილასკო, ვარგა (81. სემედო).

**რეინჯერსი (4-5-1):** მაკგრეგორი - ვიტაკერი, ვილსონი, ვეირი, პაპაცი - ნეისმითი, დევისი, მაკალოხი, ტომსონი (85. ფლეკი), ლაფერტი - მილერი (82. ნოვო).

**გოლები:** 0:1 მაკალოხი (79), 1:1 ონოფრაში (88)

**მაყურებელი:** 14 000

**არბიტრი:** კლაუს ბო ლარსენი (დანია)

სტატისტიკა
მატჩი დაიწყო: რეინჯერსი
პირველი კუთხური: უნირეა
პირველი ჯარიმა: უნირეა
პირველი გაფრთხილება: რეინჯერსი

| | | |
|---|---|---|
| 19 (9) | დარტყმა | 14 (7) |
| 9 | ჯარიმა | 10 |
| 5 | კუთხური | 5 |
| 1 | გაფრთხილება | 2 |
| 49% | ბურთის ფლობა | 51% |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სევილია | 4 | 3 | 1 | 0 | 10-3 | 10 |
| 2. უნირეა | 4 | 1 | 2 | 1 | 6-5 | 5 |
| 3. შტუტგარტი | 4 | 0 | 3 | 1 | 4-6 | 3 |
| 4. რეინჯერსი | 4 | 0 | 2 | 2 | 4-10 | 2 |

## H ჯგუფი

### არსენალი-ალკმაარი 4:1

**არსენალი (4-4-2):** ალმუნია - ებუე, გალასი, ვერმალენი, ჯიბსი - ნასრი, ფაბრეგასი (67. რამსეი), სონგი, დიაბი - არშავინი (75. როსიცკი), ვან პერსი (67. ედუარდო).

**ალკმაარი (4-4-2):** რომერო - იალიენსი, მოისანდერი, მორენო, პოულსენი (64. პოკონოლი) - ჰოლმანი, მენდეშ და სილვა (70. ვერნბლოომი), შაარსი, მარსტენსი - პელე, დემბელე (58. ლენსი).

**გოლები:** 1:0 ფაბრეგასი (25), 2:0 ნასრი (43), 3:0 ფაბრეგასი (52), 4:0 დიაბი (72), 4:1 ლენსი (82)

**მაყურებელი:** 55 138

**არბიტრი:** ალან ჰამერი (ლუქსემბურგი)

სტატისტიკა
მატჩი დაიწყო: ალკმაარი
პირველი კუთხური: არსენალი
პირველი ჯარიმა: ალკმაარი
პირველი გაფრთხილება: ალკმაარი

| | | |
|---|---|---|
| 12 (7) | დარტყმა | 9 (3) |
| 14 | ჯარიმა | 14 |
| 5 | კუთხური | 4 |
| 0 | გაფრთხილება | 1 |
| 53% | ბურთის ფლობა | 47% |

### სტანდარდი-ოლიმპიაკოსი 2:0

**სტანდარდი (4-4-2):** ბოლატი - კამოზატო, სარი (46. რამოსი), ფელიპე, რიკარდო როშა - კარსელა-გონსალესი (87. გორეუ), მანგალა, ვიტსელი, დე კამარგო - იოვანოვიჩი (91. ანგელი), მბოკანი.

**ოლიმპიაკოსი (5-4-1):** ნიკოპოლიდისი - გალიციოსი, ჟევლიაკოვი, ა. პაპადოპულოსი (78. ი. პაპადოპულოსი), მელბერგი, რაულ ბრავო - გალეტი (42. ფეტფაციდისი), დუდუ, მარესკა, გონსალესი (78. სტოლტიდისი) - მიტროგლუ.

**გოლები:** 1:0 მბოკანი (31), 2:0 იოვანოვიჩი (88)

**მაყურებელი:** 25 000

**არბიტრი:** ნიკოლა რიცოლი (იტალია)

სტატისტიკა
მატჩი დაიწყო: ოლიმპიაკოსი
პირველი კუთხური: ოლიმპიაკოსი
პირველი ჯარიმა: ოლიმპიაკოსი
პირველი გაფრთხილება: ოლიმპიაკოსი

| | | |
|---|---|---|
| 11 (4) | დარტყმა | 11 (3) |
| 19 | ჯარიმა | 14 |
| 2 | კუთხური | 6 |
| 3 | გაფრთხილება | 2 |
| 41% | ბურთის ფლობა | 59% |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. არსენალი | 4 | 3 | 1 | 0 | 10-4 | 10 |
| 2. ოლიმპიაკოსი | 4 | 2 | 0 | 2 | 3-5 | 6 |
| 3. სტანდარდი | 4 | 1 | 1 | 2 | 6-6 | 4 |
| 4. ალკმაარი | 4 | 0 | 2 | 2 | 3-7 | 2 |




ამბები

# ახალი მწვრთნელი შვედეთს

**ერიკ ჰამრენი** - ეს გვარ-სახელი ფეხბურთის ქომაგთ შეიძლება ბევრს არაფერსეუბნება, მაგრამ ამ მწვრთნელს გარკვეული წარმატებისთვის უკვე მიუღწევია - გასულ სეზონში ნორვეგიულ „როზენბორგს" ქვეყნის ჩემპიონის ტიტული მოაპოვებინა. ცოტაა? შეიძლება, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ შვედ ჰამრენს მშობლიური ქვეყნის ეროვნული გუნდი ჩააბარეს, გამოდის, რომ დაფასებული კაცი ყოფილა.

ჰამრენი 52 წლისაა. ვაკანტურ თანამდებობაზე მან **ლარს ლაგერბაკი** შეცვალა. ეს უკანასკნელი, რომელიც კარგა ხანს **ტომი სოდერბერგთან** ერთად წვრთნიდა „ტრე კრუნურს", უხეირო შესარჩევი ციკლის შემდეგ გაათავისუფლეს - შვედეთის ნაკრები მუნდიალზე ვერ მოხვდა...

ჰამრენი „როზენბორგთან" მომავალი წლის 31 აგვისტომდეა დაკავშირებული. შვედეთის საფეხბურთო ასოციაცია წინააღმდეგი არ არის, რომ ვიდრე ახალი საკვალიფიკაციო კამპანია დაიწყება, ჰამრენმა ნორვეგიულ გრანდშიც იღვაწოს. ახალ მწვრთნელს დებიუტი სულ მალე, 18 ნოემბერს, იტალიასთან გასვლით ამხანაგურ მატჩში ექნება.



ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური

# ბაიერნი უფსკრულის პირას

## რეკორდმაისტერი 200 მილიონით მდიდრდება, მაგრამ ჯგუფში რჩება



კლოზეს დარტყმას სიანი ხელით აჩერებს - არის თუ არა ეს პენალტი?

**ვერც „იუვენტუსმა“ და ვერც „ბაიერნმა“ - A ჯგუფიდან მერვედფინალში თამაში პირველმა „ბორდომ“ გაინაღდა. ფრანგებთან ერთად, ფლეიოფის საგზურები მოიპოვეს „მანჩესტერ იუნაიტედმა“, „ჩელსიმ“ და „პორტუმ“. „მანჩესტერმა“ ეს ცსკა-სთან უხვგოლიანი ფრეთი მიაღწია (3:3) და ძლივს გადაურჩა მარცხს, რითაც „ვოლფსბურგს“ კარგი სამსახური გაუწია. „მილანმა“ და „რეალმა“ კი ქულები გაიყვეს და ამასობაში, მათ „მარსელი“ წამოეწია.**

### A ჯგუფი

**მაქაბი-იუვენტუსი 0:1**

გოლი: 0:1 კამორანეზი (45)

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** დიეგო (იუვენტუსი)

ტყუილად როდი თქვა **ჯორჯო კიელინიმ**, „იუვენტუსისგან“ სასწაულ ფეხბურთს ნუ ითხოვთ, ეს „ბიანკონერის“ გენებში არ არის, „იუვენტუსი“ ყოველთვის იუვენტუსურ ფეხბურთს ითამაშებსო. აჰა, **ჩირო ფერარას** ხელში „იუვე“ ტრადიციას არ ღალატობს - „ბებერმა ქალბატონმა“ აუტსაიდერ „მაქაბის“ ორივე თამაში მინიმალურად მოუგო, 1:0 ხომ ტურინელთა უსაყვარლესი ანგარიშია. პრინციპში, კიელინი ცამდე მართალია: ყველა გუნდმა ისეთი ფეხბურთი უნდა ითამაშოს, რაც გენებში აქვს. სწორედ ამითაა ფეხბურთი მომხიბვლელი, თორემ ყველა ალვირახსნილ ფეხბურთს რომ თამაშობდეს ან ყველა დაცვაში რომ იდგეს... მოკლედ, თუ „ბაიერნმა“ „მაქაბის“ დიდი ანგარიშით მოუგო, რა ხეირი? „იუვენტუსი“ მერვედფინალისკენ მიდის.

თუმცა ტურინელებს თელ ავივში უფრო დიდი ანგარიშით უნდა მოეგოთ, რადგან პირველიდან ბოლო წუთამდე სჯობდნენ მეტოქეს. „მაქაბის“ ფეხბურთელები კი კვლავ ამაოდ ცდილობდნენ თავიანთი უმთავრესი პრობლემის ალმოფხვრას - რამდენიმე შანსი მიეცათ, მაგრამ გოლი ვერ გაიტანეს. შედეგი: ოთხი ტურის შემდეგ, **დვალიშვილსა** და კომპანიას გატანილი გოლების გრაფაში კვლავ ნული უწერიათ. „იუვენტუსში“ საუკეთესო **დიეგო** იყო. ბრაზილიელმა ძალიან კარგად შეასრულა დირიჟორის მოვალეობები, ოთხჯერ დაურტყა „მაქაბის“ და ათჯერ შეაჩერეს წესების დარღვევით. ამას გარდა, სწორედ დიეგომ მისცა გენიალური პასი **კასერესს**, რომელმაც მერე **მაურო კამორანეზის** გაატანინა. მოკლედ, ძალების მინიმალური ხარჯვით მერვედფინალისკენ - „იუვენტუსი“ „იუვენტუსად“ რჩება.

**ბაიერნი-ბორდო 0:2**

გოლები: 0:1 გურკუფი (38), 0:2 შამახი (90)

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** სედრიკ კარასო (ბორდო)

„ბაიერნი“ ბურთს უფრო მეტხანს ფლობდა, მეტი კუთხური მოაწოდა, მეტჯერ დაარტყა მეტოქის კარისკენ, მაგრამ შეტევაში ძალიან ბევრი რამ აკლდა. ბურთის ფლობა და მეტი კუთხური კი „გაზაფხულს ვერ მოიყვანს“ - „ბაიერნმა“ „ბორდოსთან“ შინაც წააგო და უფსკრულის პირას დგას. ფრანგების პირველი გოლის დროს კაპიტანმა **მარკ ვან ბომელმა** დაუშვა შეცდომა, მეორე გოლის დროს კი მეკარე **ჰანს-იორგ ბუტმა**. აი, ასე შედგა გერმანიის რეკორდმაისტერის პირველი საშინაო მარცხი ჩემპიონთა ლიგაში 2007 წლის აპრილის შემდეგ - მაშინ ეს პატივი წილად „მილანს“ ხვდა, ახლა კი „ბორდოს“.

როდესაც „ბაიერნის“ ფეხბურთელებმა საფინალო სასტვენის შემდეგ ფანების ბლოკს მიაშურეს, იქიდან სტვენის კასკადი დაატყდათ თავს. მწვრთნელმა **ლუის ვან გაალმა** მოედანი უსიტყვოდ, თავჩაქინდრულმა დატოვა. არადა, რა კარგი ინფორმაცია გავრცელდა წინადღეს - „ბაიერნი“ „აუდისგან“ 200 მილიონ ევროს მიიღებს. მოკლედ, ფული აქვთ, სახელზე არაფერს ვამბობთ, მაგრამ მიუნხენელები ჩემპიონთა ლიგას ჯგუფურ ეტაპზე ეთიშებიან. რეკორდმაისტერს ახლა მხოლოდ სასწაულილა თუ იხსნის. სასწაულში კი შემდეგი იგულისხმება: მიუნხენელებმა „მაქაბისაც“ უნდა მოუგონ და „იუვენტუსსაც“ (თან ტურინში), ამავდროულად, „იუვემ“ „ბორდოს“ არ უნდა მოუგოს. ეს იმ დროს, როცა ფრანგებს მერვედფინალში თამაში უკვე განაღდებული აქვთ.

მატჩის 32-ე წუთზე კი აუხსნელი რამ მოხდა: **შვაინშტაიგერის** ჯარიმა მეკარე **კარასომ** უხეიროდ მოიგერია, კარის ხაზთან შექმნილი არეულობით კი **კლოზემ** ისარგებლა და ბურთს ფეხი მიჰკრა, ზედ ხაზთან კი, **სიანიმ** ბურთი ხელით შეაჩერა - ყველა წესის და კანონის მიხედვით, აქ პენალტი უნდა დანიშნულიყო, მაგრამ მსაჯმა არაფერი მოიმოქმედა.

გაინტერესებთ, როგორი კომენტარი გააკეთა ვან გაალმა მატჩის შემდეგ? აი, ისიც: *„ძალიან არ გაგვიმართლა, გოლი რომ ვერ გავიტანეთ. მსაჯმა 0:0-ზე ასპროცენტიანი პენალტი არ დაგვინიშნა. მატჩის ბედს სწორედ ასეთი დეტალები წყვეტს. ძალიან კარგად არ გვითამაშია, მაგრამ არც ცუდად გამოვიყურებოდით. ეს ნამდვილად არ იყო „ბაიერნის“ საუკეთესო თამაში. მაგრამ მინდა ვთქვა, რომ ჯერ არ გავვარდნილვართ. მართალია, ძალიან მცირე, მაგრამ მერვედფინალში გასვლის შანსი ჯერ კიდევ გვაქვს,“* - ნეტარ არიან მორწმუნენი.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბორდო | 4 | 3 | 1 | 0 | 6-2 | 10 |
| 2. იუვენტუსი | 4 | 2 | 2 | 0 | 3-1 | 8 |
| 3. ბაიერნი | 4 | 1 | 1 | 2 | 4-4 | 4 |
| 4. მაქაბი | 4 | 0 | 0 | 4 | 0-6 | 0 |

### მომდევნო ტური

**25 ნოემბერი**

ბორდო-იუვენტუსი

ბაიერნი-მაქაბი

### B ჯგუფი

**მანჩესტერი-ცსკა 3:3**

გოლები: 0:1 ძაგოევი (25), 1:1 ოუენი (29), 1:2 კრასიჩი (31), 1:3 ვ. ბერეზუცკი (47), 2:3 სქოულზი (84), 3:3 ვალენსია (90)

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** მილოშ კრასიჩი (ცსკა)

„მანჩესტერ იუნაიტედს“ სამივე თამაში მოგებული ჰქონდა და **სერ ალექს ფერგიუსონმა**, თავს უფლება მისცა, მოსკოვის ცსკა-სთან საშინაო შეხვედრაში გაძლიერებული მეორე შემადგენლობა გაეყვანა, რითაც ბოლო ოთხი წლის განმავლობაში, ჩემპიონთა ლიგაში პირველი საშინაო მარცხის პროვოცირება მოახდინა. მოსკოველები განსაკუთრებით მარჯვენა ფლანგიდან აქტიურობდნენ და საკმაოდ კარგ კომბინაციებში მთავარი როლი **მილოშ კრასიჩს** ჰქონდა. ამ დროს, **ფედერიკო მაკედა**, **ნანი** და კომპანია პუბლიკაზე თამაშობდნენ.

„მანჩესტერი“ მხოლოდ მას მერე ათამაშდა ჯეროვნად, როცა ფერგიუსონმა სადღაც ერთსაათიანი წვალების შემდეგ, მოედანზე **პატრის ევრა** და **უეინ რუნი** შეუშვა. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მანკუნიანელებს მესამე გოლის მომენტში საკმაოდ გაუმართლათ: **ლუის ვალენსიას** დარტყმის შემდეგ, ბურთი **სენიკოვს** მოხვდა და **აკინფეევის** კარში რიკოშეტით გავიდა. „მანჩესტერისთვის“ ცსკა-სთან 3:3 კარგი შედეგი ნამდვილად არ არის, მაგრამ არც სამარცხვინოა, რადგან „მანიუმ“ ფრეთი მერვედფინალში ასპარეზობა გაინაღდა. არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ ფერგის ბიჭებს მომავალ უქმეებზე „ჩელსისთან“ უმნიშვნელოვანესი მატჩი უწევთ.

**ბეშიქთაში-ვოლფსბურგი 0:3**

გოლები: 0:1 მიშიმოვიჩი (14), 0:2 გენტნერი (80), 0:3 ჯეკო (87)

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** ზვიეზდან მიშიმოვიჩი (ვოლფსბურგი)

„ბაიერნისგან“ განსხვავებით, ჩემპიონთა ლიგაში საკმაოდ კარგად გამოიყურება გერმანიის მოქმედი ჩემპიონი „ვოლფსბურგი“. ცსკა-ს ხომ მოუგეს, „მანჩესტერთან“ სტუმრად იგებდნენ და მხოლოდ 1:2 წააგეს, მერე „ბეშიქთაშს“ შინ ბევრად სჯობდნენ, მაგრამ გოლი ვერ გაუტანეს, სამაგიეროდ, თურქულ კლუბს სტუმრად აწყევლინეს თავბედი. „მგლები“ დამსახურებულად უმიზნებენ მერვეფინალს. უფრო მეტი გამართლება და „ვოლფსბურგი“ „ბეშიქთაშს“ გაცილებით დიდი ანგარიშით მოუგებდა.

აგერ უკვე მერამდენედ, „ვოლფების“ რიგებში საუკეთესო იყო გამთამაშებელი **ზვიეზდან მიშიმოვიჩი**, რომელმაც გოლთან ერთად, საგოლე გადაცემაც მიითვალა. მომდევნო მატჩი გერმანიის ჩემპიონს მოსკოვში ელის და ფრეც ეყოფა იმისათვის, რომ ჯგუფიდან გავიდეს.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მანჩესტერი | 4 | 3 | 1 | 0 | 7-4 | 10 |
| 2. ვოლფსბურგი | 4 | 2 | 1 | 1 | 7-3 | 7 |
| 3. ცსკა | 4 | 1 | 1 | 2 | 6-8 | 4 |
| 4. ბეშიქთაში | 4 | 0 | 1 | 3 | 1-6 | 1 |

### მომდევნო ტური

**25 ნოემბერი**

მანჩესტერი-ბეშიქთაში

ცსკა-ვოლფსბურგი

### C ჯგუფი

**მილანი-რეალი 1:1**

გოლები: 0:1 ბენზემა (29), 1:1 რონალდინიო (34-პენ)

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** ალეშანდრე პატო (მილანი)

ერთი ქულა მილანიდან - „რეალის“ მთავარ მწვრთნელ **მანუელ პელეგრინის** ამ დღეებში მშვიდად ძილი მაინც არ უწერია, რადგან მისმა შეგირდებმა საერთო ჯამში, „სან სიროზე“ არცთუ სახარბიელო შთაბეჭდილება დატოვეს. „რეალმა“ ნამდვილად კარგად დაიწყო და სრულიად დამსახურებულად გავიდა წინ, აი, **ბენზემას** გოლის შემდეგ კი, მადრიდელებს ბევრი ალარაფერი გამოსვლიათ.

მატჩის მთავარი არბიტრი **ფელიქს ბრიხი** ყურადღების ცენტრში რამდენჯერმე მოექცა. ჯერ იყო და სავსებით სამართლიანად დანიშნა მადრიდელთა კარში პენალტი (**ძამბროტას** დარტყმული ბურთი **პეპეს** ხელზე მოხვდა), რომელიც **რონალდინიომ** აქცია გოლად და ეს იყო ბრაზილიელის პირველი გოლი ჩემპიონთა ლიგაში ბოლო ორი წლის განმავლობაში. ცოტა ხნის შემდეგ კი, გერმანელმა არბიტრმა **ალეშანდრე პატოს** წესების სრული დაცვით გატანილი გოლი არ ჩაუთვალა. მეორე ტაიმში „მილანმა“ აჯობა „სამეფო გუნდს“, მაგრამ ეს არ აღმოჩნდა საკმარისი იმისათვის, რომ „როსონერის“ „რეალი“ კვლავ დაემარცხებინა. მადრიდელთა მხრიდან უდავოდ გამორჩეული იყო **კაკა**, რომელიც ბევრს ეცადა, ყოფილი თანაგუნდელების წინააღმდეგ იდეალური მატჩი ჩაეტარებინა. თუმცა ბრაზილიელი საუკეთესო ფორმისგან მაინც ძალიან შორსაა.

*„ძალიან მაგარი თამაში იყო. ფეხბურთი სწორედ ასეთი მატჩების გამოა სპორტის უპირველესი სახეობა. ჩვენი თამაშით კმაყოფილი ვარ, ძალიან კარგად ვიბრძოლეთ და ვფიქრობ, ფრე ურიგო შედეგი არ არის. დღესაც დავამტკიცეთ, რომ ნამდვილი „მილანი“ ნელნელა ბრუნდება,“* - განაცხადა მატჩის შემდეგ **ანდრეა პირლომ**.

**მარსელი-ციურიხი 6:1**

გოლები: 1:0 ეგერტერი (3-საკ. კარში), 2:0 აბრიელი (11), 2:1 ალფონსი (31), 3:1 ნიანგი (52), 4:1 ჰილტონი (80), 5:1 შეირუ (87), 6:1 ბრანდაო (90)

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** ბენუა შეირუ (მარსელი)

„ციურიხი“ ჯგუფის მთავარი აუტსაიდერი რომ იყო, ვიცოდით, მაგრამ მას მერე, რაც შვეიცარიელებმა „სან სიროზე“ „მილანი“ დაამარცხეს, დავუშვით იმის ალბათობა, რომ „ციურიხს“ სხვა სენსაციების მოხდენაც შეეძლო. მაგრამ მარსელის „ოლიმპიკმა“ ეს გუნდის თავის ადგილზე მოსვა. „მარსელის“ მეორე გოლი თამაშგარე მდგომარეობიდან იქნა გატანილი, მაგრამ აბა, ამას რა მნიშვნელობა აქვს. 6:1 ის ანგარიშია, სადაც განსახილველი და გასაანალიზებელი არაფერია. ფაქტი ის არის, რომ „მარსელს“ 4 თამაშის შემდეგ 6 ქულა აქვს და ჯეროვან კონკურენციას უწევს როგორც „რეალს“, ასევე „მილანსაც“, რომლებიც 7-7 ქულით პირველ-მეორე ადგილებს იყოფენ. უფრო სწორად, პირველი „მილანია“, რადგან „რეალთან“ ორრაუნდიან დუელში გამარჯვებული სწორედ **ლეონარდოს** გუნდი გამოვიდა.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მილანი | 4 | 2 | 1 | 1 | 6-5 | 7 |
| 2. რეალი | 4 | 2 | 1 | 1 | 11-6 | [illegible] |
| 3. მარსელი | 4 | 2 | 0 | 2 | 8-6 | 6 |
| 4. ციურიხი | 4 | 1 | 0 | 3 | 4-12 | 3 |

### მომდევნო ტური

**25 ნოემბერი**

მილანი-მარსელი

რეალი-ციურიხი

### D ჯგუფი

**ატლეტიკო-ჩელსი 2:2**

გოლები: 1:0 აგუერო (66), 1:1 დროგბა (82), 1:2 დროგბა (88), 2:2 აგუერო (90)

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** კუნ აგუერო (ატლეტიკო)

ეს არის ჯგუფი, სადაც თითქმის ყველაფერი ორი ტურით ადრე გაირკვა. თითქმისო, იმიტომ ვამბობთ, რომ გასარკვევი მხოლოდ ის დარჩა, თუ რომელი გუნდი დაიკავებს პირველ ადგილს - „ჩელსი“ თუ „პორტუ“. **კარლო ანჩელოტის** ძალიან ცოტა დააკლდა იმისათვის, რომ ჯგუფიდან გასვლასთან ერთად, პირველი ადგილიც ორი ტურით ადრე გაენაღდებინა. „არისტოკრატებს“ ამაში ხელი **კუნ აგუერომ** შეუშალა. 53-ე წუთზე შეცვლაზე შესულმა არგენტინელმა ჯერ ანგარიში გახსნა, ბოლოს კი, **დიდიე დროგბას** დუბლს ზღაპრულად შესრულებული საჯარიმო დარტყმით უპასუხა.

რაც შეეხება დროგბას: კოტდივუარელმა ჩემპიონთა ლიგაში სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია მოიხადა და დაბრუნება, თავის სტილში გატანილი გოლებით აღნიშნა. მოკლედ, ანჩელოტის იმდენად მაგარი გუნდი ჰყავს, რომ შეგვიძლია ვთქვათ: „ჩელსი“ პირველად არის ჩემპიონთა ლიგის რეალური ფავორიტი. **ჟოზე მოურინიოს** დროს „არისტოკრატები“ ასე სოლიდურად ნაღდად არ გამოიყურებოდნენ.

**აპოელ-პორტუ 0:1**

გოლი: 0:1 ფალკაო (84)

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** რადამელ ფალკაო (პორტუ)

ვინ იფიქრებდა, რომ „პორტუ“ მერვედფინალის საგზურს ორი ტურით ადრე გაინაღდებდა? და თანაც, 100 პროცენტით დაიმსახურებდა ამას? პორტუგალიელებმა აპოელ-ს რა თქმა უნდა, აჯობეს, ოღონდ მხოლოდ გვიანი გოლით მოუგეს. ნიქოზიელებს კი მთელი მატჩის განმავლობაში ერთხელაც არ უგრძნობინებიათ, რომ ამ შეხვედრაში წარმატების მიღწევა შეეძლოთ.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩელსი | 4 | 3 | 1 | 0 | 8-2 | 10 |
| 2. პორტუ | 4 | 3 | 0 | 1 | 5-2 | 9 |
| 3. ატლეტიკო | 4 | 0 | 2 | 2 | 2-8 | 2 |
| 4. აპოელ | 4 | 0 | 1 | 3 | 1-4 | 1 |

### მომდევნო ტური

**25 ნოემბერი**

პორტუ-ჩელსი

აპოელ-ატლეტიკო

**გოტფრიდ ლენცი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ იცოდეთ...

# უფრო მეტი, ვიდრე ფეხბურთი

## ორი დიდი საფეხბურთო კულტურა და 30 განსხვავება



იტალიაში ფეხბურთი ბევრად უფრო მეტია, ვიდრე სპორტის ერთ-ერთი, თუნდაც უპირველესი სახეობა. ფეხბურთი ცხოვრების წესია, ყოველდღიური საფიქრალი. ხშირად ამბობენ, რომ ფეხბურთი სწორედ აპენინის ნახევარკუნძულიდან მოდის და არა ინგლისიდან. ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში იყო ასეთი თამაში: კალჩო, რომელსაც მიიჩნევენ კიდეც ფეხბურთის წინამორბედ სახეობად. ის თამაში ისტორიას ჩაბარდა, თუმცა დარჩა სახელი, „კალჩო" და აპენინებზე დღეს სწორედ ასე უწოდებენ სპორტის უპირველეს სახეობას. იტალიაში ხშირად ედრებიან ფეხბურთის სამშობლოს, ინგლისს და პარალელებსაც ავლებენ. თავის მხრივ, ფეხბურთი ინგლისშიც რელიგიის დონეზეა აყვანილი, რაც ჩვენგან ნამდვილად არ გესწავლებათ. ყველაზე საინტერესო კი ის კულტურული განსხვავებებია, რომლებიც მენტალიტეტიდან მოდის - ფეხბურთის ფანატიზმამდე აყვანილი სიყვარული, ინგლისში და იტალიაში სხვადასხვაგვარ ფორმებში ვლინდება. გავეცნოთ ამ ორი დიდი ქვეყნის საფეხბურთო კულტურას და შევადაროთ ისინი ერთმანეთს. თქვენ წინაშეა 30 განსხვავება.

**1.**

- კვირა დღე ინგლისში იწყება პაბით, მერე ფეხბურთით გრძელდება და ისევ პაბით მთავრდება.
- კვირა დღე იტალიაში: ეკლესია, ფეხბურთი, სახლი და ტელევიზორი, რათა უყურო ტურის მიმოხილვას და გაარჩიო შენი გუნდის კონკურენტების თამაში.

**2.**

- მატჩის წინ ინგლისელები მიირთმევენ ჩიფსებს, არაბულ ქებაბს და სტადიონისკენ მიმავალ გზაზე სვამენ სამოთხ კათხა ლუდს.
- მატჩის წინ იტალიაში აუცილებლად მიირთმევენ მაკარონს, კატლეტს და აყოლებენ წითელ ღვინოს, რაც მათ განწყობაზე იდეალურად მოქმედებს.

**3.**

- იტალიაში გულშემატკივართა გარკვეული ჯგუფი მეტოქე გუნდის ავტობუსს აუცილებლად დაბომბავს ფორთოხლებით და პომიდვრებით. პოლიცია ამას ყოველთვის გალიმებული უყურებს.
- თუ ამის გაკეთებას ინგლისში დააპირებთ, აუცილებლად ციხეში ამოჰყობთ თავს.

**4.**

- იტალიელი ტიფოზები უცხოეთში მშვიდად იქცევიან, საკუთარ სტადიონზე კი ხშირად ადამიანურ სახეს კარგავენ.
- ინგლისელები პირიქით, საკუთარ სტადიონზე და ქალაქში არაფერს დააშავებენ, სამაგიეროდ უცხოეთში არიან ძალიან საშიშნი.

**5.**

- ინგლისში ტრიბუნებზე დამონტაჟებულ სკამებზე როგორც წესი სხედან.
- იტალიაში სკამებს ხშირ შემთხვევაში საბრძოლო იარაღად იყენებენ.

**6.**

- ინგლისში სამართალდამცავები უყურებენ გულშემატკივრებს, განსაკუთრებული ყურადღებით კი ულტრასებს.
- იტალიაში სამართალდამცავები უყურებენ ფეხბურთს და ჰგვანან ულტრასებს.

**7.**

- ინგლისში თუ სტადიონზე მყოფს საკვები მოგინდათ, უნდა დატოვოთ ტრიბუნები, გახვიდეთ გარეთ და მოძებნოთ ბუფეტი.
- იტალიაში ყველაფერი გაცილებით მარტივია: უბრალოდ უნდა დაიყვიროთ: „პიცა", „ბიბიტარო" და მაქსიმუმ ოც წამში თქვენთან გამყიდველი გაჩნდება.

**8.**

- ინგლისში კარგი ფეხბურთელი გქვია მაშინ, თუ სწრაფი და ძლიერი ხარ, ამასთან მაქსიმალურად იხარჯები მთელი 90 წუთის განმავლობაში.
- იტალიაში კარგი ფეხბურთელი გქვია მაშინ, თუ ტაქტიკურად იდეალურად ხარ განსწავლული და არც ტექნიკა დაგენუნება, - დანარჩენს ეშველება.

**9.**

- თუ „სქაი სპორტი" ამბობს, რომ **პიტერ კრაუჩი** მსოფლიოს საუკეთესო თავდამსხმელია, ინგლისში ამას იჯერებენ და სიახლეს დიდი სიხარულითაც იღებენ.
- თუ „სქაი იტალია" ამბობს, რომ **სიმონე ლორია** მსოფლიოს საუკეთესო მცველია, იტალიაში ეს სასაცილოდ არ ჰყოფნით და ამბობენ, რომ სიმონემ ამაში ფული გადაიხადა.

**10.**

- იტალიაში მიზანი ამართლებს საშუალებას. მთავარია გუნდმა გაიმარჯვოს და რა ხერხებით, ამას არ აქვს მნიშვნელობა.
- ინგლისში ფეარ პლეის პრინციპები ყოველთვის პირველია და სამართლიანი თამაში უფრო მაღლა დგას, ვიდრე რეზულტატი.

**11.**

- იტალიაში დაცვაში თამაში ხელოვნებაა.
- ინგლისში ანტი-ფეხბურთი.

**12.**

- იტალიაში, როდესაც გუნდი 3:0-ს აგებს, ფეხბურთელები ბრძოლას წყვეტენ და მოედანზე მოვალეობის მოხდის მიზნით დარბიან. ტიფოზები კი ობსტრუქციისთვის ემზადებიან და თამაშის შემდეგ, სტადიონის შემოგარენში ნამდვილ ჯოჯოხეთს აწყობენ.
- ინგლისში, გუნდი 8:0-საც რომ აგებდეს, ფეხბურთელები ბრძოლას არ წყვეტენ, ხოლო გულშემატკივრები კიდევ უფრო ერთსულოვნად მღერიან საყვარელი გუნდის ჰიმნს. ნურც ის გაგაკვირვებთ, ასეთ დროს, ერთი ზუსტი გადაცემა ან უსარგებლო ვარდნა მქუხარე ტაშს თუ გამოიწვევს.

**13.**

- ინგლისში ცუდი მსაჯი არაკომპეტენტურია.
- იტალიაში კორუმპირებული.

**14.**

- ინგლისურ ტელეარხებზე, ტურის შემდეგ მიმოხილვაში დროის 99% სახიფათო მომენტების ჩვენებას ეთმობა, 1% კი ანალიზს.
- იტალიაში 1% სახიფათო მომენტებს, 99% კი ანალიზს და გარჩევას.

**15.**

- ინგლისში საფეხბურთო ჩინოსნები იშვიათად ჩნდებიან საზოგადოებაში და არ ჩანან პრესის ფურცლებზე.
- იტალიაში, ყველაზე ბევრს სწორედ კლუბების პრეზიდენტები და დირექტორატის წარმომადგენლები საუბრობენ. ეკამათებიან ყველას: კოლეგებს, მსაჯებს და ფეხბურთელებსაც კი.

**16.**

- იტალიაში ქრთამის აღება და კორუფცია საფეხბურთო ცხოვრების ჩვეულებრივი შემადგენელი ნაწილია.
- ინგლისურ ფეხბურთში კორუფცია იშვიათი მოვლენაა და უმკაცრესად ისჯება.

**17.**

- ინგლისში იქამდე არ ხართ დამნაშავე, სანამ ეს არ დაგიმტკიცდებათ.
- იტალიაში უკვე დამნაშავე ხართ, თუ თქვენზე უსიამოვნო ჭორი გავრცელდა.

**18.**

- ინგლისში ლუდი იმდენად უყვართ, რომ მასზე უარს არც ფეხბურთელები ამბობენ. განსაკუთრებით მოგებული შეხვედრების შემდეგ.
- იტალიაში ფეხბურთელები ნაკლებს სვამენ. სამაგიეროდ, საფეხბურთო ჩინოსნების მიერ დანიშნული საქმიანი ვახშამი მთავრდება ხშირად ალკოჰოლის ჭარბი მიღებით და რამდენიმესაათიანი მოლხენით.

**19.**

- ინგლისში კლუბებთან ფეხბურთელების პირადი აგენტები აწარმოებენ მოლაპარაკებებს.
- ფეხბურთელებს პირადი აგენტები იტალიაში ჰყავთ, მაგრამ მოლაპარაკებებს მაინც მშობლები აწარმოებენ.

**20.**

- იტალიელი ფეხბურთელები მატჩამდე სილამაზის სალონებში დადიან, წვერს იპარსავენ და თმებს სტილისტებთან ივარცხნიან.
- ერთადერთი დავარცხნილი ინგლისელი ფეხბურთელი **დევიდ ბექჰემია**.

**21.**

- ინგლისში, მატჩის დაწყებამდე ერთი საათით ადრე, სტადიონი უკვე სავსეა.
- იტალიაში, შეხვედრის დაწყებიდან თხუთმეტი-ოცი წუთის განმავლობაში, ტრიბუნებზე ჯერ კიდევ ჩოჩქოლია. გულშემატკივრები როგორც წესი ვერ პოულობენ თავიანთ ადგილს.

**22.**

- ინგლისში, სტადიონზე ბილეთით და აბონიმენტით შედიან.
- იტალიაში შეიძლება მათ გარეშეც გახვიდეთ ფინს, თუ საჭირო ადამიანის ნათესავი ხართ ან ბოძებზე ძრომიალი გეხერხებათ.

**23.**

- ინგლისის სტადიონებზე სამართალდამცავებს პერანგი აცვიათ და კეპი ახურავთ.
- იტალიელ სამართალდამცავებს მეტალისგან დამცავი ქუდი ახურავთ, ხელში კი ფარი და რეზინის ჯოხი აქვთ მომარჯვებული. სტადიონის მიმდებარე ტერიტორიაზე აუცილებლად დგას მანქანა, რომელიც მზად არის აბობოქრებული ტიფოზები გაზით გაანეიტრალოს.

**24.**

- არავინ იცის, სად და როგორ ატარებენ შვებულებას ინგლისელი ფეხბურთელები. გამონაკლისი ისევ და ისევ დევიდ ბექჰემია.
- იტალიელი ფეხბურთელები შვებულებაზე საუბარს სეზონის დასრულებამდე ორი თვით ადრე იწყებენ. არც წინასწარ შერჩეულ ადგილს მალავენ და არც იმას, თუ რომელი ტოპმოდელი უნდა წაიყვანონ ამა თუ იმ კურორტზე. შემდეგ კი ძალიან ბრაზდებიან, როდესაც სანაპიროზე მათ პაპარაცი აკითხავთ. თანაც უკვირთ, აქ როგორ მოგვაგნოო.

**25.**

- ინგლისელი მწვრთნელები გუნდს მთელი სეზონის განმავლობაში ერთი ტაქტიკით ათამაშებენ.
- იტალიელი მწვრთნელები თამაშის მსვლელობისას ორ-სამ ტაქტიკურ მოდელს მაინც იყენებენ.

**26.**

- ინგლისში ბილეთების დახლთან ყოველთვის წესრიგია. ყველაზე კარგად ის გრძნობს თავს, ვინც რიგში პირველი დგას, რაც სრულიად ბუნებრივია.
- იტალიაში სწორედ ის არის ყველაზე ცუდ მდგომარეობაში, ვინც რიგში პირველია. მას უმალ გამოუჩნდება რამდენიმე ათეული მეგობარი, რომლებიც ფულს მიაწვდიან და თხოვენ, რომ ბილეთი მისთვისაც აიღოს.

**27.**

- იტალიაში პოლიტიკა ყველაფერში ერევა, მათ შორის ფეხბურთში. ყველაფერი რაც ხდება, პოლიტიკასთან არის გადაჯაჭვული.
- ინგლისში საერთოდ არ ესმით, რა კავშირი შეიძლება იყოს პოლიტიკასა და ფეხბურთს შორის.

**28.**

- იტალიელი ტიფოზები გოლის აღნიშვნისას ერთმანეთს ეხვევიან და კოცნიან, ეს ჩვეულებრივი ამბავია.
- ინგლისში, გოლის აღნიშვნისას ერთმანეთთან კონტაქტის დამყარება სულაც არ არის სავალდებულო. თუ მაინც ვერ შეიკავეთ თავი, აუცილებლად არატრადიციული ორიენტაციის ადამიანად მოინათლებით.

**29.**

- ინგლისში დიდი პოპულარობით სარგებლობენ ფეხბურთელების ცოლები.
- იტალიაში ფეხბურთელების საყვარლები.

**30.**

- ინგლისურ ტელეარხებზე საფეხბურთო თემატიკაზე მხოლოდ კაცები საუბრობენ.
- იტალიურ ტელეარხებზე ხშირად ნახავთ, თუ როგორ უსმენენ **მარჩელო ლიპი და ფაბიო კაპელო** თინეიჯერი ტოპმოდელი გოგონების საფეხბურთო ანალიტიკურ მონოლოგებს.

**ლაშა ნიკლაური**



მოსაზრება

# დეკემბერი გადამწყვეტია...

**არსენ ვენგერმა** თავისი ფეხბურთელები გააფრთხილა, რომ „არსენალი" პრემიერლიგის ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლას შეიძლება დეკემბერში ჩამოშორდეს. ჩრდილოლონდონელთა ფრანგი თავკაცი დარწმუნებულია, რომ პირველობისთვის მებრძოლი გუნდებისთვის, საბედისწერო სწორედ დეკემბერია - ამ თვეში გროვდება ყველაზე მეტი დაშავებული და მწვრთნელებსაც თავიანთი გუნდების საუკეთესო შემადგენლობების გადახალისება წელიწადის ბოლო თვეში სჭირდებათ. შეგახსენებთ პრემიერლიგის ცხრილს: ვენგერის ბიჭები ლიდერ „ჩელსის", ხუთი ქულით ჩამორჩებიან, თუმცა ერთი თამაში თადარიგშიც აქვთ.

ზემოთქმულიდან მიხვდებოდით, რომ ვენგერი ყველაზე მეტად ტრავმებს უფრთხის. მართალია, ბოლოხანს „არსენალს" ორი წამყვანი ფეხბურთელი, **სამირ ნასრი** და **ტომაშ როსიცკი** გამოუჯანმრთელდა, მაგრამ ორის წილ ორი დაკარგა კიდეც - **გაელ კლიში** და **ნიკლას ბენდტნერი** დაშავდნენ. კლიში, მოგეხსენებათ, მარცხენა მცველია. მას



არსენ ვენგერი დეკემბერში პრობლემებს ელის

ექიმებმა ზურგზე გაჭიმული მყესის დასაამებლად ორთვიანი მკურნალობა გამოუწერეს, თავდამსხმელი ბენდტნერი კი საზარდულის პრობლემის გამო ოთხი კვირის განმავლობაში ვერ ითამაშებს.

ვენგერმა განაცხადა: *„ყველაზე მეტად ფეხბურთელების დაშავებას განვიცდი. იქნებ დასაჯერებლად ძნელიც იყოს, მაგრამ ფაქტია, აქ, ინგლისში, ფეხბურთელები ნოემბერში შავდებიან. ამაში რომ დარწმუნდეთ, შეგიძლიათ სტატისტიკას ჩახედოთ. არადა, ჩემპიონატის გარდამტეხი პერიოდი დეკემბერია. სწორედ მაშინ გჭირდება საუკეთესო მოთამაშეები საუკეთესო ფორმაში. ჩვეულებრივ, დეკემბერში ირკვევა, არის თუ არა ესა თუ ის გუნდი ჩემპიონატის მომგები. ეს ის დროა, როდესაც კლიმატური პირობების გამო მოედნები მძიმდება, ფეხბურთელები კი გადამწყვეტ სანაკრებო შეხვედრებში მონაწილეობენ და დამატებით იღლებიან. ამ პერიოდს ემთხვევა ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის ბოლო ტურებიც. ერთი სიტყვით, დაძაბულობა არნახულად მატულობს. მოთამაშეებს სეზონის დაწყებიდან უკვე 20-20 შეხვედრა უგროვდებათ. დღეს ერთადერთი პრემიერლიგური გუნდი, რომელსაც გაუმართლა და სხვებზე ნაკლები ფეხბურთელი ჰყავს დაშავებული, „ჩელსი" გახლავთ. ეს გუნდი ცხრილშიც პირველ ადგილზეა, მაგრამ რომ გითხრათ, ისინი გამოკვეთილი ლიდერები არიანო, არ ვიქნები მართალი. მოგეხსენებათ, ჩვენ ერთი თამაშით ნაკლები გვაქვს და თუ იმ გამოტოვებულ შეხვედრას მოვიგებთ, ჩვენსა და „ლურჯებს" შორის განსხვავება ორი ქულალა იქნება. გარდა ამისა, ამ ჩემპიონატში ჩვენ დავინახეთ, რომ „ჩელსი" დაუმარცხებელი გუნდი სულაც არ არის. პლუს, „არსენალისთვის" გაცილებით მნიშვნელოვანია სტაბილურობა, ვიდრე ლონდონელების გუნდში ტრავმირებული ფეხბურთელების ანგარიში. აი, ბენდტნერის დაკარგვა კი ჩვენთვის მართლა დიდი დარტყმა იყო. „ტოტენჰემთან" ნიკლასი იმიტომ ვათამაშე, რომ მაღალ ბურთებზე ყოჩაღობა სჩვევია და კუთხურებისა და ჯარიმების დროს მეტოქეებთან უპირატესობას გვაძლევს ხოლმე. როდესაც ნიკლასი მოედანზე არ არის, იძულებულები ვართ, გარკვეულ კოზირებზე უარი ვთქვათ და სხვა ხერხებზე გადავიდეთ. თუმცა, მადლობა ღმერთს, ბენდტნერი ჩვენი ერთადერთი შემტევი ფეხბურთელი არ არის. მის გარდა „არსენალში" თამაშობენ ედუარდო, ვან პერსი, როსიცკი, ფაბრეგასი, ნასრი და არშავინი. ერთი სიტყვით, შეტევაში ძალიან დიდი პოტენციალი გვაქვს".*

სადისციპლინო კომიტეტში

# დეგენის სამი

„ლივერპულმა" ინგლისის ფეხბურთის ასოციაციაში საჩივარი შეიტანა, უნდოდა „ფულჰემთან" შეხვედრაში გაძევებული **ფილიპ დეგენის** შეწყალება მიეღო, მაგრამ ასოციაცია შეუვალი გამოდგა. ასე და ამგვარად, შვეიცარიის ნაკრების ფეხბურთელი სამ შეხვედრას გამოტოვებს. ამ მატჩებს შორისაა მერსისაიდული დერბი - „ლივერპული" „ევერტონის" წინააღმდეგ,გ რომელიც 29 ნოემბერსაა დანიშნული, მანამდე კი დეგენის გარეშე ჩატარდება დაპირისპირებანი „ბირმინგემსა" და „მანჩესტერ სიტისთან".

როგორც მოგახსენეთ, დეგენმა წითელი ბარათი „კრეივენ კოტეჯზე", „ფულჰემთან" 3:1 წაგებულ შეხვედრაში **კლინტ დემპსის** წინააღმდეგ უხეშობისთვის მიიღო. ბარემ, აქვე შეგახსენებთ, „დეილი მეილის" ექსპერტის, წარსულში ცნობილი ინგლისელი მსაჯის **გრემ პოლის** კომენტარსაც. პოლმა ბრძანა: *„ყველაფერი ისეთ სისწრაფეზე მოხდა, რომ საშინელი უხეშობის შთაბეჭდილება დატოვა, არადა თავდაუზოგავი ორთაბრძოლა იყო, მეტი არაფერი. ვფიქრობ, „ლივერპული" საჩივარს მოიგებს. დეგენი არ უნდა გაეძევებინათ".*

როგორც ხედავთ, ცნობილი არბიტრის კომენტარი ყურად არავინ იღო და ფეხბურთის ასოციაციამ „წითლების" საჩივარი არ დააკმაყოფილა.

გარდა ამისა, ფეხბურთის ასოციაციამ იმსჯელა და დაადგინა, რომ „ბლექბერნთან" შეხვედრაში ყვითელი ბარათი ტყუილად მიიღო „მანჩესტერ იუნაიტედის" ფეხბურთელმა **ფაბიომ**. იგი ტყუპი ძმის, **რაფაელის** ნაცვლად გააფრთხილეს, ასე რომ, ფაბიოს „დანაშაულების" გრაფაში ერთი ბარათი მოაკლდა. ტყუილად დაუსჯიათ „ასტონ ვილას" მოთამაშე **სტივენ უორნოკიც**. უორნოკი „ევერტონთან" შეხვედრაში გააფრთხილეს, არადა, წესით **სტილიან პეტროვი** უნდა გაეფრთხილებინათ. ფაბიოსა და უორნოკისთვის ჩამორთმეული ყვითლები რაფაელსა და პეტროვს „გადაეცათ".



ფილიპ დეგენი

ფეხბურთი და ბიზნესი



სენტ ჯეიმს პარკი

# სენტ ჯეიმს მაღაზია

უცნაური რამ განაცხადა „ნიუკასლ იუნაიტედის" ხელმძღვანელობამ: სეზონის ბოლომდე ჩვენს სტადიონს ახალი სახელი, sportsdirect.com@St James' Park Stadium ერქმევაო. რას ნიშნავს ეს? რას და, როგორც კლუბის აღმასრულებელმა დირექტორმა **დერეკ ლემბაისმა** განაცხადა, სტადიონის სახელწოდებას „სენტ ჯეიმს პარკს" წინ კლუბის მეპატრონის **მაიკ ეშლის** სპორტული ტანსაცმლის მაღაზიათა ქსელის სახელწოდება დაერთვება და ასე იქნება მანამ (ყოველ შემთხვევაში, სეზონის ბოლომდე უეჭველად) სანამ „ნიუკასლ იუნაიტედს" ახალი მეპატრონე არ გამოუჩნდება. ლემბაისმა BBC-ის ასე უთხრა:

*„Sports Direct-ს სეზონის ბოლომდე ასეთი ფორმით გავუკეთებთ რეკლამას. დარწმუნებული ვარ, ეს ხერხი შედეგს მოიტანს და შემდეგი სეზონისთვის კლუბს უკვე ახალი სპონსორი ეყოლება".*

მოგეხსენებათ, მეიკ ეშლი წინააღმდეგობებით აღსავსე პიროვნებაა და მან ნიუკასლელი ფანების განრისხება უკვე მრავალჯერ მოახერხა. გულშემატკივართა აღშფოთების ბოლო მიზეზი, როგორც ხედავთ, სტადიონთან არის დაკავშირებული. ეშლიმ განაცხადა, რომ ნიუკასლელი ფანებისთვის ძვირფას ნაგებობას თავისი ბიზნესინტერესებისთვის გამოიყენებს. ასეთმა განცხადებამ „კაჭკაჭთა" გულშემატკივრების მძაფრი რეაქცია გამოიწვია. ბევრ მათგანს პროტესტის გრძნობა გაუჩნდა. ისინი შაბათს „პიტერბორო იუნაიტედის" წინააღმდეგ შეხვედრის დროს აქციების მოწყობასაც კი აპირებდნენ. ცნობისათვის: ნიუკასლელებისთვის ეს შეხვედრა გახლდათ პირველი საშინაო მატჩი მას მერე, რაც ეშლიმ კლუბი „დახლიდან ჩამოხსნა" და მისი გაყიდვის მცდელობანი უკეთესი დროებისთვის გადადო. თავის მხრივ ლემბაისმა კლუბის დირექტორატსა და ფანებს შორის ჩატეხილი ხიდების აღდგენა სცადა და შემრიგებლურად განაცხადა, რომ სტადიონის სახელწოდებასთან დაკავშირებული უფლებების გამოყენება უკეთესადაც შეიძლებოდა.

*„რასაკვირველია, სიტყვების შერჩევა უკეთაც შეიძლებოდა და ამიტომაც შევეცადეთ გუშინ ყველა ხერხითა და მეთოდით აგვეხსნა ხალხისთვის ჩვენი ნამდვილი მიზანი. სახელის გადარქმევაზე რომ ვმუშაობდით, ყველა ვარიანტში ვტოვებდით „სენტ ჯეიმს პარკს". ნურავინ იფიქრებს, რომ ჩვენ სტადიონის ძველ სახელწოდებას შეცვლას ვუპირებთ, უბრალოდ მას წინ ჩვენი ბრენდის სახელწოდება დავამატეთ".*

უცნაური ამბავი

# გაქცევა შუა ვარჯიშიდან

გახსოვთ, მსოფლიოში პირველი პროფესიული კლუბის, „ნოთს ქაუნთისა" და ცნობილი ინგლისელი მცველის, **სოლ კემპბელის** ისტორია? „ლელო" ამ შემოდგომაზე ამ, მეტად უცნაური ამბით დაინტერესდა და რაც კი ინგლისურ პრესაში დაიწერა, ყველაფერი მიაწოდა თავის მკითხველს. საერთოდ, ისტორია უფრო ფართოა, ვიდრე კემპბელის ამბავი. ამბავი იმით იწყება, რომ მავანმა არაბულმა ფირმამ თუ მილიარდერმა გადაწყვიტა მეორე ლიგაში მოთამაშე „ნოთს ქაუნთი" შეეძინა, გვარიანი თანხები დაეხარჯა და გუნდი პრემიერლიგამდე აღეზევებინა. დაგვეთანხმებით, დიდი, ავანტიურით სავსე პროექტია. პირველი, რაც არაბებმა გააკეთეს, გამოცდილი მწვრთნელის მოძიება გახლდათ და ინგლისის ნაკრების ყოფილ თავკაცს, **სვენ გორან ერიკსონს** მიაკითხეს, რომელიც, როგორც მოსალოდნელი იყო, დიდ ფულს დათანხმდა და მისი ეშხით, მეორე ლიგაში ჩაიკარგა. ერიქსონმა, თავის მხრივ, პრემიერლიგასა და ნაკრებში ჭიპმოჭრილი **სოლ კემპბელი** მიიპატიჟა. კემპბელი დათანხმდა, ნოტინგემს ჩავიდა და საქმეს შეუდგა, მაგრამ ერთი თამაშის შემდეგ, ყველასთვის მოულოდნელად, ქუდი დაიხურა და ლონდონისკან გაქუსლა - დიდი პროექტიც მიატოვა და „ნოთს ქაუნთიც". ეს სექტემბერში იყო. დღეს, უკვე ნოემბერია და ერიქსონი კემპბელის გაქცევის ამბავს იგონებს:



სოლ კემპბელი

*„კემპბელმა თავიდან, თითქოს დიდი ენთუზიაზმი გამოამჟღავნა, მაგრამ მერე გაირკვა, რომ მას თამაში არ უნდოდა. მე ძალიან ცუდ გუნებაზე დავდექი. საშინელი დღეები გადავიტანე. მერედა, წარმოიდგინეთ, რა უცნაურად გამოჩნდებოდა ყველაფერი: ის წესიერად იქცეოდა, ახალგაზრდებსაც კი ამეცადინებდა, მაგრამ სრულიად მოულოდნელად, შუა ვარჯიშის დროს მიტრიალდა და ყველაფერი დატოვა. მინდოდა, ვარჯიშის შემდეგ შევხვედროდი, მაგრამ ცოცხალი თავით არ შემხვდა. მას დღემდე არ დაურეკავს და არ აუხსნია, რა მოუვიდა ასეთი, რამ გადააწყვეტინა „ნოთს ქაუნთიდან" მოულოდნელად წასვლა".*

დღეს სოლ კემპბელი „ნიუკასლ იუნაიტედში" ცდილობს მოწყობას, თუმცა ვერ ახერხებს, რადგან საამისოდ „ნოთს ქაუნთისგან" გათავისუფლების ფურცელი სჭირდება. როგორც ამბობენ, ამ თემაზე მოლაპარაკებები მიმდინარეობს. მოგეხსენებათ აგრეთვე, რომ ერიქსონს, შვედეთის ნაკრები ეპატიჟება და მწვრთნელობას სთავაზობს. სპეციალისტმა თქვა: *„მათ უნდოდათ, რომ ორ სამსახურში მემუშავა. უარი ვუთხარი, რადგან ნოტინგემში ყოფნისას შვედეთს დავაკლებდი ყურადღებას და პირიქით. ეს ძალიან შემაწუხებდა".*

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული სპორტი

ყრილობა

# სპორტი ყველასათვის ძალას იკრებს

გუშინ სპორტის დეპარტამენტში "სპორტი ყველასათვის" ეროვნული ფედერაციის საარჩევნო-საანგარიშო ყრილობა გაიმართა.

დელეგატებმა განვლილი 4 წლის ანგარიში მოისმინეს და საპრეზიდენტო არჩევნებიც გამართეს. ფედერაციის მუშაობა დადებითად შეფასდა. ითქვა, რომ განვლილ პერიოდში არაერთი სპორტულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიება მოეწყო სხვადასხვა ასაკის ადამიანების მონაწილეობით და სამომავლოდაც ასეთივე ტემპით აპირებს ფედერაცია მუშაობის გაგრძელებას.

დელეგატებმა ღია კენჭისყრით ერთხმად დაუჭირეს მხარი გაზეთ "ლელოს" მთავარი რედაქტორის, **თენგიზ გაჩეჩილაძის** კანდიდატურას, რომელიც ფედერაციას მომდევნო 4 წლის განმავლობაშიც უხელმძღვანელებს. ვიცე-პრეზიდენტის პოსტზე კვლავ **ნარგიზა მესხი** იმუშავებს.

დამტკიცდა ფედერაციის ალმასკომიც, რომლის ახალ წევრად აირჩიეს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე **ირაკლი სამყურაშვილი.**

ყრილობის მუშაობაში მონაწილეობდა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე **გია გალდავა.**

სპორტის დეპარტამენტის პრესსამსახური

ჭადრაკი

# არადა, რა ახლოს იყო ბრინჯაო...

არგენტინაში 20 წლის მოჭადრაკეთა მსოფლიოს პირველობაზე ვაჟთა შორის ბრინჯაოს მედლის ბედს პოლონელი **მიხალ ოლშევსკისა** და **გიორგი მარგველაშვილის** პარტია წყვეტდა. ქართველი საერთაშორისო ოსტატი შავი ფიგურებით ხვდებოდა მეტოქეს. სამწუხაროდ, ჩვენებურმა ორთაბრძოლა დათმო და 8,5 ქულით მე-9 ადგილზე გავიდა. მისმა მძლეველმა ოლშევსკიმ კი ბრინჯაო დაიმსახურა, თანაც 9 ქულით. მართალია, ასეთივე მონაგარი ალმოაჩნდათ რუს **ივან პოპოვსა** და ამერიკელ **ალექს ლენდერმანს**, მაგრამ უარესი კოეფიციენტით ისინი მეოთხე-მეხუთე ადგილებზე გავიდნენ. ოქრო და ვერცხლიც კოეფიციენტმა გაანაწილა. ბელარუსი **სერგეი ჟიგალკო ივან პოპოვს** დაუზავდა, ხოლო ფრანგმა **მაქსიმ ვაშიე-ლაგრავმა** რუსი **დმიტრი ანდრეიკინი** დაამარცხა. ფრანგსა და ბელარუსს ერთნაირი ქულები (10,5-10,5) მოუგროვდათ. უკეთესი მაჩვენებლებით ოქრო ვაშიე-ლაგრავს ერგო.

ქალებში 9,5-9,5 ქულით პირველი-მესამე ადგილები, შესაბამისად, ინდოელმა **შვამინათან სოუმიამ,** პერუელმა **დეიზი ტელო კორიმ** და თურქმა **ბეთულ ილდიზმა** გაიყვეს. 9 ქულით მეოთხე იყო ჩინელი **ჟან სიაოვენი,** 8,5 ქულით მე-5 ადგილზე გავიდა **მირანდა მიქაძე,** რომელმაც ბოლო ტურში შავი ფიგურებით რუს **ზოია სევერიუხინას** სძლია. **ნაზი პაიკიძემ** 7 ქულით მე-17 ადგილი დაიკავა.

**ვაჟა დანელია**

# მეწინავეთა როქი

მეორე ტურში **ელენა ფატალიბეკოვასთან** მოულოდნელი მარცხის შემდეგ იტალიის ქალაქ კონდინოში მიმდინარე ვეტერან მოჭადრაკეთა მსოფლიოს ჩემპიონატზე **ნონა გაფრინდაშვილმა** საგრძნობლად გაიუმჯობესა სატურნირო მდგომარეობა — ოთხი შესაძლებლიდან 3,5 ქულა მოაგროვა. მე-6 ტურში რუს **ლარისა ხროპოვას** სძლია და 4,5 ქულით ელენა ფატალიბეკოვასთან, **ვალენტინა კოზლოვსკაიასთან** და **გალინა სტრუტინსკაიასთან** მეორე-მეხუთე ადგილებს იყოფს. 5 ქულით ესტონელი **ტატიანა ფომინა** ლიდერობს, რომელიც ბოლო ტურში ფატალიბეკოვას დაუზავდა.

მას შემდეგ, რაც ხორვატმა **მისო გებალომ** მე-7 ტურში რუსი **ვიტალი ცეშკოვსკი** დაამარცხა, ხოლო ისრაელელმა **მარკ ცეიტლინმა** ჩვენს ჩრდილოელ მეზობელ **ევგენი ვასიუკოვს** სძლია, მამაკაცებში ლიდერებმა ადგილები გაცვალეს: გათამაშების ცხრილის სათავეში 6-6 ქულით გებალო და ცეიტლინი მოექცნენ. დაწინაურებულთ ნახევარ-ნახევარი ქულით ვიტალი ცეშკოვსკი, **ოლეგ ჩერნიკოვი** (ორივე — რუსეთი), **ბო იაკობსენი** (დანია) და **ალგიმანტას ბუთნორიუსი** (ლიტვა) ჩამორჩებიან.

**ვაჟა დანელია**

რაგბი

უცხოური პრესა ქართველებზე

# მტაცებელი ცხოველი დაბრუნდა

სამი ტურია, „მონპელიეს" თითქოს მეორე სუთქვა გაეხსნა. გუნდმა ძველი სიძლიერე დაიბრუნა და ისევ წინ მიიწევს. გასაკვირი არცაა, გუნდს ტრავმის მოშუშების შემდეგ „მტაცებელი ცხოველი", **მამუკა გორგოძე** დაუბრუნდა.

არაბუნებრივი ძალის მქონე ქართველმა საწვრთნელ შეხვედრაში ინგლისურ „სეილ შარქსთან" ყვირმალი გაიტეხა, რის გამოც საფრანგეთის ჩემპიონატის საწყისი რამდენიმე ტური გამოტოვა. გორგოძემ, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ არაა საუკეთესო ფორმაში, დიდი დახმარება გაუწია თანაგუნდელებს წარმატების მიღწევაში. მისმა დაბრუნებამ, თავდაჯერება შემატა პარტნიორებს და შიში გაუღვივა მოწინააღმდეგეებს.

*„როდესაც მამუკა გორგოძე მოედანზეა, მოწინააღმდეგე დაზაფრულია, ეშინიათ მისი ძალის. მამუკა ერთნაირად სახიფათოა როგორც შეტევაში, ისე დაცვაში თამაშისას"* - გვითხრა მისმა თანაგუნდელმა **მიშელ მაკუარმა.**

საკმაოდ იმედიან განწყობას გამოხატავს გორგოძის კიდევ ერთი თანაგუნდელის, **სებასტიან პეტის** სიტყვები: *„როდესაც გვერდში მამუკა გვყავს, აღარაფრის გვეშინია. მოედანზე ცეცხლის დასანთებად ამაზე უკეთესი არაფერია".*

**დიდიე ბესს** კი მიაჩნია, რომ *„მისი პოტენციალი ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე გამოყენებული. მამუკას ცოტა უჭირს დინამიურ თამაშში. უმჯობესია, ეს პრობლემა მან ჩვენთან ყოფნისას მოაგვაროს, ვიდრე მაშინ, ჩვენ წინააღმდეგ რომ მოუწევს თამაში"*

მას უყვარს „ჩრდილში" დგომა, მაგრამ შესაძლოა წლეულს ეს ჩრდილი თვალისმომჭრელ სინათლედ გადაექცეს.

*„საკუთარი თამაშით კმაყოფილი არ ვარ. ტრავმის მოშუშების შემდეგ სათანადო ფიზიკური კონდიციები ვერ აღვიდგინე, სისწრაფე მაკლია, რის გამოც ბევრი ვერაფერი ვარგე გუნდს, ბურთიც ბევრჯერ დავკარგე"* - ასე აკრიტიკებდა თავს მამუკა ბასკურ „ბიარიცთან" მოგებული მატჩის შემდეგ.

*„წლეულს ძალიან გამიჭირდება"*, - განაგრძობს გორგოძე - *„მოწინააღმდეგეები უკვე ძალიან კარგად მიცნობენ და როგორც კი ბურთს მივიღებ, უმალ ყველა იერიშზე მოდის. თამაშის არეალს მიმცირებენ, გასაქანს არ მაძლევენ".*

მამუკას დაავიწყდა ეთქვა, რომ მთელი მატჩის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ დაჯარიმდა, ეს კი მისთვის ნამდვილი გმირობაა. გორგოძე მოწინააღმდეგის უმცირეს თავხედობასაც კი უპასუხოდ არ ტოვებს.

*„მწვრთნელები სულ ამაზე მიჩიჩინებენ. ვიცი, რომ მოწინააღმდეგეს ბოჭვით და შეტევაში მოკლე დარტყმებით უნდა ვუპასუხო და არა ჩხუბით"* - დასძინა მან.

თუ მამუკა გორგოძე ამის მიღწევას შეძლებს, მისი თამაში ბევრად უფრო ეფექტური გახდება და ფასდაუდებელ სამსახურს გაუწევს მონპელიელთა გუნდს.

„მიდი ოლიმპიკის"
მიხედვით მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძე**

ხელბურთი



მარცხნიდან: მერაბ მეტრეველი, მამუკა ქაცარავა, ზაზა დოლიძე, დავით ნამგალაური

# ქართულ ხელბურთს თანადგომას ჰპირდებიან

**გუშინ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტში პრესკონფერენცია გაიმართა, რომელიც საქართველოს ხელბურთელთა ეროვნული ნაკრების "ჩელენჯ ტროფის" ფინალში გასვლას მიეძღვნა. მასმედიის წინაშე სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე დავით ნამგალაური, თბილისის მერიის სოციალური დაცვისა და კულტურის სამსახურის უფროსი მამუკა ქაცარავა, საქართველოს ხელბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ზაზა დოლიძე და ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი მერაბ მეტრეველი წარდგნენ. დარბაზში იმყოფებოდნენ ნაკრების ის წევრებიც, რომლებიც ქართულ კლუბებში თამაშობენ.**

**ზაზა დოლიძე:** - პირველ რიგში, ფინანსური მხარდაჭერისთვის მადლობას ვუხდი სპორტის დეპარტამენტს. გუნდს ტურნირისთვის სათანადოდ მოსამზადებლად ყველა პირობა ჰქონდა შექმნილი. მადლობა ჩვენს ხელბურთელებს, რომელთაც წარმატებისთვის თავი არ დაუზოგავთ. საბედნიეროდ, ნაკრებში ოპტიმალური შემადგენლობის შეკრება მოხერხდა, ჩამოვიდა ყველა ლეგიონერი და ადგილობრივებმაც მაღალ დონეზე ითამაშეს. მადლობა ნაკრების მწვრთნელებს. "ჩელენჯ ტროფის" ფინალში დამაჯერებლად გავედით და ფინალის მოსაგებადაც ყველაფერს ვილონებთ. გარკვეული ხარვეზები კიდევ გვაქვს, მაგრამ მონდომებით ყველაფერი მოგვარებადია. გუნდურ წარმატებასთან ერთად, მნიშვნელოვანია ისიც, რომ რატი მსხვილიძე, სერგო დათუკაშვილი და რევაზ ჭანტურია ჯგუფის სიმბოლურ ნაკრებში შეიყვანეს. დავრწმუნდით, რომ გზა, რომელიც ჩვენ ავირჩიეთ, სწორია. ეს ყველა ჩვენგანის დამსახურებაა.

**დავით ნამგალაური:** - ყველას გილოცავთ ამ გამარჯვებას. საკმაო პრობლემების მიუხედავად, ქართულმა ხელბურთმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ დიდი პოტენციალი აქვს. დიდი სურვილი გვაქვს, სათამაშო სახეობები განვავითაროთ და ფეხბურთთან, რაგბისთან და კალათბურთთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება ხელბურთსა და ფრენბურთს მივაქციოთ. ყველას დიდი მადლობა, ვინც არცთუ სახარბიელო მდგომარეობის მიუხედავად, საქართველოს ნაკრებისთვის ბოლომდე დაიხარჯა.

სამწუხაროდ, საქართველო არაა ისეთი მდიდარი ქვეყანა, რომ ყველა სახეობას სრულად დაეხმაროს, მაგრამ ხელბურთი ნამდვილად შედის იმ სახეობების ჩამონათვალში, რომელსაც განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევთ. საქართველოს ხელბურთელთა ნაკრებს ნამდვილად აქვს იმის პოტენციალი, რომ "ჩელენჯ ტროფიზე" უფრო ძლიერ ტურნირებში მიაღწიოს შედეგს. ქართული ხელბურთის განვითარებისთვის საჭიროა ეროვნული ჩემპიონატის დონის ამაღლება და პოპულარიზაცია, სტუდენტური ხელბურთის ხელშეწყობა. საქართველოს დიდი სახელბურთო ტრადიციები აქვს და საერთაშორისო არენაზე ჩვენთვის შესაფერისი ღირსეული ადგილი უნდა დავიკავოთ.

**მამუკა ქაცარავა:** - შევუერთდები მილოცვებს და ჩვენს ბიჭებს სამომავლო წარმატებებს ვუსურვებ. საერთაშორისო დონის ტურნირებში გამარჯვებას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს და გპირდებით, ეს ფაქტორი ბიუჯეტის დაგეგმვის დროს გათვალისწინებული იქნება. დიდი მადლობა ჩვენს ხელბურთელებს, ფედერაციისა და სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელობას. ხელბურთი მკაფიოდ გამოიკვეთა იმ სახეობად, რომელსაც ჩვენი მხარდაჭერა სჭირდება. მას არა მხოლოდ დავეხმარებით, არამედ სპონსორების მოძიებაშიც შევუწყობთ ხელს. სპორტი ხელოვნებასთან ერთად ის დარგია, რომელსაც ქვეყნის წარმოჩენა და მისი ავტორიტეტის ამაღლება შეუძლია.

**მერაბ მეტრეველი:** - მთელი გუნდის სახელით თანადგომისთვის მადლობას ვუხდი სპორტის დეპარტამენტსა და თბილისის მერიის სპორტის სამსახურს. გუნდის შეკრება უმაღლეს დონეზე იყო ორგანიზებული. მოხარული ვარ, რომ სამწვრთნელო საქმიანობას დაუბრუნდნენ ირაკლი კეკელიძე და ბექა ორჯონიკიძე. ნაკრებში მოთამაშე-მწვრთნელის ფუნქციებს ასრულებდა ტიტე კალანდაძე...

საქართველოს ნაკრების ბირთვი ლეგიონერებისგან შედგება, მაგრამ აღსანიშნავია, რომ ქართულ კლუბებში მოასპარეზე ხელბურთელებმაც მაღალ დონეზე ითამაშეს. ნათლად დავინახეთ, რომ გვეზრდება ღირსეული ახალი თაობა, რომელიც ხელშეწყობის შემთხვევაში ჩვენს ვეტერანებს წარმატებით შეცვლის. ვეტერანების დიდი ნაწილი მზადაა, ახლო მომავალში მწვრთნელობას მოჰკიდოს ხელი და თუ გვინდა, ქართულ ხელბურთს ხვალინდელი დღე ჰქონდეს, მათაც უნდა დავუდგეთ გვერდში.

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ჯერ არ დაწყებულა და ძალიან ცუდი იქნება, თუ ქვეყნის 19-გზის ჩემპიონის, სტუ-"შევარდენის" გარეშე დაიწყება. ამ გუნდმა წინა ჩემპიონატში ვერ იასპარეზა და ყველაფერი უნდა ვილონოთ, რათა მსგავსი რამ აღარ განმეორდეს.

"ჩელენჯ ტროფის" ჯგუფურ ეტაპზე პირველი მატჩი სომხეთთან უპრობლემოდ მოვიგეთ, აზერბაიჯანმა კი თავიდან წინააღმდეგობა გაგვიწია, მაგრამ დაახლოებით მეათე წუთიდან პოტენციალი ამოწურა. მძიმე ბრძოლა გადაგვხდა მასპინძელ მოლდოვასთან, მაგრამ ჩვენმა კლასმა თავისი გაიტანა და ოთხი ბურთის სხვაობით გავიმარჯვეთ. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ მთელი თამაშის განმავლობაში მინიმუმ ექვსბურთიანი უპირატესობა გვქონდა და მეტოქეს ბოლოსლა მივეცით სხვაობის შემცირების საშუალება.

მთავარი ისაა, რომ ჩვენი ადგილი "ჩელენჯ ტროფიზე" არაა, უფრო მაღალ დონეზე თამაშს ვიმსახურებთ და ამას აუცილებლად მივაღწევთ.

ბოლოს, საქართველოს ეროვნული ნაკრების იმ შემადგენლობას გაგაცნობთ, რომელმაც "ჩელენჯ ტროფის" ფინალურ მატჩში თამაშის უფლება მოიპოვა:

მეკარეები: **შოთა თევზაძე** (ბაკაუ, რუმინეთი), **გიგა ტორონჯაძე** (სტუ-შევარდენი);

მოედნის მოთამაშეები: **სერგო დათუკაშვილი** (გორენიე, სლოვაკეთი), **ვლადიმერ რუსია** (ოდორჰეი, რუმინეთი), **რატი მსხვილიძე** (მეტალოპლასტიკა, სერბეთი), **რევაზ ჭანტურია** (მეტალურგი, მაკედონია), **ირაკლი ჩიქოვანი** (მეტალოპლასტიკა, სერბეთი), **ილია გოგალაძე** (სტუ-შევარდენი), **უჩა მაისურაძე** (თბილისი), **ვანო ქარდავა** (თბილისი), **შოთა გრიშიკაშვილი** (ართვინი, თურქეთი), **ამირან ყიფიანი** (სტუ-შევარდენი), **აკაკი ტალახაძე** (სტუ-შევარდენი), **გიორგი ნივნივაძე** (თბილისი), **ტიტე კალანდაძე** (თბილისი), **გიორგი კობახიძე** (სტუ-შევარდენი), **სერგეი კირილოვი** (ბულგარეთი).

**ლევან ჯანეზაშვილი**

ფრენბურთი

საქართველოს ჩემპიონატი

# ჯიკოს ჰეგემონია დასრულდა?

აგრარული უნივერსიტეტის სპორტულ დარბაზში დასრულდა ქალ ფრენბურთელთა საქართველოს ჩემპიონატის პირველი წრე. წლეულს ჩემპიონატში ასპარეზობის სურვილი შარშანდელზე ორით მეტმა, შვიდმა გუნდმა გამოთქვა. რეგიონის ხუთ გუნდს, „დუშეთს", „ჯიკოს", „ბათუმს", „ბოლნისსა" და „ქუთაისს" თბილისის ორი გუნდი დაემატა, რომლებმაც ფინანსური სიძნელეების გამო წინა სეზონი გამოტოვეს.

პირველი წრე დაუმარცხებლად განვლო „თბილისი 1"-მა, რომელმაც ბოლოსწინა ტურში ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონის დიდი ჯიხაიშის „ჯიკოს" 3:0 (27:25, 25:16, 25:23) დამარცხებით სიურპრიზი შემოგვთავაზა. თბილისელმა ფრენბურთელებმა კარგი დღე არც სხვებს აყარეს და ყველა ისე დაამარცხეს, ერთი სეტიც კი არავისთვის დაუთმიათ.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ნაკრები, რომელსაც 2010 წლის მაისში ევროპის შესარჩევ ტურნირში ასპარეზობა ელის, სწორედ ამ ორი გუნდის ფრენბურთელებითაა დაკომპლექტებული.

საკმაოდ მოღონიერდა ბათუმელთა გუნდიც, რომელიც რამდენიმე თბილისელი ფრენბურთელით გაძლიერდა. ბათუმელებმა საკმაოდ სერიოზული წინააღმდეგობა გაუწიეს ჩემპიონ „ჯიკოს" და მინიმალური სხვაობით - 2:3 დამარცხდნენ, თუმცა გათამაშების ლიდერ „თბილისი 1"-თან ვერას გახდნენ და მშრალად დამარცხდნენ. ბათუმელებმა პირველი წრე მესამე ადგილზე დაასრულეს.

პლეი ოფის ნახევარფინალის მეოთხე საგზურისთვის, სავარაუდოდ, „დუშეთი" და „ბოლნისი" იბრძოლებენ, რომლებიც პირველი წრის შემდეგ, შესაბამისად, მეოთხე და მეხუთე ადგილებზე არიან.

საქართველოს ჩემპიონატის მეორე წრე და პლეი ოფის შეხვედრები 2010 წლის აპრილში გაიმართება.

„თბილისი 1": დალი ალიბეგაშვილი, თინათინ ჭაუჭიძე, ნათია ბანძელაძე, ელა კაზარიანი, იანა ზოდიმენჩენკო, თამთა დანელია, ნინო სტურუა, ნინო მუყასაშვილი, ნათია ლომსაძე, ანა გვენცაძე.

„ჯიკო": თამარ კორომზინაძე, ირინა შენგელია, ირინა კახაძე, თინათინ მიქაძე, ნინო რობაქიძე, ია შანიძე, ნონა ღვინჯილია, მარია გალაშაპოვა.

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. თბილისი 1 - 12 ქულა, 2. ჯიკო - 10, 3. ბათუმი - 8, 4. დუშეთი - 6, 5. ბოლნისი - 4, 6. თბილისი 2 - 2, 7. ქუთაისი - 0.**

**ბესიკ ჯანგავაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

საფეხბურთო-საკალათბურთო პარალელები

# გარდამტეხი წერტილები: ისლანდია და ბულგარეთი



**ექტორ კუპერმა მალხაზ ასათიან**ზე უარი საბოლოოდ რომ თქვა, მაშინ **ნიკა ცქიტიშვილისა** და **კენ შილდსის** ამბავი გამახსენდა...

საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრებმა ბულგარეთში 2:6 რომ წააგო, კალათბურთელთა ისლანდიური სირცხვილი მომაგონდა...

**ლევან კობიაშვილმა** რომ თქვა, შეიძლება, ნაკრებში აღარ ვითამაშოო, **ზაზა ფაჩულიას** ანალოგიური სიტყვები გამახსენდა...

გუშინ, ჩვენს გაზეთში კობიაშვილმა არასახარბიელო პირობებზე ილაპარაკა. სწორედ პირობების არქონაზე გაამახვილა ყურადღება 2007 წელს ფაჩულიამაც...

როცა ფეხბურთის ფედერაციის ახალი პრეზიდენტი ნატურალიზაციაზე ალაპარაკდა, **ტაირონ ელისი** გამახსენდა...

ერთხელ, ორჯერ, სამჯერ, მაგრამ გუშინ კობიაშვილის ინტერვიუს წაკითხვის შემდეგ ვერ მოვითმინე, კალამი ავიღე და საფეხბურთო-საკალათბურთო პარალელების ფურცელზე გადატანა ვცადე... არა, გატყუებთ, კალამი არ ამიღია, ტექნიკა წინ წავიდა და უკვე კლავიატურაზე ვბეჭდავ. ფეხბურთზე მაშინ ვწერდი, როცა „პენტიუმ-4" ჯერ არ არსებობდა, 2002 წლის შემდეგ უკვე კალათბურთზე გადავერთე. შესაბამისად, თავს უფლებას არ მივცემ, საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრების გამოსვლა გავაანალიზო და ვინმე გავაკრიტიკო. როგორც გითხარით, მხოლოდ პარალელებს შემოგთავაზებთ და დასკვნები თავად გამოიტანეთ.

## ცქიტიშვილი, ასათიანი და დასაკარგები

2007 წლის 1 სექტემბერს ფინეთის საკალათბურთო ნაკრების თავკაცმა, **ჰენრიკ დეტმანმა** გვითხრა: საქართველო პატარა ქვეყანაა, დასაკარგი სპორტსმენები ნამდვილად არ გყავთო... 2007-ში შეკრებაზე დაგვიანებით ჩამოსული ნიკა ცქიტიშვილი მწვრთნელმა კენ შილდსმა არ მიიღო. იმ მომენტში მწვრთნელს არ ვამტყუნებდით, მაგრამ ვითამაშეთ ისლანდიაში და გამოჩნდა, რომ ცქიტიშვილი გვჭირდებოდა. 2005 წელს **კოტე ტულუში** ირანში ერთ-ერთი საუკეთესო იყო, მაგრამ ნაკრების მწვრთნელ **გორდონ ჰერბერტს** კოტეს შესახებ არავინ არაფერი უთხრა. შესაბამისად, მომდევნო წელს, როცა გორდონმა ტულუში ნახა, გაიკვირვა - ეს კალათბურთელი აქამდე რატომ არ მინახავსო?! კოტე ამ შემოდგომით, ბელარუსთან მატჩებში ნაკრების ერთ-ერთი სნაიპერი იყო.

როგორ ფიქრობთ, ფეხბურთელთა ნაკრებს ჰყავს დასაკარგი მოთამაშეები? 31 ოქტომბრის "ლელოში" ნაკრების მწვრთნელის მიერ იგნორირებულმა **ალექსანდრე ამისულაშვილმა** დასვა კითხვა: **მალხაზ ასათიანი, გოგიტა გოგუა, ლევან გვაზავა, დავით კვირკველია, ლაშა სალუქვაძე** ეროვნულში თამაშს არ იმსახურებენ? მათ დავუმატოთ ლევან კობიაშვილი, **კახა კალაძე, ზურაბ ხიზანიშვილი, ლევან ყენია, ილია კანდელაკი, გიორგი შაშიაშვილი, ლევან მჭედლიძე** და მივიღებთ მინდვრის 12 მოთამაშეს. შეიძლება, ერთი-ორი ცვლილება განხორციელდეს, მაგრამ რეალურად ესაა ნაკრების ოპტიმალური შემადგენლობა.

კალათბურთელმა ნიკოლოზ ცქიტიშვილმა 2009 წელს **იგორ კოკოშკოვის** შეკრებაზეც დააგვიანა, მაგრამ მწვრთნელმა მასზე უარი არ თქვა, სათადარიგოდ გაამწესა და ამით აგრძნობინა, შეკრება იმისთვისაა, რომ ყველა კალათბურთელი ფორმაში შევიდეს. საბოლოოდ, ცქიტომ ბელარუსში მეოთხე პერიოდის ერთწუთიან მონაკვეთში 8 ქულა ჩააგდო და უპირატესობა 21 ქულამდე გაზარდა...

თუნდაც მალხაზ ასათიანთან ექტორ კუპერს საერთო ენა რომ გამოენახა, გაცილებით უკეთესი დაცვის ხაზი გვეყოლებოდა (თუ ნახევარდაცვაში გაამწესებდა, ნახევარდაცვა გაძლიერდებოდა)...

## ისლანდია, ბულგარეთი და დისციპლინა

2007 წელს ისლანდიაში კალათბურთელებმა 75:76 წააგეს და A დივიზიონს ორი წლით დაემშვიდობნენ. მაშინ ჩვენს გაზეთში გულშემატკივრის სტატია გამოქვეყნდა, რომელშიც სხვადასხვა საინტერესო მოსაზრებასთან ერთად ესეც ეწერა - **გიორგი ცინცაძემ** სროლა არ იცის, პატარაობაში არასწორად ასწავლესო... თუმცა, შემდეგ კაპიტანმა **ვახტანგ ნაცვლიშვილმა** თქვა - გუნდში დისციპლინა ნულის ტოლი იყოო. ასეთ პირობებში ცინცაძე კი არა, **იასიკიევიჩუსიც** ვერ მოახერხებს ტყორცნისას სათანადოდ კონცენტრირებას.

საფეხბურთო ნაკრების ისლანდია ბულგარეთში იყო - 2:6. 45 წუთში 6 გოლს რომ გაუშვებ, რა დისციპლინაზეა ლაპარაკი?! ჩვენი ლეგიონერების თამაშს თუ დაკვირვებიხართ, დაგვეთანხმებით, რომ კლუბებში გაცილებით კონცენტრირებულნი არიან, ვიდრე ნაკრებში. შესაბამისად, შეცდომებს კალაძეც დაუშვებს, კობიაშვილიც და ახალბედაც.

2009 წელს კალათბურთელთა მწვრთნელმა **იგორ კოკოშკოვმა** დისციპლინა დაამყარა როგორც მოედანზე, ასევე მის მიღმა - ყველა ერთდროულად იძინებდა, ყველა მონდომებით ვარჯიშობდა და მატჩებისას ყველა ბოლომდე მობილიზებული იყო. აგერ, ბატონო, გიორგი ცინცაძემ სროლა ორ წელიწადში „ისწავლა" და შვედეთთან გადამწყვეტ მომენტში სამქულიანი ჩააგდო...

## ზაზა, კობი და პირობები

2007 წელს, ფინეთთან მატჩის შემდეგ ზაზა ფაჩულია იმედგაცრუებული იყო და მატჩის შემდეგ თქვა: თუ ასეთი პირობები იქნება, ნაკრებში აღარ ვითამაშებო.

მაშინ ზაზა ზოგიერთმა არაპატრიოტად მონათლა, მაგრამ ვინც კარგად იცნობდა, იცოდა, რომ ფაჩულია ნაკრებში თამაშზე უარს არასოდეს იტყოდა. ის ფრაზა კი ცხელ გულზე იმიტომ თქვა, რომ იმედგაცრუებული იყო და სურდა, მომავალი ციკლის წინ პირობები გაუმჯობესებულიყო.

ლევან კობიაშვილიც, ვიდრე შეეძლება, ეროვნულში ყოველთვის ითამაშებს. ამაში დარწმუნებული ვარ. მანაც პირობებზე გაამახვილა ყურადღება. ლევანმა დააკონკრეტა კიდეც: მაშინ, როცა ნაკრებს მაღალანაზღაურებადი მწვრთნელი ჰყავს, გუნდს სავარჯიშო მოედანი არ გააჩნიაო.

სადაც მწვრთნელებზე მილიონები იხარჯება, ფეხბურთელები ნორმალურ მოედანს ნამდვილად იმსახურებენ. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ისლანდიური ფიასკოდან მეორე წელს საქართველოს კალათბურთელთა ნაკრებს მომზადება ომის გამო ლტოლვილობის პირობებში უხდებოდა, მაგრამ ზაზას არაფერი დაუჩივლია. იმიტომ, რომ გუნდის შიგნით იყო წესრიგი და გარე ფაქტორები მოწესრიგებულ ნაკრებზე უარყოფით გავლენას ველარ ახდენდა.

იმაშიც დარწმუნებული ვარ, ლევან კობიაშვილი ნაკრებში მომავალ შესარჩევ ციკლშიც ითამაშებს, თუნდაც ფაჩულიასავით ლტოლვილობაში მოუხდეს თითოეული მატჩისთის მომზადება. თუმცა,ვ ფიქრობ, ლევანის სიტყვები ფედერაციას დააფიქრებს და გაისისთვის პირობების გაუმჯობესებას შეეცდება.

## ელისი და ნატურალიზაცია

კალათბურთელებს 2004 წლიდან ერთი მიზანი ჰქონდათ: აუტსაიდერებიდან საშუალო დონის გუნდების მარაქაში გარევა. სავალი გზა ძალიან ვიწრო იყო და მიზნის მისაღწევად ყველა ხერხი - გამართლებული. ერთი ხერხი ნატურალიზებული კალათბურთელის დამატება იყო. ჯერ **შემონდ უილიამსი** ჩამოვიყვანეთ, შემდეგ **ტაირონ ელისი**. ისინი ევროპის დონეზე მაღალი კლასის კალათბურთელებად ითვლებიან.

ფეხბურთელთა ნაკრებისთვის მაღალი დონის მოთამაშის ნატურალიზებაც გამართლებულად მიმაჩნია, მაგრამ ერთი კითხვა უნდა დავსვათ - რისთვის ვაძლევთ საქართველოს პასპორტს? თუ ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე გასვლა გვაქვს გადაწყვეტილი, ერთი-ორი უცხოელის დახმარებაც გამართლებულია (იმდენის, რამდენის უფლებასაც ფიფა-ს კანონები მოგვცემს), მაგრამ თუ აუტსაიდერებიდან მხოლოდ ლიტვალატვიის დონემდე ასვლა და ოდენ ბრძოლისუნარიანი გუნდის შექმნა გვინდა, ჩემი აზრით, ამას ქართველებიც ეყოფიან.

ისლანდიაში შერცხვენამ კალათბურთელებს დაანახვა, რომ ერთ მუშტად შეკვრის და საკუთარი ამბიციების მოთოკვის გარეშე შედეგი არ მიიღწევა; ფედერაციას დაანახვა, რომ მხოლოდ სახელიანი მწვრთნელი საქმეს არ შველის, საჭიროა ისეთი კაცი, რომელიც დისციპლინის საკითხში მხოლოდ მოთამაშეთა პროფესიონალიზმს კი არ დაეყრდნობა, არამედ, როგორც შვილებს, ისე მიუდგება და ყოველ ნაბიჯზე გააკონტროლებს... ყოველივე ამის გააზრების შემდეგ გუნდში დაინიშნა მანამდე ბევრისთვის უცნობი მწვრთნელი იგორ კოკოშკოვი; წესრიგის დამყარებამ ტაქტიკურად სწორი თამაში მოიტანა; ამას დაემატა საერთო მონდომება და 2009 წელს საქართველოს ნაკრები ევროპის საშუალო დონის გუნდებში გაერია - A დივიზიონში გადავიდა.

იმედია, ბულგარეთთან სამარცხვინო წაგება ფეხბურთელებისთვისაც ისევე იქცევა შემოტრიალების წერტილად, როგორც კალათბურთელებისთვის იქცა ისლანდიაში მარცხი...

...**თემურ ქეცბაიაც** დიდ ყურადღებას აქცევს დისციპლინას; კარგად იცის, რომ დასაკარგი ფეხბურთელები არ გვყავს; მცოდნეცაა, სამართლიანიც, არავის ჭკუაზე გაივლის... ჰოდა, თუ ნაკრების საჭეს ჩაიბარებს, დარწმუნებული ვარ, გუნდს აუტსაიდერებიდან მესამე-მეოთხე კალათის გუნდებში, საკალათბურთო ენით რომ ვთქვათ, A დივიზიონში გადაიყვანს.

ვაჟა სიმონიშვილი

ქართველი NBA-ში

# ზაზას და ჯამალის რეკორდები

გუშინ, თბილისის დროით დილის ათის ნახევარზე პორტლენდში "ბლეიზერსის" და "ჰოქსის" დაპირისპირება დასრულდა. მატჩი სტუმრებმა 97:91 მოიგეს.

სათაურში ნახსენები **ზაზა ფაჩულიასა** და **ჯამალ კროუფორდის** შესახებ ქვემოთ ვიტყვით, მანამდე კი მატჩის მიმოხილვას გავეცნოთ.

პირველ პერიოდში "ატლანტას" შეტევაში ძალიან გაუჭირდა, საწყის 8 წუთში მხოლოდ 5 ქულა ჩააგდო და მეტოქეს 5:11 ჩამორჩა. სწორედ ამ დროს სტუმართა მწვრთნელ **მაიკ ვუდსონს ზაზა ფაჩულია** გაახსენდა და მოედანზე **ჯოშ სმიტის** ნაცვლად შეიყვანა. ქართველმა ცენტრმა გუნდის მთავარი მექულის ფუნქცია იკისრა და სამ წუთში იმაზე მეტი ჩააგდო, ვიდრე მთელმა "ატლანტამ" 8 წუთში: ერთმანეთის მიყოლებით მითვლილ 6 ქულას ფაჩულიამ ერთი შედეგიანი გადაცემაც მიაყოლა და ასე ჩაუყარა საფუძველი ჯორჯიელთა ალმასვლას.

მეორე პერიოდში ზაზას თანაგუნდელებიც ათამაშდნენ და "ქორებმა" ეს მონაკვეთი 32:23 მოიგო. მესამე და მეოთხე თორმეტწუთეულებში შედარებით თანაბარი თამაში გაჩაღდა, "ატლანტამ"კროუფორდის წყალობით მცირე უპირატესობა მატჩის ბოლომდე შეინარჩუნა და სეზონში მესამე გამარჯვება ჩაიწერა.

თამაშის გამოსწორების შემდეგ მწვრთნელ მაიკ ვუდსონს ზაზა ფაჩულია ნაკლებადღა ახსოვდა – სულ 14 წუთი ათამაშა, თუმცა ქართველმა ცენტრმა მეორე, მესამე და მეოთხე პერიოდებში თითო ორქულიანი მაინც ჩააგდო. ბოლო მეოთხედში მისი ჩატენვის შემდეგ "ატლანტა" 76:71 დაწინაურდა.

ზაზამ 6-დან 4 ორქულიანი და 4-დან 4 საჯარიმო გამოიყენა და წლევანდელ სეზონში სარეკორდო, 12 ქულა მიითვალა. სხვათა შორის, NBA-ში ზაზამ ბოლოს 12 ქულა წლეულს 27 აპრილს "მაიამის" ჩაუგდო. ეს პლეიოფის ის შეხვედრა იყო, ზაზამ 18 მოხსნა რომ მოაგროვა და თანაგუნდელებს მეტოქე სტუმრად დაამარცხებინა. 12-ზე მეტი ქულა ზაზას იანვრის შემდეგ არ ჩაუგდია – 20 იანვარს "ჩიკაგოს" 18 ქულა "უძღვნა."

რაც შეეხება ჯამალ კროუფორდს, მან პორტლენდში 27 ქულა მიითვალა, რაც მიმდინარე სეზონში მისი პირადი რეკორდია.

სადღეისოდ "ჰოქსს" 3 მოგება და 1 მარცხი აქვს. იგი სამხრეთ-აღმოსავლეთის დივიზიონში პირველობას "ორლანდო მეჯიქთან" და "მაიამი ჰიტთან" ერთად იყოფს. მეხუთე მატჩს "ატლანტა" დღეს, გამთენიისას "საკრამენტოს" მოედანზე ჩაატარებდა.

**პორტლენდი–ატლანტა 91:97**

ზაზა ფაჩულია: 14 წუთი, 12 ქულა, 3 მოხსნა, 1 პასი, 2 დაფარება, 1 შეცდომა, 2 ფოლი

| | |
|---|---|
| **I პერიოდი** | |
| 05:40 | ზაზამ სმიტი შეცვალა |
| 04:13 | ორქულიანი: 2ძ (7:11) |
| 02:56 | საჯარიმოები: 2/2 (4ძ, 9:15) |
| 02:30 | მოხსნა: შეტ-0, დაც-1 |
| 01:45 | მოხსნა: შეტ-1, დაც-1 |
| 01:40 | საჯარიმოები: 2/2 (6ძ, 11:17) |
| 00:59 | პასი: 1 (კროუფორდი 2ძ, 13:19) |
| 00:28 | ზაზა უილიამსმა შეცვალა |
| **II პერიოდი** | |
| 10:54 | დაფარება: 1 (ოდენს დაუფარა) |
| 09:55 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 09:24 | შეცდომა: 1 |
| 08:13 | ორქულიანი: 8ძ (23:33) |
| 07:49 | დაფარება: 2 (აუთლოს დაუფარა) |
| 07:08 | ფოლი: 1 |
| 07:08 | ზაზა ჰორფორდმა შეცვალა |
| **III პერიოდი** | |
| 01:05 | ზაზამ ჰორფორდი შეცვალა |
| 01:04 | ფოლი: 2 |
| 00:06 | ორქულიანი: 10ძ (72:69) |
| 00:01 | მოხსნა: შეტ-1, დაც-2 |
| **IV პერიოდი** | |
| 10:55 | ორქულიანი: 12ძ (76:71) |
| 10:11 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 09:23 | ზაზა სმიტმა შეცვალა |

ვაჟა სიმონიშვილი

ჩოგბურთი

# ქართველთა კარგი დასაწყისი

საქართველოს პირველმა ჩოგანმა **ანა ტატიშვილმა** (178) ამერიკის ქალაქ როკ ჰილში (25 ათასი $) პირველი წრე დაძლია. ჩვენმა თანამემამულემ მსოფლიოს ყოფილი 31-ე ჩოგანი, რუსი **ოლგა პუჩკოვა** დაამარცხა. მისი მეტოქე გვიან ღამით გაირკვეოდა, საკვალიფიკაციო ბადის გამარჯვებულები, **ლენა ლიტვაკი** (აშშ, 360) და **ანი მიაჩიკა** (311) ერთმანეთს ეთამაშებოდნენ. ტატიშვილმა წყვილთა ბადეშიც კარგად დაიწყო, ანა და კანადელი **შერონ ფიჩმენი** (130) პირველ ნომრად არიან განთესილები, პირველ წრეში მათ ამერიკული დუეტი (ლიტვაკი, **პრისკე**) დაამარცხეს - 6:1, 4:6, 11:9. ქართველსა და კანადელს მეოთხედფინალშიც ამერიკულ დუეტთან (**კოენი, იანოვიჩი**) მოუწევთ თამაში.

„ტაივან ლეიდის ოუფენზე" (100 ათასი $) **ოქსანა კალაშნიკოვა** (180) დღეს ეთამაშება მე-5 ნომრად განთესილ ტაილანდელ **ტამარინ ტანასუგარნს** (113). ოქსანამ მოიგო წყვილთა ბადის პირველი თამაშიც. მან და რუსმა **ალექსანდრა პანოვამ** (142) „უაილდ ქარდით" მიწვეულ ტაივანელებს (**ჩანი, კაო**) აჯობეს - 6:4, 7:5. მეოთხედფინალში მათ მე-3 ნომრად განთესილები, სლოვენიელი **ანდრეა კლეპაჩი** (253) და ჩეხი **ანდრეა ჰლავაჩკოვა** (159) დაუპირისპირდებიან.

ფრანგულ ნანტში (50 ათასი $) გაირკვა **მაკა ჩახნაშვილის** (210) მეტოქე მერვედფინალში - ჰოლანდიელი **არანჩა რუსი** (121). მალიორკაში (10 ათასი $) **სოფიო ქვაცაბაიამ** (494) პირველ წრეში მე-8 ნომრად განთესილი იტალიელი **ვალენტინა სულპიციო** (400) დაამარცხა - 6:2, 6:4. მერვედფინალში სოფიოს მეტოქე შვეიცარიელი **კარინ ჰეხენბერგერია** (966).

ნიკოლოზ ნეფარიძე



# ლელო წარმოგიდგენთ
# ქართული სპორტის მატიანე

## ლელოს დაუსწრებელი ოლიმპიური აკადემია

# ქართული სპორტის მატიანე
# წყალბურთი

წყალბურთის სამშობლოდ ინგლისს მიიჩნევენ. ქალაქ ბორნმუთის ნიჩბოსანთა კლუბის წევრების მიერ გამოგონილ თამაშს „ვოთერპოლო" უწოდეს. თამაშის პირველი წესები 1876 წელს შემუშავდა შოტლანდიელი ვ. უილსონის მიერ. 1890 წელს გაიმართა პირველი საერთაშორისო შეხვედრა ინგლისისა და შოტლანდიის წყალბურთელებს შორის.

XIX საუკუნის ბოლოდან წყალბურთს ირლანდიაში, უელსში, ბელგიაში, ჰოლანდიაში, საფრანგეთში, გერმანიაში, უნგრეთსა და შვედეთშიც თამაშობენ. ამავე პერიოდში წყალბურთი ამერიკის შეერთებულ შტატებშიც ჩნდება.

ევროპის ჩემპიონატი კაცთა შორის 1926 წლიდან იმართება, ქალთა შორის კი 1985 წლიდან. მსოფლიოს ჩემპიონატი კაცებისთვის 1973 წლიდან, ქალებისთვის - 1986 წლიდან ტარდება. წყალბურთი ოლიმპიური თამაშების პროგრამაშია 1900 წლიდან კაცებისთვის, 2000 წლიდან კი ქალებისთვის.

წყალბურთი შედის ცურვის საერთაშორისო ფედერაციის შემადგენლობაში, რომელიც 1908 წლის 19 ივლისს ლონდონში დაარსდა.

საქართველოში წყალბურთი XX საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისიდან ინერგება. პირველი შეჯიბრება 1927 წელს ბათუმში გაიმართა. როცა საქართველოს უძლიერეს წყალბურთელებზეა ლაპარაკი, პირველ ყოვლისა უნდა დავასახელოთ **პეტრე მშვენიერაძე, ნოდარ გვახარია** და **პეტრე ბრეუსი.** მომდევნო თაობის წყალბურთელთაგან უნდა გამოვყოთ **ლერი გოგოლაძე, გივი ჩიქვანაია** და **მიხეილ გიორგაძე,** რომლებმაც საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში თავი გამოიჩინეს ევროპულ, მსოფლიო და ოლიმპიურ სარბიელზე. მიხეილ გიორგაძემ 1982 წელს მსოფლიოს ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა. 2002 წელს ევროპის საუკეთესო წყალბურთელად აღიარეს **რეზო ჩომახიძე.**

დამოუკიდებელი საქართველოს სპორტის საწყლოსნო სახეობათა ფედერაცია დაფუძნდა 1991 წლის 2 აგვისტოს. 1992 წლის 24 ივლისიდან ცურვის საერთაშორისო სამოყვარულო ფედერაციის წევრია.

საწყლოსნო სახეობათა ფედერაციის პრეზიდენტია ალექსანდრე ბითაძე.

### საქართველოს წყალბურთელებმა მედლები მოიპოვეს:

**ოლიმპიადაზე**

1. ლერი გოგოლაძემ - 1960 წელს რომში - ვერცხლი
2. გივი ჩიქვანიამ - 1960 წელს რომში - ვერცხლი
   1968 წელს მეხიკოში - ვერცხლი
3. ნოდარ გვახარიამ - 1956 წელს მელბურნში - ბრინჯაო
4. პეტრე მშვენიერაძემ - 1956 წელს მელბურნში - ბრინჯაო
   1960 წელს რომში - ვერცხლი
5. მიხეილ გიორგაძემ - 1988 წელს სეულში - ბრინჯაო

**4 ვერცხლი, 3 ბრინჯაო.**
**სულ: 7**

**მსოფლიოს ჩემპიონატებზე**

**ოქროს მედალი**

1. მიხეილ გიორგაძემ - 1982

მსოფლიოს ჩემპიონი - 1, ოქროს მედალი – 1.

**სულ : 1 მედალი (1 ოქრო).**

**ევროპის ჩემპიონატებზე**

**ოქროს მედალი**

1. მიხეილ გიორგაძემ - 1983, 1985, 1987

**ვერცხლის მედალი**

1. ლერი გოგოლაძემ - 1962
2. გივი ჩიქვანიამ - 1962
3. პეტრე მშვენიერაძემ - 1962
4. მარინა აკობიამ - 1993,1997

**ბრინჯაოს მედალი:**

1. ნოდარ გვახარიამ - 1958
2. პეტრე მშვენიერაძემ - 1958
3. მარინა აკობიმ - 1999, 2001

**ევროპის ჩემპიონი - 1, ოქროს მედალი — 3.**
**ვერცხლის მედალოსანი - 4, ვერცხლის მედალი - 5.**
**ბრინჯაოს მედალოსანი –3, ბრინჯაოს მედალი –4.**

**სულ: 12 მედალი (3 ოქრო, 5 ვერცხლი, 4 ბრინჯაო).**

*დასაწყისი: ლელო №52 (12731).*
*გაგრძელება იქნება*

**გურამ ძაგანია, პროფესორი**

## შეხვედრა წარსულთან...

# ბურთაობა ძველ იმერეთში

1888 წელს გაზეთი „ივერია" იტყობინებოდა: „პირველ მაისს ფოთში დიდი ბურთაობა იცოდნენ. პირველ მაისს საასპარეზოდ ერთ მხარეს იყვნენ მეგრელები, ხოლო მეორე მხარეს გურულები და იმერლები".

1899 წელს ბათუმში კახაბერის მოედანზე გამართულ ბურთაობას დიდძალი ხალხი დასწრებია. პრესის ცნობით, „დიდ, უზარმაზარ ბურთს დაატარებდნენ სამის ნახევრიდან ხუთის ნახევრამდე და გადასცეს ერთ კაცს, რომელმაც ეს ბურთი წაიღო და გადააგორა დანიშნულ ლელოს შუაგულზე და თან დაიძახა არიქა, ყმაწვილებო, ვაშა, ვაშაო. ლელო დასავლეთით გურულების, მეგრელებისა და ხონელებისაო და აღმოსავლეთით, თათრებისა და სომხებისაო! შეიქნა ყიჟინა, ვაშას ძახილი და ბურთი გააქანეს პირველად მეგრელებმა და ის იყო ლელოსთან უნდა მიეტანათ, ამ დროს გურულებმა იბრუნეს ბურთი თავიანთ ლელოსაკენ, მაგრამ ბურთი ისევ მეგრელებმა და ხონელებმა გაიტაცეს. ამ დროს ბურთი გადავარდა პატარა მდინარეში, სადაც არშინის სიმაღლეზე წყალი იდგა. თქვენ არ მომიკვდეთ, წყალმა არცერთი არ შეაშინა. ჩაცვივდნენ შიგ. მთელი ერთი საათი ბურთი წყალში იყო. ბოლოს ისევ მეგრელებმა და ხონელებმა იგდეს ხელთ და გააქანეს ბურთი თავიანთ ლელოსაკენ და ზღვაში ჩააგდეს. თამაშმა მთელ სამ საათს გასტანა. მოთამაშენი სიმღერით, ცეკვითა და დამბაჩების სროლით დაბრუნდნენ სახლში" (გაზეთი „ივერია" 1899 წელი, №92).

ძველ ბურთაობასთან დაკავშირებით ფრიად საყურადღებო საბუთი ინახება ქუთაისის ცენტრალურ არქივში, რომელიც დათარიღებულია 1894 წლის 14 ივლისით. ქალაქ ფოთის პოლიციის უფროსი ოფიციალურად მიმართავს ქუთაისის სამხედრო გუბერნატორს ი.მ. მეუნარგიას: „ქალაქ ფოთში და გუბერნიის სხვა ადგილებში დამკვიდრებული ჩვეულების თანახმად, გარკვეულ დღეებში მართავენ ბურთის თამაშს. ამასთან ამ თამაშს თან ერთვის ჩხუბი და აურზაური. იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული მსგავსი უწესობანი, საქალაქო საქმის მთავარმართებელმა კავკასიაში 1893 წლის 13 ივლისს გამოსცა ბრძანება ცირკულიარის სახით, რომელიც კრძალავს მსგავსი სახის გართობებს. სასურველია, მთლიანად აიკრძალოს ბურთის თამაში მრავალრიცხოვან თავშეყრის ადგილებში. უნდა გამოიძებნოს ისეთი ხერხები, რომელიც აღკვეცავდა ან შეზღუდავდა ჩხუბსა და აურზაურს.

მსურს რა, გავიგო პირადი თქვენი შეხედულება ამ საგანზე, გთხოვთ მაცნობოთ თქვენი აზრი" (ქცა ფონდი 195, საქმე №615).

სამწუხაროდ, მე-19 საუკუნის ბოლოს ლელობურთი და სხვა სპორტული თამაშობანი დავიწყებას მიეცა. ამასთან დაკავშირებით გაზეთი „ივერია" წერდა: „დიდ ჯიხაიშში 20 აგვისტოს სოფლის ყრილობამ დაადგინა: ამიერიდან აღარ იდღესასწაულონ ქაშუეთობა. მიზეზი ამისა ერთის მხრივ ხარჯის თავიდან აცილება იყო. მეორეს მხრივ ის, რომ უკანასკნელის დროს დღესასწაულზე ჯირითი, ბურთაობა, მარულა და სხვა გასართობანი ხანჯლის ტრიალმა და თავ-პირის მტვრევამ შესცვალა. რასაკვირველია, თუ დღესასწაულზეც ჩხუბი და უბედურება აუცილებელ გარემოებას შეადგენდა, ამ შემთხვევაში სამართლიანია სოფლის ყრილობის დადგენილება, მაგრამ დღეს დასავლეთ ევროპაში ცდილობენ შემოიღონ და გაავრცელონ იმისთანა თამაშობა, რომელიც ჯანს არგებს და სულითაც აძლიერებს კაცს. და იმის მაგიერ, რომ შევირჩინოთ ის, რაც უკვე გვაქვს, ვცდილობთ მოსვპოთ და სამუდამოდ დავივიწყოთ".

საყურადღებოა, რომ სპორტის ამ ეროვნულმა და ერთ-ერთმა ულამაზესმა სახეობამ სათანადო ასახვა ქართულ მწერლობაშიც ჰპოვა. ცნობილია პოეტ-აკადემიკოსის ირაკლი აბაშიძის ლექსი „ბურთი".

„გიორგობა დღეს გავარდა ბურთი,
გაჰკრეს და გასცდა საყდრის გალავანს,
გაუდგა გზებში გუნდი და გუნდი
მიჰყვნენ და სცემდნენ დაულალავად".

**ზურაბ ჯავახაძე**

## პირველი, პირველმა, პირველად...

**პირველი** ქართველი, რომელმაც ფეხი შედგა მსოფლიოს უმაღლეს მწვერვალ ჯომოლუნგმაზე, იყო **რომა გიუტაშვილი.** ეს მოხდა 1991 წლის 10 ოქტომბერს სანკტ-პეტერბურგის ექსპედიციის შემადგენლობაში.

**პირველმა** ქართველი ფეხბურთელებიდან ევროპის ჩემპიონთა თასი („მილანის" შემადგენლობაში) მოიპოვა **კახა კალაძემ** 2003 წლის 25 მაისს.

**პირველად** საქართველოს სპორტის ისტორიაში ეროვნულმა გუნდმა მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ითამაშა 2003 წლის 12 ოქტომბერს. ეს პატივი წილად ხვდა მორაგბეთა ნაკრებს. ავსტრალიის ქალაქ პერთში ჩვენი გუნდი ინგლისის ნაკრებთან დამარცხდა 6:84. ინგლისელები იმ წელს ჩემპიონები გახდნენ.

## თარიღი

**5-11 ნოემბერი**

**6 XI.** 1921 წ. დაიბადა **მიხეილ პირაევი.** ფეხბურთი.

**9 XI.** დაიბადნენ: **გიორგი სხირტლაძე** (1932) — თავისუფალი ჭიდაობა; **თამაზ გიორგაძე** (1947) — ჭადრაკი.

**11 XI.** 1978 წ. თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდი მეორედ გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი.

**11 XI.** დაიბადნენ: **მაია ლომინეიშვილი** (1977) — ჭადრაკი; **ელისო ბედოშვილი** (1971) — მხატვრული ტანვარჯიში

## კალენდარი




**5-7. ათლეტიზმი.** მსოფლიოს ჩემპიონატი სამჭიდში. ინდოეთი. დიდები.

**5-9. სამბო.** მსოფლიოს ჩემპიონატი. საბერძნეთი. დიდები.

**5-9. ფარიკაობა.** ევროპის პირველობა. დანია. ახალგაზრდები.

**5-10. ველოსპორტი.** საერთაშორისო მრავალდღიანი რბოლა. ჩინეთი. დიდები.

**6-8. ტაეკვონდო.** მსოფლიოს ჩემპიონატი. ესპანეთი. 21 - წლამდელები.

**7. ქართული ჭიდაობის** კუთხური ნაირსახეობების ტურნირი. თბილისი.

**7-დან. ბატუტი.** მსოფლიოს ჩემპიონატი. რუსეთი. დიდები, ახალგაზრდები.

**8-9. კარატე.** თბილისის ღია საერთაშორისო ტურნირი. თბილისი. ყველა ასაკი.

**9-10. ძიუდო.** ჯ. ნიჟარაძის ხსოვნის ტურნირი. გარდაბანი. ახალგაზრდები.

**10-დან. კრივი.** საქართველოს თასის გათამაშება. თბილისი. დიდები.

**10-დან. სპორტული აკრობატიკა.** ევროპის ჩემპიონატი. ჩეხეთი. დიდები.

## თქვენთვის ერუდიტებო

### ვიქტორინა

1. რომელ წელს შედგა ძიუდოს ოლიმპიური დებიუტი?

ა – 1960 წელს
ბ – 1964 წელს
გ – 1968 წელს

2. ძიუდოისტთა პირველ საბჭოთა ნაკრებში, 1964 წელს ტოკიოს ოლიმპიადაზე ორ ქართველ ფალავანს ბრინჯაოს მედალი ხვდა წილად. ვინ არიან ისინი?

ა – გივი ონაშვილი და ანზორ კიკნაძე
ბ – ფარნაოზ ჩიკვილაძე და გივი ონაშვილი
გ – ანზორ კიკნაძე და ფარნაოზ ჩიკვილაძე

3. ბატუტზე ხტომა საქართველოში გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან ინერგება. საქართველოს პირველი ჩემპიონატი კი გვიან გაიმართა, როდის?

ა – 1970 წელს
ბ – 1974 წელს
გ – 1975 წელს

4. რომელ წლიდან შემოიღეს წონითი კატეგორიები ძალოსნობაში?

ა – 1912 წლიდან
ბ – 1930 წლიდან
გ – 1924 წლიდან

5. დაასახელეთ სამი გუნდი, რომლებიც კალათბურთში მეორე მსოფლიო ომამდე საქართველოდან სსრ კავშირის ჩემპიონატში მონაწილეობდნენ.

ა – „დინამო", „სპარტაკი", „პიშჩევიკი"
ბ – „ნაუკა", „ფეიქარი", „სპარტაკი".
გ – „დინამო", „ლოკომოტივი", „ნაუკა".

პასუხები: 1-ბ, 2-გ, 3-ა, 4-გ, 5-ბ.

## ვინ რა თქვა...

**მთელი** თავისი გმირული ისტორიის განმავლობაში, რომელშიც ქართველები თავიანთ დამოუკიდებლობას იცავდნენ ურიცხვ დამპყრობელთა შემოსევისგან, ჭიდაობა იყო სიმამაცის, მხედრული დახელოვნების, ფიზიკური მომზადებისა და, რაც მთავარია, სამშობლოს სიყვარულის სკოლა, პატრიოტიზმის სკოლა. ასე იყო საუკუნეთა განმავლობაში.

**იან დიმოვი**
მწერალი, ჟურნალისტი

## იყო ასეთი შემთხვევა

გამოჩენილი მოჭიდავე ლევან თედიაშვილი იხსენებს: „1972 წელს იაპონიის პროფკავშირთა სპორტულმა ასოციაციამ ქართველ ძიუდოისტებთან ერთად ამხანაგური გამოსვლებისთვის მიგვიწვია. ჩვენს ცნობილ ძიუდოისტს შოთა ჩოჩიშვილს ერთ-ერთ შერკინებაში მხარი დაუზიანდა და ველარ შეძლებდა ტატამზე გასვლას, ეს კი ჩვენ ნაგებას გვიქადდა. მწვრთნელებმა მთხოვეს, რომ ძიუდოშიც დამეცვა ჩვენი გუნდის ღირსება. ბედზე ძიუდოისტთა და ჩვენი დარბაზები მეზობლად იყო. ასე რომ, როგორც კი ხალიჩაზე თავისუფალ ჭიდაობას დავამთავრებდი, ტატამზე გავდიოდი. ერთ დღეს ათი შეხვედრა მოვიგე".

ლევან თედიაშვილის ყოველი გამოსვლა თბილისში ნამდვილი დღესასწაული იყო ქართველი გულშემატკივრებისთვის. ეს იყო მხოლოდ, რომ ზოგჯერ ისე სწრაფად იგებდა ორთაბრძოლას, მაყურებელი ჭიდაობის ეშხში შესვლასაც ვერ ასწრებდა.

ერთხელ გაუგონარი რამ მოხდა: როცა ლევანმა ქვეშ მოიგდო მოწინააღმდეგე და წმინდა გამარჯვებას აღარაფერი აკლდა, ხალხი შეეხვეწა თავის ფალავანს:

— გაუშვი, ლევან, ცოდოა!
— არ წააქციო, ლევან!

გულშემატკივართა ხათრით, ლევან თედიაშვილმა ის შეხვედრა რამდენჯერმე მოიგო.

## ფოტომატიანე



თბილისის ფეხბურთის გუნდი „დეზერტირკა". 1912 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოური სპორტი

ავტოსპორტი. ჩემპიონთა რბოლა

# შუმის და სებას ზედიზედ მესამე ტრიუმფი




გუშინ პეკინის ოლიმპიურ სტადიონზე ტრადიციული ჩემპიონთა რბოლა დაიწყო. როგორც წესი, სეზონის დასრულების შემდეგ სხვადასხვა სარბოლო სერიის საუკეთესო წარმომადგენლები ერთმანეთში არკვევენ საუკეთესო პილოტს.

ტურნირი ორდღიანია. პირველ დღეს "ჩიტის ბუდეში" ე.წ. "ეროვნებათა თასი" გათამაშდა და ზედიზედ მესამედ ეს პრიზი გერმანიის ნაკრებმა დაიმსახურა. ისევე როგორც შარშან, გერმანელთა რიგებში ლეგენდარული **მიხაელ შუმახერი** და ფორმულა 1-ის წლევანდელი ჩემპიონატის მეორეადგილოსანი **სებასტიან ფეტელი** გამოდიოდნენ.

"ეროვნებათა თასზე" გუნდები ჯერ ჯგუფებში ეჯიბრებიან ერთმანეთს, შემდეგ მოდის ნახევარფინალი და ბოლოს ფინალი.

გერმანიასთან ერთად ფინალში გამოსვლის უფლება ბრიტანეთის ნაკრებმა მოიპოვა. ამ გუნდს "ჩემპიონთა რბოლაზე" ფორმულა 1-ის წლევანდელი ტრიუმფატორი **ჯენსონ ბატონი** და ტურიზმის კლასში მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი **ენდი პრიოლი** წარმოადგენდნენ.

ტრადიციულად, ფინალში სამი ორთაბრძოლა შედგა. თავდაპირველად მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი შუმახერი და ბატონი დაუპირისპირდნენ ერთმანეთს და ლეგენდარულმა გერმანელმა 5 მეათედი წამით აჯობა ჯენსონს, რითაც გერმანიის ნაკრები დააწინაურა - 1:0.

თანაფარდობა ფეტელისა და პრიოლის ორთაბრძოლის შემდეგ აღდგა. სებასტიანმა ფინიშამდე მისვლა ვერ შეძლო და ამ მიკროდუელში გამარჯვება ბრიტანელ პილოტს მიენიჭა.

თასის მფლობელი შუმახერისა და პრიოლის დაპირისპირებას უნდა გადაეწყვიტა. შუმიმ კვლავ დაამტკიცა თავისი უმაღლესი კლასი და სტარტიდან მოყოლებული მის უპირატესობაში ეჭვი არავის შეპარვია. გერმანელის უპირატესობა იმდენად დიდი იყო, რომ ასეთ მოკლე დისტანციაზე მიხაელმა ენდის წამზე მეტი მოუგო.

ასე რომ, შუმახერმა და ფეტელმა "ჩემპიონთა რბოლაზე" შესანიშნავი ტანდემი შექმნეს და უკვე სამი წელია პირველობას არავის უთმობენ "ეროვნებათა თასზე".

ჩოგბურთი

# სად მიდის როლან გაროსი?




არ არის გამორიცხული, რომ "დიდი სლემის" ტრადიციულმა ტურნირმა - საფრანგეთის ღია პირველობამ ადგილმდებარეობა შეიცვალოს. იმ შემთხვევაში, თუ პარიზის მთავრობა არ დაამტკიცებს როლან გაროსის კომპლექსის გაფართოების პროექტს, მომავალში ამ სტადიონზე ტურნირის გამართვა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება.

საფრანგეთის ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ჟილბერ იზერნმა** განაცხადა, რომ პარიზის მერიამ თავდაპირველად მოიწონა როლან გაროსის გაფართოების პროექტი, მაგრამ ახლა ამ პერსპექტივას უარყოფითად უყურებს. შეგახსენებთ, რომ ტურნირის ორგანიზატორთა ჩანაფიქრით, 2013-14 წლისთვის ცენტრალურ კორტზე მოძრავი სახურავი უნდა დაემონტაჟებინათ.

# მაშა+ საშა?

ამერიკულმა პრესამ რუსი **მარია შარაპოვას** ახალი რომანის შესახებ გაავრცელა ინფორმაცია. გამოცემა NBC Miami-ის ცნობით, ჩოგბურთელი დაშორდა **ჩარლი ებერსოლს** და ახლა "ლოს ანჯელეს ლეიკერსის" სერბ მცველ **საშა ვუიაჩიჩს** ხვდება.

ბოლო დროს, სპორტსმენები ხშირად ხვდებიან ერთმანეთს: რედონდობიჩზე (კალიფორნია) 25 წლის კალათბურთელის სახლი იმავე კომპლექსში მდებარეობს, რომელშიც მარიას აქვს სახლი.

ისინი რამდენიმე დღის წინ შენიშნეს ჯგუფ U2-ს კონცერტზე. მაშა და საშა ერთმანეთს ეხვეოდნენ და შეყვარებული წყვილის შთაბეჭდილებას ტოვებნენ.




## აგასის საქმით WADA დაინტერესდა

მსოფლიოს ანტი-სადოპინგო სააგენტომ (WADA) პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციაში თხოვნის წერილი გააგზავნა. ATP-ის გამოძიების ჩატარება სურს მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანის, ამერიკელი **ანდრე აგასის** სკანდალურ აღიარებასთან დაკავშირებით.

როგორც იცით "დიდი სლემის" ტურნირების რვაგზის ჩემპიონმა თავის ავტობიოგრაფიულ წიგნში ნარკოტიკის მიღების ფაქტი აღიარა და ისიც მოყვა, როგორ შეიყვანა შეცდომაში ATP-ის ხელმძღვანელობა.

WADA-ის გენერალური დირექტორის **დევიდ ჰოუმენის** თქმით, მან ATP-ის მისამართით ოფიციალური წერილი 2 ნოემბერს გააგზავნა. მისი სიტყვებით, ის არ გამოხატავს თავის პირად აზრს მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით, მაგრამ თხოვს ასოციაციის ხელმძღვანელობას დაიცვას "სუფთა" სპორტსმენების ღირსება და აგრეთვე აკონტროლოს სიტუაცია იმისთვის, რომ მსგავსი შემთხვევები აღარ განმეორდეს.

## სერენას ახალი რეკორდი

მსოფლიოს პირველი ჩოგანი ამერიკელი **სერენა უილიამსი** WTA-ის ტურის რეკორდსმენი გახდა ერთ სეზონში გამომუშავებული თანხის რაოდენობით. 2009 წელს ამერიკელმა ჩოგბურთელმა 6.5 მილიონი დოლარი მოიპოვა. წინა რეკორდის ავტორი მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი, ბელგიელი **ჟუსტინ ანენი** იყო, რომელმაც 2007 წელს თავისი ბიუჯეტი 5.5 მილიონი დოლარით შეავსო.

შეგახსენებთ, რომ წინა კვირას სერენა წლის შემაჯამებელი ტურნირის გამარჯვებული გახდა. მან ფინალში უფროსი და **ვენუსი** დაამარცხა - 6:2, 7:6. გარდა ამისა, წელს სერენამ ავსტრალიის ღია პირველობა და უიმბლდონი მოიგო. სულ უმცროს უილიამსს კარიერაში 28.5 მილიონი დოლარი აქვს გამომუშავებული.

## მიურეიმ ადიდასი აირჩია

ბრიტანეთის პირველმა ნომერმა **ენდი მიურეიმ** ხუთწლიანი სპონსორული კონტრაქტი გააფორმა კომპანია "ადიდასთან". ეს გარიგება სპორტსმენს ჯამში 10 მილიონ ფუნტს მოუტანს. მსოფლიოს მეოთხე ჩოგანი მომავალი წლიდან ჩაიცვამს "ადიდასის" ფორმას. მანამდე ენდის სპონსორი კომპანია "ფრედ პერი" იყო.

*"მოხარული ვარ, რომ შევუერთდი იმ სპორტსმენებს, რომლებიც ამ კომპანიის ეკიპირებას იყენებენ, - განაცხადა მიურეიმ. - ჩემთვის უდიდესი პატივია "ადიდასთან" თანამშრომლობა, რომლის სახეც იყო მუჰამედ ალი, დღე კი მისი ფორმით დევიდ ბექჰემი თამაშობს. იმედი მაქვს, რომ ეს გარიგება უკეთ გამოსვლაში დამეხმარება".*

"ადიდასის" მესვეურებს მიაჩნიათ, რომ ამ ხელშეკრულებით კომპანია გაამყარებს პოზიციებს ჩოგბურთში, სადაც პირველობა "ნაიკს" ეკუთვნის. ამ ფირმის პროდუქციას იყენებენ **როჯერ ფედერერი** და **რაფაელ ნადალი**.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ფორმულა 1




# ტოიოტაც წავიდა

"ჰონდასა" და BMW-ის შემდეგ, ფორმულა 1-ის სარბოლო სერია კიდევ ერთმა ავტოგიგანტმა დატოვა. გუშინ ტოკიოში გამართულ პრესკონფერენციაზე "ტოიოტას" წარმომადგენლებმა გამოაცხადეს, რომ რთული ფინანსური სიტუაციის გამო იაპონური კონცერნი თავის საქარხნო გუნდთან ერთად ტოვებს ყველაზე პრესტიჟულ სარბოლო სერიას.

**ტოიოტა ფორმულა 1-ში**

**სეზონი:** 8
**გრან პრი:** 140
**გამარჯვება:** 0
**პოდიუმი:** 13
**ქულა:** 278.5
**პოული:** 3
**საუკეთესო წრე:** 3
**საუკეთესო ფინიში:** მე-2 ადგილი

ბევრისთვის ეს გადაწყვეტილება მოულოდნელი აღმოჩნდა. წლევანდელი სეზონის მსვლელობისას "ტოიოტას" ხელმძღვანელობამ არაერთხელ გამოაცხადა, რომ არ აპირებდა ფორმულა 1-ის დატოვებას, უფრო მეტიც, იაპონურმა საჯინიბომ თანხმობის ახალ ხელშეკრულებას მოაწერა ხელი, რაც 2012 წლის ბოლომდე მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოსვლის გარანტიას იძლეოდა. მაგრამ "ტოიოტას" დირექტორთა საბჭოსთვის ეს გარანტია არ აღმოჩნდა გადამწყვეტი ფაქტორი და მან "დიდი ცირკი" დატოვება გადაწყვიტა.

"ტოიოტა" ფორმულა 1-ში 2002 წელს, სერიოზული მოსამზადებელი სამუშაოს შემდეგ მივიდა. იაპონელთა საჯინიბო დიდი ხანი სპორტში ყველაზე მხარჯველ გუნდად ითვლებოდა, მაგრამ დიდმა ბიუჯეტმა სტრატეგიული შეცდომების გამო სასურველი შედეგი ვერ მოიტანა.

იაპონელთა გადაწყვეტილებას უკვე მოყვა ექსპერტთა პირველი შეფასება. მათი აზრით, პრესკონფერენციაზე მოყვანილი წასვლის მიზეზები (ფინანსური დანაკარგები, მსოფლიოს ეკონომიკური კრიზისი, გუნდის სრული დაფინანსების შეუძლებლობა) არც ისე დამაჯერებლად ჟღერს. ფორმულა 1-ის გუნდების ასოციაციაში (FOTA) დანახარჯების სერიოზულ შემცირებაზე მოილაპარაკეს, "ტოიოტას" 2009 წლის ბიუჯეტის სოლიდური ნაწილი კომპანია "პანასონიკმა" შეავსო. ასე რომ, წესით იაპონურ საჯინიბოს ფინანსური დ[illegible] არ უნდა გასჭირვებოდა, ახლა კი გუნდის დახურვამ, შესაძლოა, იმაზე დიდი ფინანსური ზარალი მოუტანოს, ვიდრე ეს ფორმულა 1-ში მოღვაწეობის გაგრძელების შემთხვევაში მოხდებოდა.

არაოფიციალური ინფორმაციით, კონცერნის ხელმძღვანელობა რამდენიმე სცენარს განიხილავდა, მათ შორის გუნდის სხვა მფლობელისთვის მიყიდვას, მაგრამ დირექტორთა საბჭომ საჯინიბოს დახურვა გადაწყვიტა.

მოსალოდნელია კიოლნის ბაზაზე თანამშრომელთა განთავისუფლება. გუნდის შტატი ძალიან დიდია და სავარაუდოდ, სიმძლავრეებისა და პერსონალის ნაწილს სხვა პროექტებზე დაასაქმებენ, განთავისუფლებულებისთვის კი სერიოზული კომპენსაციების გადახდა იქნება საჭირო. გარდა ამისა, კომპანიას მოსაგვარებელი ექნება 2009 წელს გაფორმებული თანხმობის ხელშეკრულების დარღვევით მიღებული პრობლემების მოგვარება. "ტოიოტას" ამ მხრივადაც სოლიდური კომპენსაციის გადახდა მოუწევს.

მძლეოსნობა



# უსაინ ბოლტმა კონკურენტი შეიძინა

პლანეტის ყველაზე სწრაფ ადამიანს, სამგზის ოლიმპიური ჩემპიონ **უსაინ ბოლტს** ახალი შინაური ცხოველი ჰყავს. ეს არის ჰეპარდის ლეკვი, რომელიც იამაიკელმა სპრინტერმა კენიის ეროვნულ პარკში შეიძინა.

უსაინი საქველმოქმედო მიზნებით სამი დღე სტუმრობდა კენიას. ბოლოს ის ნაირობიში ეროვნულ პარკს ეწვია და სწორედ იქ იყიდა ეს ცხოველი. ჰეპარდის ლეკვისთვის 100 და 200 მეტრზე მსოფლიოს რეკორდსმენმა 13 700 დოლარი გადაიხადა. ცხოველს უკვე სახელიც მოუგონეს - მას "ელვისებრი ბოლტი" დაარქვეს.

კენიის ეროვნული პარკის დირექტორმა ბოლტთან შეხვედრისას მოსწრებულად აღნიშნა, რომ ეს არის პირველი შემთხვევა, როცა ერთმანეთს შეხვდნენ მსოფლიოს ყველაზე სწრაფი ადამიანი და ცხოველი. ცნობილია, რომ ჰეპარდი საათში 120 კილომეტრი სიჩქარით შეუძლია სირბილი.

ბოლტმა კი ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ადრე არ უყვარდა ჰეპარდები, რადგან ეშინოდა, რომ ისინი სირბილში მის დაჩაგვრას შეძლებდნენ, მაგრამ ახლა აზრი შეიცვალა და სახლში საკუთარი ხელით მიჰყავს კონკურენტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

# ზვიგენების გარღვევა

**დეტროიტი-ბოსტონი 2:0**

2:0, 0:0, 0:0

გოლები: 1:0 ზეტერბერგი-3 (დაციუკი-9), 2:0 ჰოლმსტრომი-8 (დაციუკი-10, ბერტუცი-4).

**ტორონტო-ტამპა ბეი 1:2 (ო)**

0:0, 0:1, 1:0, 0:1

გოლები: 0:1 ლეკავალიე-2 (ოლუნდი-5), 1:1 ი. უაიტი-3 (ჰაგმანი-4, ბოზმენი-3), 1:2 მელოუნი-9 (ტანგეი-5).

**მონრეალი-ატლანტა 4:5**

0:2, 2:1, 2:2

გოლები: 0:1 ლიტლი-1 (პეველი-8), 0:2 პეველი-7 (ტ. უაიტი-2, ლიტლი-6), 1:2 ჯონტა-5 (გომესი-8), 1:3 პოპოვიჩი-1 (ათინოგენოვი-5, ანტროპოვი-11), 2:3 კამალერი-7, 3:3 ჯონტა-6, 3:4 კუზნია-1 (ანტროპოვი-12, პეველი-9), 4:4 პლეკანეცი-4 (ლატენდრესი-1, ლაპიერი-4), 4:5 კ. არმსტრონგი-2 (რისონერი-4, ე. კეინი-3).

**ვანკუვერი-რეინჯერსი 4:1**

1:0, 0:0, 3:1

გოლები: 1:0 სამუელსონი-7 (კესლერი-9), 1:1 პოვინსი-1 (დუბინსკი-7, დრური-4), 2:1 რაპინი-2 (კესლერი-10), 3:1 სამუელსონი-8 (კესლერი-11, ედლერი-8), 4:1 ჰ. სედინი-7 (ბერნიე-4, ბარიოუზი-6).

**ანაჰაიმი-პიტსბურგი 3:4**

1:0, 1:2, 1:2

გოლები: 1:0 პერი-9 (ს. ნიდერმაიერი-8), 1:1 რუპი-4 (ტაილერ კენედი-2, მაკკი-3), 1:2 ლეტანგი-1 (ორპიკი-4, კუკი-4), 2:2 პერი-10 (გეტცლაფი-11, რაიანი-4), 2:3 გოლიგოსკი-6 (ტაილერ კენედი-3, ჯ. სტაალი-3), 3:3 ს. კოივუ-2 (სელიანე-1), 3:4 დუპუი-3 (ორპიკი-5, ლეტანგი-6).

**აღმოსავლეთი**

| | თ | მ | ნ | ონ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. პიტსბურგი* | 15 | 12 | 3 | 0 | 24 |
| 2. ვაშინგტონი* | 14 | 8 | 2 | 4 | 20 |
| 3. ბაფალო* | 11 | 8 | 2 | 1 | 17 |
| 4. რეინჯერსი | 16 | 9 | 6 | 1 | 19 |
| 5. ნიუ ჯერსი | 12 | 8 | 4 | 0 | 16 |
| 6. ფილადელფია | 12 | 7 | 4 | 1 | 15 |
| 7. აილენდერსი | 14 | 5 | 4 | 5 | 15 |
| 8. ოტავა | 12 | 6 | 4 | 2 | 14 |
| 9. ტამპა ბეი | 13 | 5 | 4 | 4 | 14 |
| 10. მონრეალი | 15 | 7 | 8 | 0 | 14 |
| 11. ატლანტა | 11 | 6 | 4 | 1 | 13 |
| 12. ბოსტონი | 14 | 6 | 7 | 1 | 13 |
| 13. ფლორიდა | 12 | 4 | 7 | 1 | 9 |
| 14. ტორონტო | 13 | 1 | 7 | 5 | 7 |
| 15. კაროლინა | 13 | 2 | 8 | 3 | 7 |

**დასავლეთი**

| | თ | მ | ნ | ონ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. კოლორადო* | 15 | 10 | 3 | 2 | 22 |
| 2. სან ხოსე* | 15 | 10 | 4 | 1 | 21 |
| 3. ჩიკაგო* | 13 | 8 | 4 | 1 | 17 |
| 4. ლოს ანჯელესი | 15 | 9 | 4 | 2 | 20 |
| 5. ფინიქსი | 14 | 9 | 5 | 0 | 18 |
| 6. ვანკუვერი | 16 | 9 | 7 | 0 | 18 |
| 7. დალასი | 14 | 6 | 3 | 5 | 17 |
| 8. კალგარი | 12 | 7 | 4 | 1 | 15 |
| 9. კოლამბუსი | 13 | 7 | 5 | 1 | 15 |
| 10. დეტროიტი | 13 | 6 | 4 | 3 | 15 |
| 11. ედმონტონი | 15 | 7 | 7 | 1 | 15 |
| 12. ნეშვილი | 13 | 6 | 6 | 1 | 13 |
| 13. სტ. ლუისი | 12 | 5 | 6 | 1 | 11 |
| 14. ანაჰაიმი | 13 | 4 | 7 | 2 | 10 |
| 15. მინესოტა | 14 | 5 | 9 | 0 | 10 |

* - დივიზიონის ლიდერი

**ბომბარდირები**

| გოლი+პასი | |
|---|---|
| ანზე კოპიტარი (ლ-ანჯ) | 24 (11+13) |
| ალექსანდ ოვეჩკინი (ვაშ) | 23 (14+9) |
| პატრიკ მარლო (ს-ხოს) | 21 (11+10) |
| რიკ ნეში (კოლამ) | 20 (9+11) |
| მარიან გაბორიკი (რეინ) | 19 (11+8) |
| დასტინ პენერი (ედმ) | 19 (9+10) |
| რაიან სმითი (ლ-ანჯ) | 19 (8+11) |
| ჯო ტორნტონი (ს-ხოს) | 19 (3+16) |

| გოლები | |
|---|---|
| ალექსანდ ოვეჩკინი (ვაშ) | 14 |
| ანზე კოპიტარი (ლ-ანჯ) | 11 |
| პატრიკ მარლო (ს-ხოს) | 11 |
| სტივენ სტემკოსი (ტ-ბეი) | 11 |
| მარიან გაბორიკი (რეინ) | 11 |
| კორი პერი (ანა) | 10 |

| პასები | |
|---|---|
| ჯო ტორნტონი (ს-ხოს) | 16 |
| ტომაშ კაბერლე (ტორ) | 15 |
| ვრაცლავ პროსპალი (რეინ) | 14 |
| ნიკლას ბექსტრიომი (ვაშ) | 14 |
| ანზე კოპიტარი (ლ-ანჯ) | 13 |



ჰოკეის ეროვნულ ლიგაში გასული კვირის ლაურეატები "სან ხოსე შარქსი" და აუტსაიდერ "ტორონტოს" ჩეხი მცველი **ტომაშ კაბერლე** გახდნენ. ლიგაში წინა შვიდი დღის გამორჩეული მოვლენები იყო "აილენდერსის" შეჭრა პლეი ოფის ზონაში და "ფინიქსის" კაპიტნის **შეინ დოუნის** შურისძიება.

### კვირის გუნდი

"სან ხოსემ" გამარჯვებათა სერია ხუთ მატჩამდე აიყვანა და საკუთარი დივიზიონის ლიდერი გახდა. კვირის დასაწყისში "ზვიგენებმა" ამ რუბრიკის წინა ლაურეატი "ლოს ანჯელესი" ბულიტებით დაამარცხეს (2:1). შემდეგ ასევე საკუთარ მოედანზე სძლიეს დასავლეთის საუკეთესო გუნდ "კოლორადოს" (3:1), წარმატებული შვიდდღიანი სერია კი "კაროლინასთან" გასვლითი გამარჯვებით დაასრულეს - 5:1.

წინა სეზონი "შარქსმა" უფრო წარმატებით დაიწყო და პირველ 15 მატჩში 26 ქულა დააგროვა (წელს ეს მაჩვენებელი 21 ქულას უდრის). შარშანდელი რეგულარულის შედეგების მიხედვით "სან ხოსემ" დასავლეთში განთესვის პირველი ნომერი მიიღო და სტენლის თასის პირველ წრეში ყველაზე სუსტი მეტოქე - "ანაჰაიმი" ერგო, თუმცა მოულოდნელად გამოეთიშა ბრძოლას. როგორც ჩანს, "სან ხოსე" შარშანდელ გაკვეთილს ითვალისწინებს და თავიდან ძალების დაზოგვა აქვს გადაწყვეტილი.

### კვირის მოთამაშე

ამ ნომინაციაში გაიმარჯვა ლიგის ყველაზე სუსტი გუნდის - "ტორონტოს" მცველმა ტომაშ კაბერლემ. 31 წლის ჩეხმა თავისი ქვეყნის ოლიმპიური ნაკრების ხელმძღვანელობას შეახსენა, რომ ჯერ კიდევ შეუძლია სასარგებლო იყოს ეროვნული გუნდისთვის: მან ოთხ გასვლით შეხვედრაში 12 ქულა (2 გოლი და 10 პასი) დააგროვა, თუმცა ამან ჩეხი ლეგიონერის გუნდს ვერ უშველა (ერთი მოგება და სამი წაგება). სამაგიეროდ, კაბერლე ლიდერია ლიგის მცველებს შორის მოპოვებული ქულების რაოდენობით (17). თანაც ჩეხი 450-ქულიან ზღვარს გადასცდა და "ტორონტოს" 80-წლიან ისტორიაში შედეგიანობის მხრივ მეორე მცველია.

### კვირის ახალგაზრდა

"ფილადელფიას" მარცხენა ფრთამ **ჯეიმს ვან რიმსდიკმა** წინა შვიდ დღეში იმდენი ქულა (1 გოლი და 5 პასი) დააგროვა, რამდენიც წინა სამი კვირის განმავლობაში (1+5). არადა, ვან რიმსდიკი სულ რაღაც 20 წლისაა.

ასე რომ, 2007 წლის დრაფტის მეორე ნომერი საკმაოდ სწრაფად პროგრესირებს და მისგან "მფრინავების" მწვრთნელები გაცილებით მეტს ელიან.

### კვირის ხასიათი

"ნიუ იორკ აილენდერსმა" მორიგი წარუმატებელი სტარტი აიღო რეგულარულში და ტრადიციულად ამ გუნდს ყველამ ხაზი გადაუსვა, ნიუიორკელები კი ადგნენ და ზედიზედ ოთხი მატჩი მოიგეს: "კუნძულელებმა" ნიუიორკულ დერბიში დაამარცხეს "რეინჯერსი" (3:1), ოვერტაიმში სძლიეს "ვაშინგტონს" (4:3), "მშრალად" შეინახეს კარი "ბაფალოს" წინააღმდეგ (3:0) და ბოლოს "ედმონტონს" მოუგეს (3:1). სხვათა შორის, "ვაშინგტონთან" და "ედმონტონთან" გამარჯვებები სწორედ ხასიათის გამოვლენით მოხერხდა - "აილენდერსი" ორივეჯერ მდევრის როლში იყო. ამ სერიის შედეგად გუშინდელი აუტსაიდერი მოულოდნელად პლეი ოფის ზონაში შევიდა - გუნდი აღმოსავლეთი კონფერენციის მეშვიდე ადგილზეა.

### კვირის ჩხუბი

გამორჩეულ ინციდენტს ჰქონდა ადგილი "ფინიქსისა" და "ანაჰაიმის" შეხვედრაში. მატჩის დასაწყისში "იხვების" მცველმა **ჯეიმს ვიშნევსკიმ** "ბინძური" ილეთით შეაჩერა მასპინძლების ლიდერი **შეინ დოუნი**. ამ მომენტს მსაჯისგან არანაირი რეაგირება არ მოჰყოლია. ამიტომაც კანადელმა კაპიტანმა თავად გადაწყვიტა შურისძიება: მეორე პერიოდი ახალი დაწყებული იყო, როცა დოუნი ვიშნევსკის ეცა, მუშტები დააყარა და ბოლოს ყინულზე დააგდო. დოუნი ამ ინციდენტისთვის არავის გაუმტყუნებია, "დაქსის" მცველს კი ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია და 28 ათასი დოლარის ოდენობის ჯარიმა გამოუწერეს.

### კვირის რიცხვი

"ბოსტონ ბრუინზი" 85 წლის გახდა. 1924 წლის 1 ნოემბერს NHL-ის ლიგაში გამოჩნდა პირველი ამერიკული გუნდი - "ბოსტონი". ყველაფერი მეწარმე **ჩარლზ ადამსის** მცირე კაპიტალდაბანდებით დაიწყო, რომელმაც ფული ჩადო მასაჩუსეტსის შტატის ჰოკეის გუნდის განვითარებაში. მოგვიანებით, "ბოსტონი" გახდა NHL-ის დამაარსებელი ექვსიდან ერთ-ერთი გუნდი. აქ ბრწყინავდნენ პროფესიული ჰოკეის ისეთი ვარსკვლავები, როგორებიც იყვნენ **ბობი ორი, ფილ ესპოზიტო, რეი ბურკი** და სხვები. "ბრუინზმა" არსებობის ისტორიაში ხუთჯერ მოიპოვა სტენლის თასი და ღირსეულ ადგილს იკავებს თანაქალაქელი გუნდების - საკალათბურთო "სელტიქსის", ბეისბოლის "რედ სოქსისა" და ამერიკული ფეხბურთის "პეტრიოტის" გვერდით.

ფორმულა 1

## ლოტუსის ჯაშუშობაში დაადანაშაულეს

ფორმულა 1-ის ინდური საჯინიბო "ფორს ინდია" დებიუტანტ "ლოტუსს" ჯაშუშობაში ადანაშაულებს. ამ უკანასკნელმა ცოტა ხნის წინ ინტერენეტში 2010 წლის ჩემპიონატისთვის განკუთვნილი ბოლიდის ფოტოები გამოაქვეყნა. მანქანა ძალიან ჰგავს ინდური საჯინიბოს მოდელს (VJM02).

ინდოელები ამ ყველაფერში **მაიკ გასკოინს** ადანაშაულებენ - "ლოტუსის" კონსტრუქტორთა ბიუროს ამჟამინდელი შეფი ადრე "ფორს ინდიას" ტექნიკურ დირექტორად მუშაობდა.

ველოსპორტი

## ჯირო ვაშინგტონში?

არ არის გამორიცხული, რომ მომავალში პრესტიჟული იტალიური ველომარათონი - "ჯირო დ'იტალია" ამერიკის დედაქალაქ ვაშინგტონში დაიწყოს. გაისად ეს რბოლა ჰოლანდიიდან, კერძოდ კი ამსტერდამიდან აიღებს სტარტს. "ჯიროს" ორგანიზატორები ცდილობენ, ახალი ქალაქები იპოვონ რბოლის პოპულარობის გაზრდის მიზნით.

*"უკვე დიდი ხანია ვფიქრობთ ამ იდეაზე, რომლის პირობითი სახელწოდებაა - "ჯირო ამერიკაში". დღეს მხოლოდ ის შემიძლია გითხრათ, რომ გამოვხატავთ კონკრეტულ ინტერესს ვაშინგტონის მიმართ",* - განაცხადა რბოლის დირექტორმა **ანჯელო ძომენიანმა**.

კალათბურთი

## გასოლი ჯერ ვერ ბრუნდება

**პაუ გასოლი** კვლავაც ვერ ეხმარება რეგულარულ ჩემპიონატში "ლოს ანჯელეს ლეიკერსს". ესპანელ ლეგიონერს ისევ ფეხის ტრავმა აწუხებს. თავდაპირველად ეგონათ, რომ დაზიანება სერიოზული არ იყო და გასოლი მალე დაუბრუნდებოდა მოედანს, მაგრამ მორიგმა სამედიცინო შემოწმებამ აჩვენა, რომ ტრავმა იმაზე მძიმეა, ვიდრე თავიდან ეგონათ.

გასოლი უკვე ორი კვირაა თამაშგარე მდგომარეობაშია.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**მსოფლიოს ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| იტალია-აშშ | 2:1 |
| არგენტინა-კოლუმბია | 2:3 |
| თურქეთი-საემიროები | 2:0 |
| შვეიცარია-გერმანია | 2:2 |

**ინგლისი**

| | |
|---|---|
| ვესტ ჰემი-ასტონ ვილა | 2:1 |

**შვედეთი**

**პლეი ოფი**

| | |
|---|---|
| ტროლჰატანი-სკოვდე | 5:3 |
| ასირისკა-იურგორდენი | 2:0 |

**თურქეთის თასი**

| | |
|---|---|
| გირეშუნი-რიზე | 1:1 დ.დ. 2:1 |

**სლოვაკეთის თასი**

| | |
|---|---|
| მიაიავა-სლოვანი | 0:3 |
| კოშიცე-ბისტრიცა | 0:2 |

**რუსეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ანჟი-მეტალურგი | 3:0 |
| ჩერნომორ.-ნიჟნი ნოვგოროდი | 1:1 |
| ჩიტა-სიბირი | 0:4 |
| კრასნოდარი-ალანია | 5:1 |
| გაზპრომი-სალუტი | 2:2 |
| კამაზ-სკა ენერგია | 3:1 |
| მვდ-ურალი | 0:3 |
| ნოსტა-შინიკი | 3:1 |
| ვიტიაზი-ბალტიკა | 2:1 |
| ვოლგა-ლ. ენერგია | 2:0 |

**უნგრეთი**

| | |
|---|---|
| ფერენცვაროში-დიორი | 1:0 |

**ბოსნია**

| | |
|---|---|
| შიროკი ბრიეგი-სარაევო | 2:0 |

**ბელარუსის თასი**

| | |
|---|---|
| ნაფტანი-სლავია | 4:0 |
| დინამო (მნ)-დნეპრი | 3:0 |

**კალათბურთი**

**ევროლიგა**

| | |
|---|---|
| მარუსი-რომა | 71:83 |
| ოლიმპიაკ.-ლეტუვოს რიტასი | 97:73 |
| ხიმკი-ოლდენბურგი | 77:72 |
| ვილერბანი-სიენა | 65:82 |
| ფენერბახჩე-ციბონა | 67:62 |
| პროკომი-მილანი | 88:83 |

**გერმანია**

| | |
|---|---|
| მიტლდოიჩე-ბამბერგი | 81:75 |

**ჩოგბურთი**

**ATP. ბაზელი**

| | |
|---|---|
| ჩილიჩი-პეტცშნერი | 6:4, 6:4 |
| ბლეიკი-შარდი | 6:7, 7:6, 4:6 |
| ვავრინკა-ლუბიჩიჩი | 6:7, 6:3, 6:4 |
| შტეპანეკი-სერა | 3:6, 7:6, 7:6 |
| ფედერერი-სეპი | 6:3, 6:3 |

**ATP. ვალენსია**

| | |
|---|---|
| სიმონი-ბერდიხი | 6:4, 4:6, 6:3 |
| ცონგა-იუდნი | 7:6, 0:6, 0:6 |
| ტიპსარევიჩი-ჰანესკუ | 6:4, 6:3 |
| ლოპესი-მარტინი | 7:5, 6:3 |
| ვერდასკო-ერნანდესი | 6:1, 6:1 |
| მონფილსი-გარსია ლოპესი | 2:6, 5:7 |

## TV პროგრამა

**5 ნოემბერი. ხუთშაბათი**

**SPORT 1 (უკრაინა)**

09:30 ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი. დღის მიმოხილვა.
10:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტურის მიმოხილვა.
11:10 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. რუბინი-ბარსელონა.
13:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. სევილია-შტუტგარტი.
14:50 ფეხბურთი. კოპა სუდამერიკანა. სან ლორენსო-რივერ პლეიტი.
16:35 კალათბურთი. NBA.
16:50 100% დინამო.
17:15 ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი. დალასი-კალგარი.
19:00 კალათბურთი. ევროლიგა. მიმოხილვა.
19:25 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
19:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტურის მიმოხილვა.
20:40 ფეხბურთი. FootBrazil.
21:15 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური (LIVE).
21:50 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. დინამო (ზ)-აიაქსი (LIVE).
23:55 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. ტულუზა-შახტარი (LIVE).
02:00 კალათბურთი. ევროლიგა. III ტური. რეალი-პანათინაიკოსი (LIVE).
03:40 საჰაერო რბოლები. Red Bull 2009. პორტუ, პორტუგალია.
04:30 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. დეტროიტი-სან ხოსე (LIVE).
07:10 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.

**SPORT 2 (უკრაინა)**

08:15 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ფრაიბურგი-ჰოფენჰაიმი.
10:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ლივორნო-ინტერი.
11:45 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ბოლტონი-ჩელსი.
13:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტურის მიმოხილვა.
14:45 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. სტანდარდი-ოლიმპიაკოსი.
16:30 კალათბურთი. ვტბ-ის ლიგა. აზოვმაში-ცსკა.
18:10 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. დინამო-ინტერი.
20:00 კალათბურთი. ევროლიგა. III ტური. ხიმკი-ოლდენბურგი.
21:50 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. რაპიდი-ჰაპოელი (LIVE).
23:55 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. ვილიარეალი-ლაციო (LIVE).
02:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
03:15 ფეხბურთი. კოპა სუდამერიკანა. უნივერსიდად დე ჩილე-ფლუმინენსე (LIVE).
05:15 ფეხბურთი. FootBrazil.
05:50 ფეხბურთი. კოპა სუდამერიკანა. ლიგა და კიტო-ველეს სარსფილდი (LIVE).
07:50 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. კლუჟი-სპარტა.

**EUROSPORT**

11:35 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (17-წლამდელები). 1/8 ფინალი. ნიგერია.
12:30 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
13:00 ავტოსპორტი. ჩემპიონთა რბოლა. პეკინი. ჩინეთი.
15:15 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (17-წლამდელები). 1/8 ფინალი. ნიგერია.
16:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (17-წლამდელები). 1/8 ფინალი. ნიგერია.
17:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
17:30 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (17-წლამდელები). 1/8 ფინალი. ნიგერია.
19:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (17-წლამდელები). 1/8 ფინალი. ნიგერია (LIVE).
21:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (17-წლამდელები). 1/8 ფინალი. ნიგერია.
21:50 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
22:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (17-წლამდელები). 1/8 ფინალი. ნიგერია (LIVE).
00:00 ბრძოლა წესების გარეშე.
02:30 რესტლინგი.
03:30 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (17-წლამდელები). 1/8 ფინალი. ნიგერია.

## კალათბურთი. NBA რეგულარული ჩემპიონატი

**კლივლენდი-ვაშინგტონი 102:90**

17:31, 33:23, 28:19, 24:17

კ: ჯეიმსი (27+8 მოხსნა+6 პასი+3 ჩაჭრა), შ. ო'ნილი (21+8 მოხსნა), მ. უილიამსი (15+6 პასი), გიბსონი (14), ვარეჟაო (10+10 მოხსნა).

ვ: არენასი (22+7 მოხსნა), კ. ბატლერი (22), მ. მილერი (12+8 მოხსნა), ჰეივუდი (8+9 მოხსნა).

**ინდიანა-დენვერი 93:111**

13:30, 26:25, 32:28, 22:28

ი: ჯონსი (20), გრეინჯერი (18+3 ჩაჭრა), ჰიბერტი (14+12 მოხსნა+4 დაფარება), ფორდი (13).

დ: ენტონი (25), ბილაპსი (24), ნენე (16+13 მოხსნა), აფლალო (15).

**ფილადელფია-ბოსტონი 74:105**

17:19, 19:25, 18:25, 20:36

ფ: იგუოდალა (17+3 ჩაჭრა), ტ. იანგი (11), სპეიტსი (6+9 მოხსნა).

ბ: პირსი (21+8 მოხსნა), რ. უოლასი (20), ჰაუსი (12), რონდო (11+4 აეპეხვთით), შ. უილიამსი (11+7 მოხსნა).

**დეტროიტი-ორლანდო 85:80**

19:14, 19:27, 22:19, 25:20

დ: ბ. გორდონი (23), ბინუმი (20), სტაკი (20+9 მოხსნა), ვილანუევა (12+8 მოხსნა), ბ. უოლასი (2+10 მოხსნა).

ო: კარტერი (15), რედიკი (14), ბარნსი (11+7 მოხსნა).

**მაიამი-ფინიქსი 96:104**

26:23, 26:21, 29:31, 15:29

მ: უეიდი (23+9 მოხსნა+7 პასი), კ. რიჩარდსონი (18+10 მოხსნა), ჯ. ო'ნილი (14), ბიზლი (12), ჰასლემი (10+13 მოხსნა).

ფ: ნეში (30+8 პასი), სტაუდმაიერი (16+11 მოხსნა+3 დაფარება), ჯ. რიჩარდსონი (14), ჰილი (10+12 მოხსნა), ამუნდსონი (10+დაფარება).

**ჩიკაგო-მილუოკი 83:81**

13:25, 16:18, 27:17, 27:21

ჩ: დენგი (24+20 მოხსნა), როუზი (16), ბ. მილერი (13+7 მოხსნა), უორიკი (10), ნოა (4+12 მოხსნა+5 დაფარება).

მ: ჯენინგსი (25), ბოგუტი (16+13 მოხსნა+3 დაფარება), უორიკი (11+10 მოხსნა), ჩ. ბელი (11).

**ოკლაჰომა-ლეიკერსი 98:101 (ო)**

25:32, 26:20, 22:19, 17:19, 8:11

ო: დურანტი (28), ჯ. გრინი (18), უესტბრუკი (12+7 პასი), სეფოლოშა (12+4 ჩაჭრა), ი. ტომასი (9+11 მოხსნა+3 დაფარება).

ლ: ბრაიანტი (31+3 ჩაჭრა), ბინუმი (22+10 მოხსნა+3 ჩაჭრა), არტესტი (20+6 პასი+5 ჩაჭრა), ოდომი (13+8 მოხსნა).

**დალასი-იუტა 96:85**

17:20, 18:17, 17:30, 44:18

დ: ნოვიცკი (40+11 მოხსნა+5 დაფარება), კიდი (19+6 პასი), მერიონი (10+8 მოხსნა), ტერი (10), დამპიე (4+12 მოხსნა+6 დაფარება).

ი: უილიამსი (22), ოქური (14+14 მოხსნა+4 ჩაჭრა), კირილენკო (12), ბუზერი (12).

**პორტლენდი-ატლანტა 91:97**

25:15, 23:32, 21:25, 22:25

პ: ოლდრიჯი (20+14 მოხსნა), აუთლო (19), როი (19+6 პასი), ოდენი (8+9 მოხსნა), ა. მილერი (5+11 პასი).

ა: კროუფორდი (27+7 პასი), ჯ. ჯონსონი (19+8 მოხსნა), ჯ. სმიტი (12+7 მოხსნა+3 ჩაჭრა), ფაჩულია (12), ჰორფორდი (11+13 მოხსნა).




ჩოგბურთი

# როჯერ ფედერერის კალენდარი



**ამასობაში, მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა ინტერვიუ მისცა ერთ-ერთ პოპულარულ შვეიცარიულ გამოცემას, რომელშიც კორტის მილმა თავისი ცხოვრების, ტყუპი ქალიშვილებისა და მეუღლე მიროსლავას შესახებ ილაპარაკა.**

**- როგორ შორდებით მირკას მატჩის წინ?**

- ვეუბნები: „ნახვამდის“ და კოცნას ვჩუქნი. საპასუხოდ ის წარმატებას მისურვებს და იმედს გამოთქვამს, რომ მატჩი წარმატებული იქნება. განსაკუთრებულს არაფერს ვაკეთებთ. ვაღიარებ, რომ ერთმანეთს ვეხვევით.

**- ქალიშვილებიდან თქვენ რომელი გგავთ?**

- მაილა - ზუსტად ისეთივეა, როგორიც მე ვარ, შარლინი უფრო მირკას ჰგავს. ისინი ისე სწრაფად იზრდებიან, რომ მინდა, მათ გვერდით, რაც შეიძლება მეტი დრო გავატარო.

**- ბოლო როდის გეძინათ მთელი ღამე და არ გაუღვიძებიხართ ბავშვების ტირილს?**

- ერთი კვირის წინ. ძილი ძალიან მნიშვნელოვანია ჩემთვის. დაღლილობისას ვითიშები და დიდი ხანი მძინავს. ჩემზე არანაირი ხმაური არ მოქმედებს.

**- იცით თუ არა, რომ ენის წვერზე შოკოლადის პატარა ნაჭერი ბავშვებს უკეთ ძილში ეხმარება?**

- არა, არასოდეს მიცდია, მაგრამ კარგი იდეაა. ბავშვობაში შოკოლადი ძალიან მიყვარდა.

**- საყვარელი ტორტი?**

- ტორტი არ მიყვარს.

**- როგორ თვლით, შამპანური და შოკოლადი ქალის შეცდენის საუკეთესო ვარიანტია?**

- ჩემთვის ეს არ არის მნიშვნელოვანი თემა. მირკასთან ყველაფერი შესანიშნავად მაქვს.

**- მას კომპლიმენტებს ეუბნებით?**

- დიახ. ვეუბნები, რომ კარგად გამოიყურება და ის საუკეთესოა.

**- დღეში რამდენჯერ იხეხავთ კბილებს?**

- სამჯერ.

**- მატჩის წინ მუსიკას უსმენთ?**

- არა.

**- საერთოდ რა სტილის მუსიკას უსმენთ?**

- ამ საკითხის მიმართ მარტივი დამოკიდებულება მაქვს. შემიძლია რადიოთი მოვუსმინო როკ ან პოპ-მუსიკას. iPOD-ს არ ვხმარობ.

**- რომელია ყველაზე უწმაწური სიტყვა, რომელიც კორტზე გამოგიყენებიათ?**

- ვცდილობ, მინიმუმამდე დავიყვანო ასეთი შემთხვევები. აქ ვერ გეტყვით ამ სიტყვებს.

**- სპორტის სხვა რომელ სახეობაში შეგეძლოთ მსოფლიოში საუკეთესო გამხდარიყავით?**

- ფეხბურთში. ბედნიერი ვიქნებოდი შეტევაში თამაშითა და ბევრი გოლის გატანით. ისე კი „ბაზელს“ ვგულშემატკივრობ. ჩემი საყვარელი ფეხბურთელები არიან - ტიერი ანრი, ლუიშ ფიგუ და ფაბიო კანავარო.

**- დღეს რომელი სუნამო იხმარეთ?**

- „ბერგამოტი“. ის პირადად ჩემთვის შევქმენი და ახლა მას ვხმარობ.

**- ჩვეულებრივ რას ეუბნებით თქვენს პარიკმახერს?**

- მოკლეზე არ გამკრიჭოთ. ყოველთვის მეშინოდა, რომ თმებს ბოლომდე გადამპარსავდნენ. მაგრამ, შესაძლოა, სულ მალე მოკლე ვარცხნილობით გაგაკვირვოთ.

**- არდადეგების პერიოდში მოასწარით მალაზიებში გავლა?**

- მაინც და მაინც არ მიყვარს ეს საქმე. მირკა კი მოდის დიდი მოყვარულია.

**გია თვალაბეიშვილი**

